პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კავის (ყოფ. ლილო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58, ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან. დანარჩენებისათვის—1 მანეთი და 30 კაპ.; განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს. სტამბის ტელეფ. 13—80 ახსპ. 5—43.

კვირა, 9 იანვარი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 6 (1761)

დ ღ ი უ რ ი

— ადგილობრივ მცხოვრებთა აჯანყების გამო კუნძულ სუმატრიდან გარბიან ევროპიელები.
— შეერთებული შტატების მთავრობა ნიკარაგუას ინტერვენციაში ბრალს სდებს მექსიკას.
— საფრანგეთის მენშევიკები სენატის არჩევნებში ერთად გამოდიან რეაქციონერებთან.
— საფრანგეთის პალატაში შეტანილია 80 შეკითხვა უმუშევრობის შესახებ.
— პოლონეთი აძლიერებს სავაჭრო ფლოტს.
— ამერიკიდან საბჭოთა კავშირში [illegible] პროფესორი ტიმოშენკო.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის პარტკონფერენცია

ხვალ იხსნება თბილისის მეშვიდე პარტიული კონფერენცია.

კონფერენცია იკრიბება ისეთ მომენტში, როდესაც პარტიის წინაშე დასმულია მეტად მნიშვნელოვანი და სერიოზული ამოცანები.

კონფერენცია მოწოდებულია ჯამი გაუკეთოს ყველა ჩვენ მიღწევებს, აღნიშნოს დეფექტები და შეიმუშავოს შემდგომი მუშაობის გზები.

ერთი წლის განმავლობაში თბილისის პარტორგანიზაცია საგრძნობლად გაიზარდა როგორც რიცხვობრივად, ისე თვისებრივად. ორგანიზაციის რიცხვობრივ და თვისებრივ ზრდასთან ერთად არის აშკარა მიღწევები, როგორც შინაპარტიული ხაზით (პარტიულ-საორგანიზაციო და პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობა), ისე არაპარტიული ორგანიზაციებზე პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მხრივ.

ქვეყნის სამეურნეო აღორძინების, მრეწველობის აღდგენის, შრომის ნაყოფიერების ზრდის და მუშების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საფუძველზე ჩვენ ვხედავთ დიდ გარდატეხას მუშათა მასების სულისკვეთებაში. მუშების სიმპატია და ლტოლვა პარტიის რიგებისაკენ საგრძნობლად გაიზარდა. თბილისის პარტიული ორგანიზაციის შეუჩერებელი ზრდა მუშების ხარჯზე და ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციის ზრდა მუშა-ახალგაზრდობის ხარჯზე მოწმობს იმას, რომ კომუნისტური გავლენა მუშათა მასებში ძლიერდება და ღრმავდება.

მუშების პარტიული შეკავშირება წარმოებებში გაიზარდა; პარტიული გაერთიანების (კომუნისტების და კომკავშირელების) საერთო პროცენტი მსხვილ სამრეწველო წარმოებებში ერთი წლის განმავლობაში 33,7 პროცენტიდან გაიზარდა 38,2 პროცენტამდე. პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების საერთო პოლიტიკის საკითხებში მუშები მტკიცეთ იცავენ ჩვენი პარტიის ხაზს. ანტისაბჭოთა პარტიებთან და, უმთავრესად, მენშევიკებთან ბრძოლის საქმეში, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ მენშევიკებისაგან ჩამოშორებულ მუშების საუკეთესო ნაწილის პარტიის რიგებში ჩაბმის საკითხში, თბილისის პარტიულ ორგანიზაციას გასული პერიოდის განმავლობაში აქვს დიდი მიღწევები.

თბილისის მაზრის გლეხების პოლიტიკური სულისკვეთებაც აგრეთვე ხასიათდება დიდი გადახრით კომუნისტური გავლენის გაძლიერებისაკენ.

ქვეყნის ეკონომიური აღორძინების საფუძველზე ჩვენ ვხედავთ მუშათა და გლეხთა მასების კულტურულ-პოლიტიკური აქტივობის თვალსაჩინო ზრდას და ამასთან დაკავშირებით საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ საზოგადოებრიობის საგრძნობ გაძლიერებას და ზრდას.

თბილისის პარტორგანიზაციის ძირითადი ამოცანა მშრომელთა მასების გაძლიერებული კულტურულ-პოლიტიკური აქტივობის ყოველმხრივ გამოყენების და ამ აქტივობის საბჭოთა კალაპოტით წარმართვის საქმეში შეიძლება შესრულებულად ჩაითვალოს.

თბილისის მეშვიდე პარტკონფერენციის წინაშე სდგას სერიოზული ამოცანა—შემუშავებული იქნეს ძირითადი დირექტივები ორგანიზაციის შემდგომი რიცხვობრივი და თვისობრივი ზრდისათვის (მუშების პროცენტის გადიდება), შინაპარტიული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, უპარტიო მუშების და გლეხების მასებზე კომუნისტური გავლენის გაძლიერებისათვის და საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ საზოგადოებრიობის უფრო ფართოდ განვითარებისათვის.

მეექვსიდან მეშვიდე კონფერენციამდე თბილისის პარტორგანიზაციამ განიცადა სერიოზული და საკმაოდ ხანგრძლივი ბრძოლა ოპოზიციონურ ჯგუფებთან პარტიის შიგნით, რომლებიც სცდილობდენ პარტიის გადაცდენას ლენინის გზიდან.

თბილისის პარტორგანიზაციამ, როგორც მთელმა პარტიამაც, რომელიც ერთგულია ლენინის ანდერძის და რომელიც იყრდნობა ლენინიზმს, გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწია ყველა ოპოზიციონურ გამოსვლებს, რითაც გამოაშკარავა თავისი შეუდარებელი და ერთსულოვანი ნებისყოფა დაიცვას პარტიის ლენინური მთლიანობა.

თბილისის ორგანიზაციის წევრების დიდი აქტივობა და სრული ერთსულოვნება ლენინიზმის ყოველგვარ დამახინჯებასთან ბრძოლაში მოწმობს უდიდეს იდეურ ზრდას ორგანიზაციისას, რომელიც მთელს თავის მუშაობას აშენებს ნამდვილი შინაპარტიული დემოკრატიის ცხოვრებაში თანმიმდევრობით გატარების საფუძველზე.

კონფერენცია, რომელიც ჯამს გაუკეთებს ოპოზიციასთან ბრძოლის შესახებ ჩატარებულ ახსნა-განმარტებითი კამპანიას, ეთხელ კიდევ ხაზს გაუსვამს თბილისის ორგანიზაციის წევრების მთლიანობას და იდეურ შეკავშირებას, და აგრეთვე მათ მზათყოფნის შემდეგშიაც იბრძოლონ ლენინიზმის დამახინჯების ყოველგვარ ცდებთან, ლენინიზმის ტროცკიზმით შეცვლის ცდებთან.

კონფერენციამ აგრეთვე უნდა განიხილოს და შეიმუშაოს ძირითადი დირექტივები სამრეწველო და პროფესიონალური აღმშენებლობის საკითხებზე.

მთელ პარტიულ მასას ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს იმ ძნელ და რთულ ამოცანებზე, რომლებიც დასმულია ჩვენი მრეწველობის წინაშე აღდგენლობითი პერიოდის დამთავრებასთან და ჩვენი მრეწველობის რეკონსტრუქციაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ამასთანავე პარტიულ მასას ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ჩვენი მასიური საზოგადოებრივი ორგანიზაციების—პროფკავშირების, რომელთა გარშემო გაერთიანებულია მთელი ჩვენი მუშათა მასა, მუშაობაზე და უახლოეს ამოცანებზე.

მხურვალე სალამი თბილისის მეშვიდე პარტიულ კონფერენციას.

კოოპერატიული გასაღება

საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილებებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ, აღნიშნულია „სავაჭრო გადახრის გადამეტება კოოპერატიული გასაღების და საწარმოო მუშაობის საზიანოთ".

მართლაც, ვინც დააკვირდება ჩვენი კოოპერაციის სამეურნეო საქმიანობას ადვილათ შეამჩნევს „სავაჭრო გადახრას", რომელიც აფერხებს ჩვენი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეს და გლეხობის კოოპერატიული შეგნების ზრდას.

არ კმარა, რომ კოოპერაციამ დაიკავოს კერძო ვაჭრის ადგილი და თუ გინდ მოგებითაც დაამთავროს თავისი სამეურნეო საქმიანობა.

ჩვენს დროში კოოპერაცია მოწოდებულია უფრო რთული ამოცანის გადასაჭრელათ, მთელი სახალხო მეურნეობის და განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სოციალისტური მიმართულების მისაცემათ.

ამიტომ ვართ ჩვენ დაინტერესებული კოოპერაციის ზრდით, კოოპერატიული მშენებლობით და კოოპერატიული შეგნების გავრცელების მშრომელ მოსახლეობაში. ჩვენთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს უბრალო სახელწოდებას, ჩვენ დაინტერესებული ვართ კოოპერატიული საქმიანობის შინაარსით და მისი შეფასების დროს უნდა გამორკვეულ იქნას, თუ რამდენათ უწყობს ის ხელს მოსახლეობაში კოლექტიური შეგნების ზრდას.

ამ მხრივ მრავალი ჩვენი კოოპერატიული ორგანიზაციები მოიკოჭლებენ და ვერ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას. არის შემთხვევები, როდესაც კოოპერატიული ორგანიზაცია სოფლის ნაწარმოებს იძენს არა წევრებიდან იმ დროს, როდესაც წევრებს თავისი ნაწარმოები გაუსაღებელი რჩებათ და ხშირათ კერძო ვაჭარს უვარდებიან კლანჭებში. ამით სუსტდება მათი კავშირი კოოპერატიულ ორგანიზაციასთან, რომლის ბედით ისინი ნაკლებათ არიან დაინტერესებული.

არსებობდენ ჩვენში ისეთი დიდი ორგანიზაციები, როგორც მაგალითად, მევენახე-მეღვინეთა ამხანაგობა „კახეთი". რომლის წევრები ვერც კი იცნობდენ თავის ამხანაგობის გამგეობას და მათი უმრავლესობა თავის ვენახების მოსავალს ასაღებდა ამხანაგობა „კახეთი"-ს გარეშე. „კახეთი"-ს გამგეობა თავისი აპარატით თბილისში იყო დაბინავებული, ამხანაგობის რამოდენიმე ათასი წევრი კი კახეთის სოფლებში იყო გაფანტულ და თითქმის არავითარი წარმოდგენა არ ქონდათ თავის გამგეობის საქმიანობაზე. რასაკვირველია, წევრთა უმრავლესობა არც ენდობოდა თავის უცნობ გამგეობას და როდესაც დაისვა „კახეთი"-ს ლიკვიდაციის საკითხი, მათ თითქმის არავითარი ღონისძიება არ უხმარიათ ამ ლიკვიდაციის თავიდან ასაცილებლად.

ასეთი მაგალითები ჩვენში საკმაოდ ხშირია, და საერთოდ წევრებთან კავშირის განმტკიცებას ისეთი კოოპერატიული ორგანიზაციებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, რომლებიც მოგებით ამთავრებენ თავის სამეურნეო საქმიანობას.

წევრებთან კავშირის განმტკიცების გარეშე, გლეხობაში კოოპერაციისადმი ნდობის გაზრდის გარეშე, შეუძლებელია კოოპერატიული გასაღების მოწყობა.

კოოპერატიული გასაღების დროს წევრი აბარებს კოოპერატივს თავის ნაწარმოებს და მის ღირებულებას მიიღებს მისი გაყიდვის შემდეგ, მაშასადამე გლეხი ანდობს კოოპერატივს თავის ნაწარმოებს და უცდის ანგარიშის გასწორებას მის გასაღებამდე. შეიძლება საკმაო დიდმა ხანმაც გაიაროს, სანამ კოოპერატივი დამზადებულ საქონელს გაასაღებდეს და გლეხს კი ფული ეჭირვება ყოველდღიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ. ამიტომ საქონლის კოოპერატივზე ჩაბარებისას ხდება მისი შეფასება და ამის მიხედვით გლეხს ეძლევა სესხი, რომელიც უდრის ჩვეულებრივ საქონლის ღირებულების სამ-მეოთხედს, ან კიდევ უფრო მეტსაც, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, არა მის სრულ ღირებულებას. საქონლის გაყიდვის შემდეგ გლეხს უსწორდება ანგარიში და ამ დროს მას გამოექვითება წაღებული სესხიც.

გლეხი ამ შემთხვევაში მთელი გასაღების ოპერაციის მონაწილეა თავიდან ბოლომდე საქონლის სხვა ჩამბარებელ წევრებთან, თვით კოოპერატივთან და კოოპერატიულ კავშირთან ერთად. ის იღებს მონაწილეობას მათთან ერთად მოგებაშიც და ზარალშიც. ამით მტკიცდება კოოპერატიული სისტემის მთლიანობა და ინტერესთა ერთიანობა. ამიტომ სოფლის ნაწარმოების ასეთი გასაღების, ეგრედ-წოდებულ კოოპერატიული გასაღების მოწყობას ყოველმხრივ უნდა შეუწყოთ ხელი.

სოფლის ნაწარმოების ასეთი გასაღება აკავშირებს მრავალ ათასეულ წვრილ გლეხთა მეურნეობებს, აადვილებს სოფლის მეურნეობის საწარმოო პროცესების კოლექტივიზაციას, რომელიც იმავე დროს რეალურ სარგებლობას აძლევს მწარმოებელ გლეხს. ეს შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობის სოციალისტური ელემენტების ზრდას, გაუმჯობესდება თვით მეურნეობა და გაადვილდება კოოპერატიული საქმიანობაც, რომლის გაფართოებას ხელს უშლის ფინანსიური ხელმოკლეობა.

ამჟამად კოოპერატიული დამზადება უმთავრესად მტკიცე ფასებში სწარმოებს. კოოპერატივზე საქონლის ჩაბარების შემდეგ გლეხი სრულებით არ არის დაინტერესებული მისი ბედით, ის არც მოგებაში და არც ზარალში მონაწილეობას არ იღებს. ასევე იქცევა ძირითადი კოოპერატიული ორგანიზაცია, როდესაც ის თავის დამზადებულ საქონელს მტკიცე ფასებში აბარებს კოოპერატიულ კავშირს. კოოპერატიული სისტემის მთლიანობა და აგრეთვე მწარმოებელ გლეხის, კოოპერატივის და კოოპერატიული კავშირის ინტერესთა ერთიანობა სრულებით იკარგება ამ შემთხვევაში.

ამასთანავე ერთად მტკიცე ფასებში საქონლის დამზადებას ერთდროულად სჭირდება საკმაო დიდი თანხები, რომელთა უქონლობის გამო კოოპერაცია იძულებულია შეამციროს და ზოგიერთ სამეურნეო ოპერაციებზე სრულებითაც აიღოს ხელი. ზარალის შემთხვევაში კოოპერატივი ხშირათ სრულ დაღუპვამდე მიდის, წევრების მონაწილეობით კი მას ადვილათ შეუძლია ამ ზარალის დაფარვა. ამნაირათ კოოპერატიული გასაღება კოოპერაციის მატერიალურ გაძლიერებას და მის საკუთარ საშუალებათა დაგროვებასაც ხელს შეუწყობს. მთელი რიგი მსხვილი სპეციალური კოოპერატიული ორგანიზაციებისა რუსეთში, როგორც მაგალითად, „დონოცენტრი", მხოლოდ კოოპერატიული გასაღების საფუძველზე მუშაობენ და გლეხობაც უკვე მიჩვეულია ზოგიერთი ნაწარმოების ასეთი გზით გასაღებას.

ჩვენში არის მხოლოდ ცდები ასეთი გასაღების მოწყობისა, მაგრამ საერთოდ კოოპერატიული გასაღება უცნობია ჩვენი გლეხობისთვის და კოოპერაციის წევრებისთვის. ხშირად კოოპერაციის საშუალებით საქონლის ყოველგვარ გასაღებას კოოპერატიულს უწოდებენ. ნამდვილათ კი კოოპერატიული გასაღება სხვა რამეს ნიშნავს და მისი მოწყობა გულისხმობს გლეხობაში კოოპერატიული შეგნების გაზრდას და მოსახლეობის სრული ნდობით აღჭურვილ კოოპერატიული აპარატის არსებობას.

ყოველ შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ ჩვენშიც არსებობენ კოოპერატიული ორგანიზაციები, რომლებიც უმთავრესად წევრთა ნდობის საფუძველზე ანვითარებენ თავის სამეურნეო საქმიანობას. წევრებს მიაქვთ იქ თავის ნაწარმოები და მის საფასურს გასაღების შემდეგ ღებულობენ. როდესაც ფასების განსაზღვრა თავიდანვე ხდება და მოგება-ზარალში მწარმოებელი გლეხი მონაწილეობას არ იღებს—ეს არ არის კოოპერატიული გასაღება; მაგრამ შესაფერი მუშაობის ჩატარებით აქედან შესაძლებელია გადასვლა ნამდვილ კოოპერატიულ გასაღებაზე, რაც მეტად შეუწყობს ხელს ჩვენი კოოპერაციის მოღონიერებას და გაჯანსაღებას.

ამასთანავე დაკავშირებით შესაძლებელი გახდება სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის საწარმო ფუნქციების გაშლაც. ამ გზით ჩვენი კოოპერაციაც თანდათანობით განთავისუფლდება „სავაჭრო გადახრისაგან" და შეასრულებს თავის როლს სოფლის მეურნეობის სოციალისტური განვითარების საქმეში.

ზ.

რეფორმისტების ბელადები—ფაშისტების აგენტები

მოლაპარაკება იტალიის შრომის კონფედერაციის თვითლიკვიდაციის გარშემო

პოლონეთის მთავრობა ცდილობს სესხი მიიღოს შეერთებულ შტატებში

უცხოელების კონცესიის ტერიტორია ხანკოუში ჩინელების ხელშია; უცხოელები სტოვებენ ქალაქს

რეფორმისტების მორიგი ღალატი

ბერლინი, 7 იანვარი. სოციალ-დემოკრატიულ და პროფესიონალურ წრეებში მიღებულია ცნობა იტალიიდან. ეს ცნობა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ფაშისტურ მთავრობასა და იტალიის შრომის რეფორმისტულ კონფედერაციის ბელადებს შორის სწარმოებს მოლაპარაკება. (ეს კონფედერაცია კვლავ განაგრძობს ლეგალურ არსებობას).

ფაშისტურ მთავრობას სურს მოახდინოს კონფედერაციის თვითლიკვიდაცია და ამრიგად უკანასკნელი ლეგალური დასაყრდენი მოუსპოს იტალიის მუშათა მოძრაობას, მახვილი ჩასცეს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას და ამავე დროს განამტკიცოს წინასწარი პირობები „კორპორატიული რეფორმის" გასატარებლად (შესცვალოს პარლამენტი საკანონმდებლო ორგანოთი, რომელშიაც შევლენ კორპორაციის წარმომადგენლები ისე, რომ საარჩევნო უფლება წაერთმევა ყველას, ვინც კორპორაციაში არ შედის).

მოლაპარაკების განახლების დროს კონფედერაციის ბელადებს განუცხადეს, რომ საქმე ეხება არა იმდენად ფაშისტურ კორპორაციებში მათ პერსონალურად შესვლას, რამდენადაც მათ მიერ დეკლარაციის გამოშვებას შრომის კონფედერაციის ნებაყოფლობითი თვითლიკვიდაციის შესახებ. ამასთანავე ბელადებმა უნდა მოუწოდონ მუშებს შეუერთდენ ფაშისტურ კორპორაციებს.

კალედამ (კონფედერაციის ერთ-ერთმა ბელადმა) და **კაბრიომ** (ერთა ლიგის შრომის საერთაშორისო ბიუროს წარმომადგენელმა იტალიაში) განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან გაემგზავრონ პარიზში და იქ მოლაპარაკება გამართონ კონფედერაციის ემიგრანტ ბელადებთან ბუოცისთან და ბალდინისთან. მათი გამგზავრება უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც მუსოლინი ფაშისტური პარტიის დიდი საბჭოს სხდომაზე განაცხადებს, რომ „შესაძლებელია დანაშაულის პატიება პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებისათვის, რომელნიც მზად არიან ითანამშრომლონ იტალიის ხალხის ახალ ორგანიზაციებთან".

იტყობინებიან, რომ ამ დღეებში **დ,არაგონა** (კონფედერაციის წარმომადგენელი შრომის საერთაშორისო ბიუროში) შეხვდა ფაშისტურ კორპორაციების გენერალურ მდივანს **როსონის**; **დ,არაგონამ** ფორმალურად განაცხადა, რომ მზად არის ითანამშრომლოს კორპორაციებთან. **საუბრის ბოლოს როსონი და დ,არაგონა გადაეხვიენ და გადაჰკოცნეს ერთმანეთი.** (ადს).

საფრანგეთის მენშევიკები

რეაქციონერებთან ერთად

პარიზი, 7 იანვარი. საონის და ლუარის დეპარტამენტებში კომუნისტებმა წინადადება მისცეს სოციალისტებს საერთო სია წარმოედგინათ 9 იანვრისათვის დანიშნულ სენატის არჩევნებში. სოციალისტებმა უარი განაცხადეს და წინადადება მისცეს არა მარტო რადიკალებს, არამედ რეაქციონერებსაც, ხელმეორე კენჭის ყრის შემთხვევაში სენატის მანდატები პროპორციონალურად განაწილებულ იქნეს პირველი კენჭის ყრის დროს მიღებულ ხმების მიხედვით. (ადს).

80 შეკითხვა

პარიზი, 7 იანვარი. საფრანგეთის პარლამენტში 80 შეკითხვა შეიტანეს უმუშევრობის და მასთან საბრძოლველ ზომების შესახებ.

კომპარტიის ორგანო „იუმანიტე" უარჰყოფს მთავრობის განცხადებას, თითქოს საფრანგეთში ადგილი არ აქვს უმუშევრობას. გაზეთს მოჰყავს დაახლოებით ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი მუშა იქნა დათხოვნილი წარმოებებიდან საფრანგეთის სხვადასხვა ადგილებში. „იუმანიტე" აღნიშნავს, რომ მთავრობამ გამოსცა დეკრეტი, რომლის თანახმად წელს უმუშევართა დასახმარებლად გადადებულია 10 მილიონი ფრანკი, შარშან კი გადადებული იყო 300.000 ფრანკი, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება მთავრობის განცხადებას. (ადს).

მდგომარეობა პოლონეთში

„ამერიკელი ძია"

ვარშავა, 7 იანვარი. „დზენიკ ვარშავსკი" იტყობინება, რომ ამერიკის ელჩი ვარშავაში სტეტსონი, რომელიც ამჟამად ნიუ-იორკში იმყოფება, ნიადაგს უმზადებს პოლონეთისათვის სესხის ასაღებათ შეერთებულ შტატებში.

პოლონეთის ფინანსიურ წრეებში აღნიშნავენ, რომ სტეტსონის მოლაპარაკებას კავშირი აქვს იმ გარემოებასთან, რომ უნაყოფოდ დამთავრდა მოლაპარაკება სესხის გარშემო მორგანის ინგლისურ ჯგუფთან, რომლის მეტად მძიმე პირობებს არ დაეთანხმა პოლონეთის მთავრობა. (ადს).

ფლოტის გადიდება

ვარშავა, 7 იანვარი. დანციგში პოლონეთის ფლოტში დიდი ზეიმით ჩარიცხულ იქნა 5 სავაჭრო გემი, რომელიც პოლონეთის მთავრობამ შეისყიდა.

სიტყვა წარმოსთქვა პოლონეთის ფლოტის მმართველობის საბჭოს თავმჯდომარემ, რომელმაც განაცხადა, რომ **სანამ პოლონეთი არ შექმნის თავის ფლოტს, მტრული გამოსვლები მისთვის ზღვაში გასავალის მიცემის წინააღმდეგ არ შეწყდება.**

პოლონეთის ახალი ელჩი

ვარშავა, 8 იანვარი. მოსკოვში ელჩად დანიშნულმა პატეკმა მიიღო ვაჭართა კავშირის დელეგაცია. დელეგაციამ განუცხადა მას, რომ აუცილებელია სინდისიერი კონტაქტის დამყარება საბჭოთა კავშირის სამრეწველო და სავაჭრო სფეროებთან და სურვილი გამოსთქვა, რომ ვაჭრების წარმომადგენლებს ნება მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ იმ მოლაპარაკებაში, რომელიც მომავალში იწარმოებს პოლონეთ-საბჭოთა ხელშეკრულების დასადებად. (ადს).

პატეკის იმედი აქვთ

ვარშავა, 8 იანვარი. პოლონეთის საელჩოს სავაჭრო საქმეთა მრჩეველმა მოსკოვში ზიაზიცკიმ „ეპოკა"-ს კორესპონდენტს განუცხადა:

„მე გადაუჭარბებლად ვამტკიცებ, რომ მდგომარეობა საბჭოთა კავშირში ყოველ მხრივ ნორმალური ხდება. საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობა უმჯობესდება. მე ეჭვი არ შემდის, რომ მალე ცნობა საბჭოთა ნამდვილ სამეურნეო პოლონეთის საზოგადოებამდე მიაღწევს და სოციალურ მდგომარეობის შესახებ. ამ მხრივ მე დიდ იმედებს ვამყარებ ახალ ელჩ პატეკზე". (ადს).

ჩინეთის ხალხის ბრძოლა

კონცესიის ტერიტორიაზე

პეკინი, 7 იანვარი. რეიტერის სააგენტოს უკანასკნელი დეპეშები 7 იანვრის თარიღით იუწყებიან:

„დღეს ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩინეთის სამხედრო ხელისუფლებასთან შეთანხმებით კვლავ აიღეს ხელში ინგლისის კონცესიის მმართველობა. ჩინეთის სამხედრო ნაწილები, გარდა სამხედრო პოლიციისა, გაყვანილი არიან კონცესიის ტერიტორიიდან. ინგლისის საზღვაო ქვეითა ჯარი კვლავ გადმოსხეს კონცესიის ტერიტორიაზე და ჩინეთის პოლიციასთან ერთად ეს ნაწილები იცავენ წეს-რიგს. (ადს).

თავისას არ იშლიან

პეკინი, 7 იანვარი. ინგლისის დიპლომატიური წრეები ხანკოუში ფიქრობენ, რომ მდგომარეობა მეტად სერიოზულია. ინგლისის მისიის მრჩეველი ომალე და მისიის მდივანი ხანკოუში მიემგზავრებიან. იქ მიდიან აგრეთვე მისიის კომერციული აგენტი ფოკსი. ინგლისური რეაქციონური გაზეთი „ენდ ტიან ცზინი ტაიმსი", რომელიც ტიან-ცზინში გამოდის, კვლავ მოუწოდებს, რომ დაუყოვნებლივ შეიარაღებული ძალები იქნან გამოყენებული ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ. (ადს).

ფლოტი მზად უნდა იყვეს

ვაშინგტონი, 7 იანვარი. ამერიკის სამხედრო ფლოტის უფროსმა აზიის წყლებში ადმირალმა ვილიამსმა ბრძანება მიიღო, რომ შანხაიში გაემგზავროს. ამასთანავე, მან „თვალყური უნდა ადევნოს მდგომარეობას ჩინეთში და აცნობოს ამის შესახებ მთავრობას". ამერიკის საზღვაო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ჩინეთის წყლებში ამჟამად 24 ამერიკელი სამხედრო გემია; მათგან ხანკოუში—6, შანხაიში—11. (ადს).

კრიზისმა გაიარა

ლონდონი, 8 იანვარი. ბრიტანეთის რადიოს დღევანდელ ოფიციალურ ცნობის თანახმად, ჩინეთის ხელისუფლებამ ხანკოუში ინგლისის კონსულთან შეთანხმებით გასცა განკარგულება, რომ ჩინეთის ყველა ჯარები და პიკეტები გაყვანილ იქნას ინგლისის კონცესიის ტერიტორიიდან. პოლიციის მოვალეობებს კონცესიაში შეასრულებს ინგლისის პოლიცია ყოფილი რუსეთის და გერმანიის კონცესიების პოლიციელების დახმარებით. მომავალში დაშვებული არ იქნება ხალხის შეგროვება კონცესიის ტერიტორიაზე. (ადს).

ვინაა კონფლიქტის მიზეზი

ნიუ-იორკი, 8 იანვარი. „ასოშიეტედ პრეს"-ის სააგენტო ხანკოუდან იუწყება:

„ამერიკის ელჩმა ხანკოუში ლოკჰარტმა წინადადება მისცა ყველა ამერიკელ ქალებს, რომ თავიანთი ბავშვებით გაემგზავრონ ამერიკული გემით; ამასთანავე ელჩი აცხადებს, რომ მას არ შეუძლია უზრუნველჰყოს გადატანის საშუალებათა მიცემის გარანტია. 50-მდე ქალმა და ბავშვმა შეასრულა კონსულის რჩევა.

კანტონის გარეშე საქმეთა მინისტრმა ევგენი ჩენმა გამოაქვეყნა მოწოდება. რომელშიაც იგი ამბობს, რომ ხანკოუში მომხდარ ინცინდენტის პასუხისმგებელი ინგლისელები არიან და ყველას საყურადღებოთ აცხადებს, რომ ინგლისის კონცესიის ახალი დროებითი სამართველო მოეწყო, რომელიც სრულ პასუხისმგებლობას კისრულობს უცხოელთა უშიშროებისათვის. (ადს).

კონცესია რჩება კანტონელების ხელში

პეკინი, 7 იანვარი. დღეს დილით რეიტერის სააგენტომ დაგზავნა თავის გუშინდელი ცნობის შესწორება, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ ინგლისის კონცესიის ტერიტორიაზე ხან-კოუში აღდგენილია ინგლისის ადმინისტრაცია. შესწორებაში ნათქვამია, რომ ეს ცნობა მიცემული იყო იმ დეპეშის მიხედვით, რომელიც ხანკოუდან იქნა მიღებული შანხაიში და რომელიც დღემდე არ დადასტურდა. პირიქით, რადიო ინგლისის გემებიდან ხანკოუში იუწყება, **რომ კონცესია კვლავ რჩება ჩინეთის სამხედრო ხელისუფლების ხელში.** შემდეგ რეიტერის დეპეშა ხანკოუდან ამბობს, რომ ევგენი ჩენმა ამერიკელებთან (რომელთაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ ხანკოუში) საუბარში განუცხადა მათ, რომ არ არის საფუძველი პანიკისათვის, ვინაიდან ეროვნული მთავრობა შესძლებს გაუძლოს შექმნილ მდგომარეობას. **ამერიკის კოლონიამ მაინც გადასწყვიტა დაიწყოს ევაკუაცია. ცნობების მიხედვით, გუშინ ინგლისის დროშა არ იყო აფრიალებული ინგლისის საელჩოზე ხანკოუში. გარდა ამისა, იუწყებიან, რომ ხანკოუში მცხოვრები ინგლისელები იმალებიან გონკონგის და შანხაის ბანკების და აზიის ნავთის კომპანიების შენობებში, რომელსაც ჩინეთის ჯარი და პიკეტები იცავენ. იმავე ცნობების მიხედვით, ინგლისის კონცესიას ხანკოუში ეხლა მართავს ჩინეთის კომიტეტი, რომელშიაც გომინდანის ხუთი ადგილობრივი გამოჩენილი წარმომადგენელი შედის.** რეიტერის სხვა დეპეშებში იუწყებიან, რომ ინგლისელთა ქალებისა და ბავშვების ევაკუაცია დაიწყო აგრეთვე პროვინცია ტე-ჩუანში. გარდა ამისა, ევაკუაციისათვის ემზადებიან სამხრეთ და დასავლეთ ჩინეთის სხვა ადგილებშიაც. თუმცა საერთო მდგომარეობა კვლავ გამოურკვეველია, მაგრამ უეჭველია, რომ იმის შემდეგ, რაც ჩინეთის ხელისუფლებამ ინგლისელებთან შეთანხმებით იკისრა კონცესიის მართვა, წეს-რიგი ხანკოუში არ დარღვეულა. (ადს).

რაც ელანდებათ, ის ესიზმრებათ

ნიუ-იორკი, 7 იანვარი. „ასოშიეტედ პრეს"-ის შანხაელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ხმების მიხედვით სუნ-ჩუან-ფანის ჯარებმა თითქოს ხელთ იგდეს ფუძიან-სიანი ხანჯოუდან სამხრეთ-დასავლეთით (ჩჟე-ცზიანის დედა-ქალაქი). (ადს).

იმპერიალისტები შანხაის ამაგრებენ

ნიუ-იორკი, 8 იანვარი. ამერიკული გაზეთების შანხაელი კორესპონდენტების ცნობით, უცხოელები მოელიან, რომ შანხაის კანტონელები ჩაიგდებენ ხელში. ინგლისის კონცესიის ტერიტორიაზე გადმოსხეს ინგლისის საზღვაო ფეხოსანი ჯარის რაზმი; ფრანგები ბარიკადებს აწყობენ თავიანთი კონცესიის ტერიტორიაზე. (ადს).

მუკდენელების შეტევა

პეკინი, 8 იანვარი. გაზეთების ცნობით, სუ-ჩუან-ფანის ჯარებმა შესძლეს შე-ზიანის პროვინციის მთავარ ქალაქ—ხან-ჩჟოუდან 30 კილომეტრის დაშორებით (სამხრეთ-დასავლეთით) ჩო-ფინჩის ჯარების რამდენიმეთ შევიწროვება და ფუ-ია-სიანის დაკავება.

კანტონის ჯარის ნაწილი მიიწევს

საბჭოთა კავშირი და სპარსეთი

მოსკოვი, 8 იანვარი. სპარსეთის გაზეთების ცნობამ იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობას არ სურს სავაჭრო შეთანხმების დადება სპარსეთთან, დიდი გაოცება გამოიწვია მოსკოვში. ამის გამო საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა ავტორიტეტულ წრეებში შემდეგი განმარტება მიიღო:

საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის სავაჭრო ურთიერთობათა მოუწესრიგებლობა მხოლოდ და მხოლოდ იმით არის გამოწვეული, რომ სპარსეთის მთავრობა აჭიანურებს თავის შეთანხმებას საბჭოთა კავშირისა და სპარსეთს შორის საქონლის ბრუნვის გახსნის შესახებ იმ პირობებში, რომელნიც შეიმუშავეს ორთავე მხარის რწმუნებულებმა მოსკოვში. ნამდვილად კი მოსკოვში დასახული წესრიგი არ შეიძლება კვლავ იქნას განხილული და შეცვლილი და მასში გათვალისწინებული სპარსეთის საქონლის რაოდენობა (რომლის შემოტანა საბჭოთა კავშირში ნებადართულია) არ შეიძლება გადიდებულ იქნას, ვინაიდან საქონლის ეს რაოდენობა დაწესებულია საიმპორტო გეგმის თანახმად მიმდინარე წლისათვის. ამიტომ თუ სპარსეთის მთავრობას არ სურს საბჭოთა კავშირში შეიტანოს თავისი საქონლის ეს რაოდენობა, მაშინ საბჭოთა კავშირი ამ საქონელს სხვა ქვეყნებიდან შემოიტანს. ამგვარად, სპარსეთის ვაჭრობა და მიწათმოქმედება შეიძლება დაზარალდეს მხოლოდ იმის გამო, რომ სპარსეთის მთავრობა საჭიროდ არ სცნობს სპარსეთ-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის მოგვარებას ზემოყვანილ პირობების მიხედვით. სპარსეთის მთავრობამ არა ერთხელ გამოიჩინა ასეთი საქციელი. მაგალითად, 1923 წელში ორთავე მხარის შორის დადებული სავაჭრო ხელშეკრულობას, რომლის გამომუშავებაშიაც მონაწილეობას იღებდა ტაგიზადე, რატიფიკაცია არ მოუხდინა სპარსეთის მთავრობამ, რამაც თავის დროზე სპარსეთის ვაჭრების მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია, მაგრამ ცხადია, რომ ამაში დამნაშავე არაა საბჭოთა კავშირის მთავრობა. სამწუხაროდ ამჟამად სპარსეთის ზოგიერთი წრეებში არ ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ თუ ისინი არ ისარგებლებენ საბჭოთა კავშირში სპარსეთის საქონლის შემოტანის შესაძლებლობით საბჭოთა კავშირის მიერ მიღებული საიმპორტო გეგმის მიხედვით, ამას შედეგად მოჰყვება საქონელის შემოტანა სხვა ქვეყნებიდან, რომელნიც გააფართოვებენ თავიანთ საქონლის ბრუნვას საბჭოთა კავშირში სპარსეთ-საბჭოთა ვაჭრობის ხარჯზე; ამასთანავე საბჭოთა ბაზარი სულ უფრო და უფრო შემცირდება სპარსეთის საქონლისათვის. თუ სპარსეთის მთავრობა სწორედ მიუდგება ამ საკითხს, მაშინ გაიხსნება სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის და იგი არამც თუ არ შემცირდება, არამედ გაიზრდება წლიდან-წლამდე. (ადს).

ფაშისტურ ბულგარეთში

ლიაპჩევის მთავრობა ძველი გზით

ვენა, 8 იანვარი. ბულგარეთის პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიის მომხრეთა მოძრაობა თანდათან უფრო ფართე ხასიათს ღებულობს. ლიაპჩევის მთავრობა კი თავის წინანდელ გზას განაგრძობს. ახალი წლის გამო, მეფეს წარუდგინეს სამასი საამნისტიო პატიმარის სია. აქედან პოლიტიკური მხოლოდ ორი იყო. (ადს).

მენშევიკების შურისძიება

ბერლინი, 7 იანვარი. გერმანიის ახალგაზრდა მუშათა სოციალ-დემოკრატიულ კავშირიდან გამორიცხულ იქნა საბჭოთა კავშირში ნამყოფ გერმანიის ახალგაზრდა მუშათა მეორე დელეგაციის წევრი შენებურგი. შენებურგი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ერთ-ერთ კრებაზე გამოვიდა გერაში რუსი მენშევიკი აბრამოვიჩის წინააღმდეგ, რომელიც ცილს სწამებდა საბჭოთა კავშირს. (ადს).

აჯანყება

კუნძულ სუმატრაზე

ამსტერდამი, 7 იანვ. უკანასკნელ ცნობების თანახმად სილვენკანგში (სუმატრა) მცხოვრებლებმა დასტოვეს აჯანყების რაიონი. ხავალენტოდან ევროპიელების ცოლები და ბავშვები ხელისუფლების მიერ გადაგზავნილ იქნა სოლოკში. სარკინიგზო მიმოსვლა სრულიად შეწყდა.

აჯანყებულთა ზარალი ძლიერ დიდია (ადს).

თავს იმართლებენ

ვაშინგტონი, 7 იანვ. შეერთებულ შტატების პრესა ბრალს სდებს მექსიკას იმაში, რომ ის დახმარებას უწევს ლიბერალებს. ამასთანავე ერთად გაზეთები აქვეყნებენ ცნობებს მექსიკის სხვადასხვა ადგილებში დაწყებულ აჯანყების შესახებ. მექსიკის მთავრობა უარყოფს ამ ცნობებს. (ადს).

„ჭინჭრაქას" ტრაბახი

ლონდონი, 8 იანვარი. ინგლისის გენერალური პროკურორი ხოგი ერთ-ერთ მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში შეეხო ინგლის-საბჭოთა ურთიერთობას.

„შეიძლება დადგეს მომენტი, როცა ჩვენი ღირსების და თავმოყვარეობის დაცვის მიზნით იძულებული ვიქნებით რეპრესიულ ზომებს მივმართოთ (ლაპარაკია სრულუფლებიან წარმომადგენლობის გადასახლებაზე), მაგრამ სანამ არ დავრწმუნდებით, რომ ეს აუცილებელია ჩვენი ქვეყნის ინტერესებისათვის, მანამ ჩვენ არ გადავდგამთ ასეთ ნაბიჯს". (ადს).

ჩილის

კომპარტიის ყრილობა

ნიუ-იორკი, 7 იანვარი. სანტ-იაგოდან მიღებული ცნობით, **ჩილის კომპარტიის ყრილობაზე მონაწილეობა მიიღო ყველა ქვეყნების კომუნისტურ ორგანიზაციებიდან—80 დელეგაციამ.** რეზოლუცია პარტიის პოლიტიკური მუშაობის შესახებ, რომელიც კომინტერნის თეზისებზე არის აგებული, მიღებულ იქნა ერთხმად. გარდა ამის მიღებულია ზომები მემარჯვენე და მემარცხენე გადახრათა შესაძლებლობის წინააღმდეგ. (ადს).

სამხედრო პირები სახელმწიფო აპარატში

ვენა, 7 იანვარი. მთავრობის გაზეთი „ვიიტა რუმი" ოფიციალურად იუწყება, რომ გენერალი როსკანუ დანიშნულია ბესარაბიის და ბუკოვინის საქმეთა კომისრად. გენერალი იონესკუ დანიშნულია გზათა მიმოსვლის მინისტრის ამხანაგად და რკინის გზების მმართველად. **ამ დანიშვნას ხსნიან ისე, როგორც რკინის გზების მილიტარიზაციის სისტემაზე დაბრუნებას.** გზათა მიმოსვლის, ფინანსთა, შინაგან საქმეთა, მიწათმოქმედების და საზოგადოებრივ მუშაობათა სამინისტროებთან მოწყობილია სამობილიზაციო ბიურო, რომელიც შეკავშირებულია გენერალურ შტაბთან იმ მიზნით, რომ სახელმწიფო აპარატი სამხედრო დროის საჭიროებისათვის მოამზადოს. (ადს).

ახალი შეტევისაკენ კომპარტიის წინააღმდეგ

(წერილი ინგლისიდან)

თავის უკანასკნელ სხდომაზე მთავრობამ განიხილა საკითხი ინგლისის კომუნისტურ პარტიის შესახებ.

ინგლისის კომპარტიის და მუშათა მოძრაობის უმცირესობის გავლენის გაძლიერება ძილს უფრთხობს კონსერვატიულ მთავრობას და ის ყოველ ღონეს ხმარობს, რომ როგორმე ბოლო მოუღოს მას. პრესის კამპანიამ და სამიტინგო გამოსვლებმა, რომლებიც მუდამ წინ უსწრებს პირდაპირ გამოლაშქრებას, უკვე შეამზადა სათანადო ნიადაგი და დღის დღეზე მოსალოდნელია თავხედური გამოლაშქრება, მოსალოდნელია რომ მთავრობა აამუშავებს თავის პოლიციასა და „სასამართლოს". ბოლდუინმა, ლორდ-ბირკენხედმა, ჯონსონ-ხიქსმა, უინსტონ ჩემბერლენმა და სხვ. მიიღეს ცოტად თუ ბევრად აქტიური მონაწილეობა ამ კამპანიაში. დღეს კი მოკლე ოფიციალური ცნობა გვეუწყება, რომ ლორდ ბირკენხედს (იმ დროს, როცა ის შეცვლის ჯონსონ ხიკსს) განზრახული აქვს აკრძალოს კომუნისტური პროპაგანდა.

ტრედ-იუნიონების ინტერესის დაცვის ფარისევლურ საბაბის ქვეშ, ეს მუშათა მოძრაობის მოძულენი და მუშათა კლასის დაუძინებელი მტრები ლამობენ გასწმინდონ ტრედ-იუნიონისტური მოძრაობა რევოლიუციონური ელემენტებისაგან.

ეს საბაბი უსაფუძვლოდ როდია ამორჩეული. ბურჟუაზიის დელეგატები მთავრობაში დარწმუნებული არიან, რომ მუშათა პარტიის და ტრედ-იუნიონების ბელადთა შორის იპოვნიან თანამოაზრეთ და თანამებრძოლთ. რომლებიც სულ იმის ცდაში არიან, რომ როგორმე გახრწნან მუშათა მოძრაობა თავის პირადი ინტერესებისა და კაპიტალისტურ სისტემის შენარჩუნების და განმტკიცების მიზნით. და აქაც ვამჩნევთ იმავე პროცესებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ გალაშქრების დროს კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ. ჩვენ ვიყავით მოწამე ტრედ-იუნიონების ბელადების გალაშქრებისა ბერნმაუტის კონგრესზე, შემდეგ ჩვენ ვნახეთ უფრო აშკარა გალაშქრება მუშათა პარტიის რეფორმისტ ბელადების მხრივ მარგეტის კონგრესზე. შემდეგ აღსანიშნავია ტრედ-იუნიონების გენსაბჭოს უარი რუსეთის პროფკავშირთა ყრილობაზე მეგობრობის ნიშნად დელეგატის გაგზავნისა, ტომასის და კიდევ უფრო ადრე მაკდონალდის სასტიკი გალაშქრება პარლამენტში კუკის წინააღმდეგ.

მაგრამ ეს მხოლოდ გარეგანი მხარეა გალაშქრების. მაშინ, როცა ბურჟუაზია ცოფსა ჰყრის ინგლისის კომპარტიის მუშაობას („უორკერ უიკლი"-ს, კომპარტიის ორგანო განადგურების ცდა ჯარიმებით) და პარტიის ადგილობრივ მუშაკების წინააღმდეგ (თვეობით იძულებით სამუშაოების მისჯა სრულებით უმნიშვნელო საბაბით), მუშათა პარტიის და ტრედ-იუნიონების გენსაბჭოს რეფორმისტი-ბელადები სცდილობენ გამორეკონ მუშათა პარტიის რიგებიდან კომუნისტური ელემენტები, რაც მუშათა მოძრაობას აშორებს უაქტივეს მებრძოლებს. ზოგიერთ ტრედ-იუნიონებში, ეს „გამოცალკევება" უკვე დაიწყო.

როგორც ყოველთვის, ბურჟუაზიის ბელადები ახერხებენ მუშათა მოძრაობის რეფორმისტ ხელმძღვანელებთან საიდუმლო შეკავშირებას. ეს უკანასკნელნი უმზადებენ ნიადაგს ბურჟუაზიის შემოტევისათვის. მუშათა პარტიის ლივერპულის ყრილობამ გზა გაუხსნა კომპარტიის ბელადების დევნის კამპანიას. მარგეტის ყრილობამაც ნიადაგი შეუმზადა ახალ გალაშქრებას ამ მიმართულებით. ამავე დროს ჩვენ ვართ მოწამე უფრო სასტიკი გალაშქრების სამზადისისა. ბურჟუაზია ლამობს ინგლისის კომპარტიის აქტივობის ზრდა გამოიყენოს, როგორც საბაბი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგიტაციისათვის. ყოფილმა ლიბერალმა ალფრედ მონდმა ამას წინად განაცხადა, რომ შეუძლებელია ვაჭრობის განგრძობა, თუ კი იმ ხალხს, რომელიც ჩვენ მეტოქეობას გვიწევს ვაჭრობაში, უფლება ექნება ფინანსიური დახმარება გაუწიოს გაფიცვას ინგლისში ჩვენი საგარეო ბაზრების ხელში ჩაგდების მიზნით. ამიტომ საჭიროა საბჭოთა კავშირის მუშებმა თავი შეიკავონ ასეთი დახმარებისაგან.

აი სადამდის მიდის ამ ცილისწამების კამპანიის ხელმძღვანელთა ვერაგობა.

კ. დავიდ.

ლონდონი, 20 დეკემბერი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთების მიმოხილვა

საბჭოთა

ბრძოლა უბედურ შემთხვევებთან

უბედური შემთხვევები წარმოებებში მეტად ხშირია. როგორც საკავშირო სახ. შრომის კომისარიატის მასალებიდან სჩანს, რიცხვი უბედურ შემთხვევებისა, რომლებიც შრომის უნარის დაკარგვას იწვევს, წელიწადში აღწევს 109,9-ს 1000-ს მუშაზე მთელ ცენზიან მრეწველობაში, ხოლო კერძოდ ლითონის მრეწველობაში—179,9-ს, სამთამადნოში—110,2-ს, ხის დამუშავების 238,7-ს. არაჩვეულებრივად მაღალი პროცენტებია. აიხსნება ეს მოვლენა არა მარტო სატექნიკო-სათადარიგო მოწყობილობის გაცვეთით და სხვა ობიექტიური მიზეზებით, არამედ აგრეთვე მუშების დაუდევრობით და გაუფრთხილებლობით.

„ამიტომ,—წერს გაზ. „**ტრუდ**",—საწარმოო პირობების გაჯანსაღებასთან ერთად აუცილებელია მივიღოთ ყოველი ზომა მუშებისათვის იმის განსამარტავად, თუ რა მნიშვნელობა აქვს მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის თვითდაცვას და სიფრთხილეს. მუშებს უნდა მოუთხროთ და უჩვენოთ, როგორ და რატომ ხდება უბედური შემთხვევები, რა შედეგები შეიძლება აქედან მოყვეს მათთვის და როგორ უნდა აიცილონ მათ თავიდან უბედური შემთხვევები; უნდა განუმარტოთ მუშებს უბედურ შემთხვევებისაგან დამცველ მოწყობილობათა როლი და დანიშნულება, შევასწავლოთ მანქანასთან მოპყრობა და სხვ. ერთი სიტყვით, უნდა ავსწიოთ მათი კულტურულ-ტეხნიკური დონე და შევაჩვიოთ ისინი თავდაცვას, დამოუკიდებლად იმისა, მუშაობენ ისინი ძველ თუ ახალ ფაბრიკაში, ცუდ თუ კარგ დაზგასთან.

ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ ფიზკულტურას, შახმატებს და სხვა სასარგებლო საქმეებს, მაგრამ, მიუხედავად საკავშირო პროფსაბჭოს და შრომის კომისარიატის სათანადო დირექტივისა, ჯერ კიდევ ვერ დავაყენეთ ჯეროვან სიმაღლეზე მუშათა ფართე მასებში შრომის დაცვის და კერძოდ უშიშროების ტეხნიკის საკითხების პროპაგანდა. მართლაც, ბევრი გვაქვს გამოშვებული საკლუბო დადგმა უშიშროების ტეხნიკის საკითხებზე? საკმაო ადგილს უთმობენ ამ საკითხებს ჩვენი კედლის გაზეთები და საერთოდ პრესა? გამოვიყენეთ ამ მიზნებისათვის რადიო, კინო და აგიტაცია-პროპაგანდის სხვა ფორმები? არა, არასაკმაოდ, ხოლო ზოგი რამ სულაც დაგვავიწყდა".

უბედური შემთხვევები ჩვენშიც საკმაოდაა გავრცელებული, რაც მრავალ მუშის დასახიჩრებას და ამასთან დაკავშირებით სახელმწიფოსაგან საგრძნობ ხარჯების გაღებას იწვევს. ამ მოვლენას უნდა გამოეცხადოს ენერგიული ბრძოლა, რაშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ სამეურნეო, შრომის დაცვის და სოციალურ დაზღვევის ორგანოებმა, პროფკავშირებმა და სათანადო კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებმა.

უცხოეთის

ლაპარაკი გერმანია-საფრანგეთის სამხედრო კავშირზე

ეჭვს გარეშეა, რომ მკითხველში, რომელიც იცნობს ამ ორი ქვეყნის მმართველი წრეების ურთიერთდამოკიდებულებათა წარსულს და აწმყოსაც, ეს ლაპარაკი გამოიწვევს ერთნაირ გაკვირვებას. მაგრამ ფაქტია ის, რომ ასეთ კავშირზე კანტი-კუნტად დაიწყეს ლაპარაკი. ამის შესახებ „სიტყვა ჩამოაგდო" გერმანიის ცნობილმა მსხვილმა მრეწველმა არნოლდ რეხბერგმა. მან ვენის გაზეთში: „ნოიე ფრაიე პრესსე" (16 დეკემბერი) მოათავსა ამის შესახებ წერილი.

საინტერესოა, რომ ასეთი აზრი ნაციონალისტურად მოაზროვნე მსხვილ მრეწველებში პოულობს ნიადაგს. საქმე იმაშია, რომ გერმანიამ ომი წააგო და დაჰკარგა საგარეო ბაზარი, დაჰკარგა თავისი სამხედრო ძლიერებაც. გაბატონებული კლასები სცდილობენ ორივეს აღდგენას. მაგრამ ნათელი შეგნება იმისი, რომ ძველი გზით (იარაღით) ჯერ-ჯერობით ეს შეუძლებელია, მათ მიერეკება სხვა საშუალებისაკენ. ეს არის გამარჯვებულებთან ისეთი ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო შეთანხმების მიღწევა, რომელიც მათ მოუპოვებს ამ მიზნის განსახორციელებელ საშუალებას. ცნობილ ლითონის ტრესტით და სხვადასხვა ეკონომიური შეთანხმებებით მათ სურთ გაატარონ „ეკონომიური" პროგრამა, ხოლო სამხედრო კავშირით—თავიანთი ყოფილი სამხედრო ძლიერების აღდგენის დაწყება. ლითონის ტრესტის ზედნაშენი უნდა იქნეს სამხედრო კავშირი—ამბობს მოქ. რეხბერგი. ამ ტრესტის შედგენის შემდეგ ვერსალის პოლიტიკა უნდა დაემხოს.

„საფრანგეთმა და გერმანიამ—სწერს ავტორი—ორივემ თანხმობით უნდა დაიცვან თავიანთი საზღვრები მესამე მხარისაგან. უნდა მოეწყოს ფრანგულ-გერმანული გენერალური შტაბი ფრანგ და გერმანელ გენერლებისაგან და ამ შტაბს უნდა დაუმორჩილდეს ორივე ქვეყნის ჯარები. მისი კონტროლის ქვეშ უნდა იქნეს საფრანგეთის და გერმანიის არმიები და ამ შტაბმა უნდა გამოიმუშაოს ორივე ქვეყნის საზღვრების დაცვის გეგმა თუ საფრთხე იქნება მოსალოდნელი. თუ ეს წინადადება განხორციელდა, ისევე როგორც განხორციელდა საფრანგეთ-გერმანიის სამრეწველო კავშირი, მაშინ ყოველისფერი სხვანაირად დატრიალდება".

ეჭვს გარეშეა, რომ საქმე „სხვანაირად დატრიალდება". საერთო გენერალური შტაბის ფრთების ქვეშ გერმანიამ შეიძლება მოახერხოს სამხედრო ძალის შექმნა საერთო მიზნების (საერთო ძალით საზღვრების დაცვის) მომიზეზებით, რადგან სხვანაირად მას ეს არ შეეძლება დღევანდელ პირობებში.

ამ „გენიალური" გეგმის შესრულებას—იმ სახით და იმ განსაკუთრებული მიზნით, რომელსაც გულში ატარებს გერმანელი ნაციონალისტი და იმპერიალისტი—ერთი „წვრილმანი" აკლია: პუანკარეს თანხმობა.

მაგრამ როგორი სახე და შინაარსიც არ უნდა მიიღოს რეაქციონურ ძალთა კომბინაციებმა,—ხოლო ეს კომბინაციები საბოლოო ანგარიშით შესაძლებელია—ცხადია, ისინი ყოველთვის მიმართული იქნებიან მუშათა კლასისა და მისი რევოლიუციის წინააღმდეგ. ამით ნათელია პროლეტარიატის ამოცანაც.

კანტონი „მავნებელთა“ წინააღმდეგ



უკანასკნელი ცნობები

ახალ „ჟუმბარას“ ამზადებენ

პარიზი, 8 იანვარი. „ლიუმანიტე“ იუწყება, რომ საფრანგეთის სოციალისტების ბელადებმა რენოდელმა და გრუმბახმა შვეიცარიაში მომხდარ თათბირზე გერმანიის სოციალისტებთან გამოიმუშავეს შეიდემანის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის გაგრძელების გეგმა. (ადს).

ჰინდენბურგმა უარი სთქვა

ბერლინი, 8 იანვარი. ჰინდენბურგმა უარ-ჰყო „ადამიანთა უფლების ლიგის“ თხოვნა მაქს გელცის ამნისტიის შესახებ. (ადს).

უშედეგო მოლაპარაკება

პრაღა, 7 იანვარი. მაღაროს მეპატრონეთა და მემაღაროეთა წარმომადგენლების კონფერენცია უშედეგოდ დამთავრდა იმის გამო, რომ მაღაროს მეპატრონეებს შეურიგებელი პოზიცია ეჭირათ. (ადს).

„ტოვარიშჩის“ რეისი დამთავრდა

როზარიო, 7 იანვარი. საბჭოთა იალქნიანი გემი „ტოვარიშჩი“ 5 იანვარს ჩამოვიდა როზარიოში, რომელიც 400 კილომეტრის მანძილზე იმყოფება ბუენოს-აირესიდან. (ადს).

აღწერის შედეგები აფხაზეთში

სოხუმი, 8 იანვარი. აღწერა აფხაზეთში დამთავრდა დანიშნულ ვადაზე. ყველგან აღწერა წარმატებით ჩატარდა—ფსირცხის გარდა, რომელიც ზამთრობით მიუვალია.

აფხაზეთის ქალაქებში აღრიცხულია 30.591 მცხოვრები, სოფლებში კი—168.005. აქედან მამაკაცია—101.735.

სოც.-დემოკრატები ტრადიციას არ ღალატობენ

ამსტერდამი, 8 იანვარი. ჰოლანდიის პარლამენტის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უარი განაცხადა კომფრაქციის მიერ შეტანილი წინადადების მხარის დაჭერაზე. წინადადება ეხებოდა საყოველთაო ამნისტიას, ჯარების გაყვანას და რეპრესიების გაუქმებას სუმატრაში აჯანყებულთა წინააღმდეგ. კომფრაქციისა და რევოლიუციონური პროფკავშირების გაერთიანების წინადადება პროფკავშირთა რეფორმისტული გაერთიანებისადმი, რომ შეიქნას მთლიანი ფრონტი თეთრი ტერორის წინააღმდეგ ინდონეზიაში უპასუხოდ დარჩა (ადს).

მატარებლის დაჯახება

მოსკოვი, 8 იანვარი. სადგურ არსაკთან (ჩრდილოეთის რკინიგზა) დაიმტვრა სამგზავრო მატარებელი. მოკვდა 16 მგზავრი. მძიმედ დაიჭრა 18 კაცი. (ადს).

კოოპერაცია ციფრებში

მოსკოვი, 8 იანვარი. მუშათა კოოპერაციის ცენტრ. სექციის უკანასკნელი ცნობებით—საბჭოთა კავშირში ამ ჟამად არსებობს 1556 კოოპერატივი, რომელთაც წევრებად ჰყავთ პროფკავშირის 4.259.214 წევრი. საერთოდ კოოპერაციაში ჩარიცხულია პროფკავშირთა წევრების 68 პროცენტი.

პარტკონფერენციის გახსნა

მოსკოვი, 8 იანვარი. 8 იანვარს გაიხსნა მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენცია.

კონფერენცია გახსნა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივანმა ამხ. უგლანოვმა. შესავალ სიტყვაში მან აღნიშნა მოსკოვის ორგანიზაციის მიერ შესრულებული დიდი მუშაობა, კერძოთ ხაზი გაუსვა იმ ბრძოლას, რომელიც ორგანიზაციამ აწარმოვა ოპოზიციის წინააღმდეგ.

საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ბუხარინმა.

ოქტომბრის 10 წლის თავი

მოსკოვი, 8 იანვარი. დამთავრდა პარტიის მუზეუმთა სრ. საკავშირო თათბირი, რომლის მთავარ საკითხს წარმოადგენდა საკითხი ოქტომბრის 10 წლისთავისათვის მზადების შესახებ. პარტიის განყოფილებები ადგილებზე უკვე შეუდგნენ ათი წლით თავისთვის პრაქტიკულ სამზადისს. განზრახულია გამოსაცემად პოპულიარული საგიტაციო წიგნაკები, ისტორიული მასალების კრებულები და ალბომები, რომელნიც მისაწვდომი იქნება მშრომელთა ფართე მასსებისათვის.

საბჭოთა-ბალტიის სატარიფო კონფერენცია

მოსკოვი, 8 იანვარი. 10 იანვარს მოსკოვში იხსნება საბჭოთა კავშირის, ლატვიის, და ესტონიის სატარიფო კონფერენცია პირდაპირი სარკინიგზო მოძრაობის მოსაწესრიგებლად.

კონფერენციის მთავარი საკითხია პირდაპირი ტარიფის დაწესება საბჭოთა კავშირის, ლატვიის და ესტონიის რკინიგზის მოძრაობაში. საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარეთ დანიშნულია ცენტრ. რკინიგზის უფროსის თანაშემწე კირსანოვი.

„ტოვარიშჩმა“ დააფრთხო

ბუენოს-აირესი. 7 იანვარი. არგენტინის პოლიციამ აღკრძალა საბჭოთა იალქნიანი გემის „ტოვარიშჩ“-ის მისვლის გამო კომუნისტების მიერ მოწყობილი დემონსტრაცია.

შუბლმაგართა ახალი კამპანია

ლონდონი, 8 იანვარი. ხანკოუში მომხდარ ამბების გამო გაძლიერდა შუბლმაგართა საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტისაკენ მიმართული კამპანია. განსაკუთრებით დიდ კამპანიას აწარმოებენ „მორნინგ პოსტი“ და „დეილი ტელეგრაფი“.

ახალი კონფერენცია

ლონდონი, 8 იანვარი. „დეილი ჰერალდი“-ს ცნობით, ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრო გაძლიერებულ მუშაობას აწარმოებს ოთხი სახელმწიფოს (ინგლისის, საფრანგეთის გერმანიის და იტალიის) ახალი, ლოკარნოს მსგავსი, კონფერენციის გეგმისათვის. ამ ახალი მეოთხე კავშირის ერთი მიზანთაგანი, გაზეთის სიტყვით, არის ბალტიის ბლოკის შექმნა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რ უ ს ე თ ი

ურთიერთობა გერმანიასთან

მოსკოვი, 8 იანვარი. ვითარდება 1 იანვრიდან გახსნილი სატრანსპორტო და პირდაპირი დამოკიდებულება გერმანიასა და დანციგთან პოლონეთის საშუალებით. ყოველდღე ნეგორელოეში მოდის დაახლოებით 20 რონოდა დატვირთული უმთავრესად მანქანებით და სასოფლო-სამეურნეო იარაღებით. საბჭოთა კავშირიდან ყოველდღე იგზავნება 4—5 რონოდა, დატვირთული ბეწვეულით, მოკლულ ფრინველებით და სკიპიდარით.

ძლიერდება აგრეთვე ტრანსპორტი პოლონეთიდან. ყოველდღე ნეგორელოეში მოდის 70 რონოდა ტვირთით. (ადს).

პროფესორი მაზონი

მოსკოვი, 8 იანვარი. ახლო მომავალში მოსკოვში ჩამოვა ცნობილი ფრანგი მეცნიერი, საბჭოთა კავშირის კარგად მცოდნე, პროფესორი მაზონი, რომელიც ამჟამად საბჭოთა კავშირთან მეცნიერული კავშირის განმამტკიცებელ კომიტეტის მდივანია.

მისი ჩამოსვლის მიზანია მჭიდრო სამეცნიერო კავშირის დამყარება საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის. (ადს).

საგადასახლებლო საქმე

მოსკოვი, 8 იანვარი. საბჭოთა რუსეთის მიწსახკომ. სახკომმა გადასწყვიტა 15 მარტიდან ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, ურალში და ვოლგის მხარეში გაგზავნოს სოფლის რწმუნებულები გადასასახლებელი მიწების ამოსარჩევად. საბჭოთა რუსეთში წელს გამოყოფილია მიწის ნაჭრები 188.000 სულის დასასახლებლად.

ამხ. სერებროვსკის ახალი მოვალეობა

მოსკოვი, 8 იანვ. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს სერებროვსკის დაევალა პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი კომიტეტის მუშაობის მეთვალყურეობა. (ადს).

პური ამიერ-კავკასიისათვის

მოსკოვი, 8 იანვ. საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა გეგმა, რომლის მიხედვით ამიერ-კავკასიაში საერთო მოხმარებისათვის უნდა გამოგზავნილ იქნეს იანვარში 1.300.000 ფუთი პური.

მებამბეობის რაიონებს იანვარში უნდა გაეგზავნოს 390.000 ფუთი პური. (ადს).

ლენინის სახელობის მუზეუმი.

მოსკოვი, 8 იანვარი. ლენინის გარდაცვალების მესამე წლის თავზე მისი სახელობის მუზეუმი იხსნება ახალ შენობაში. მუზეუმის მიერ შეკრებილი კოლექციები იმდენად მდიდარია, რომ აავსებს მთელ ორსართულიან შენობას. მუზეუმს აქვს განყოფილებები: ლენინი და პარტია, ლენინი და სამოქალაქო ომი, ლენინი და გლეხობა, ლენინი და კომინტერნი და სხვ. მუზეუმის ბოლოს არის სამგლოვიარო ოთახი, სადაც მოთავსებულია 1924 წ. სამგლოვიარო კვირის 21—27 იანვრის დამახასიათებელი მასალები. (ადს).

ტექნიკური ლიტერატურა

მოსკოვი, 8 იანვარი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებასთან გამართულ თათბირზე მოსმენილ იქნა სახალხო მეურნეობის უმაღლესსაბჭოს წარმომადგენლის სვერდლოვის მოხსენება მასიური ტექნიკური ლიტერატურის გამოცემის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიის პოლიტიკის წარმატებით გატარება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში, ჩვენს წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით აყენებს იმ საკითხების სწორად გადაჭრის პრობლემას, რომელნიც დაკავშირებული არიან მუშათა და უფროსთა შემადგენლობის კვალიფიკაციის გადიდებასთან მრეწველობაში. კვალიფიკაციის გადიდება და წარმოებათა პირადი შემადგენლობის გადამზადება უნდა სწარმოებდეს ინსტიტუტების და კურსების მოწყობის, აგრეთვე ტექნიკური ლიტერატურის გამოცემის ხაზით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასიური ტექნიკური ლიტერატურის გამოცემას იმ მუშათა კადრებისათვის, რომელნიც ეხლა ებმებიან მრეწველობაში. ამჟამად მუშებისათვის ტექნიკური ლიტერატურის გამოცემა არ ხდება გარკვეული პროგრამით. შემდეგში გაფართოებული უნდა იქნეს ასეთი სახის ლიტერატურის გამოცემა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახელმძღვანელოების ტიპის წიგნებს. საჭიროა მუშათა ფართო მასებს კონკრეტიული ცოდნა მივცეთ ცალკე წარმოებათა დარგებში, ხელი შევუწყოთ შრომის ნაყოფიერების რეალიზაციას და გადიდებას.

თათბირმა დაადგინა შემუშავებულ იქნეს სათანადო ფურცლების, ბროშიურების და ჟურნალების გამოცემის პროგრამა და გეგმა. მუშაობის ხელმძღვანელობა მიენდო სვერდლოვს. ამასთან ერთად თათბირმა საჭიროდ სცნო ყველა გამომცემლობანი გაერთიანებულად მუშაობდნენ მასიური ტექნიკური ლიტერატურის გამოსაცემად. ამ მიზნით რეგულიარულად უნდა იმართებოდეს ცეკას ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებასთან თათბირები სათანადო გამომცემლობათა და ბეჭდვითი სიტყვის გამომცემლობათა წარმომადგენლების თანადასწრებით.

ტექნიკური ლიტერატურის გავრცელება ევალება სახელმწიფო გამომცემლობას, რომელიც ამ გავრცელების საქმეში აბამს ყველა იმ ორგანიზაციებს, რომელთაც კავშირი აქვთ წიგნების ფართო მომხმარებლებთან.

საჭიროდ იქნა ცნობილი ავტორების გამოძებნა კვალიფიციურ მუშებს შორის. სარედაქციო-საგამომცემლო გეგმები საწარმოო თათბირზე უნდა იქნენ განხილული.

რომ ამ საქმეს მტკიცე ფინანსიური ნიადაგი ექნეს, თათბირს საჭიროდ მიაჩნია სახელმწიფო თანხებიდან ამ მიზნისათვის გადაიდოს 500.000 მანეთი.

იანვრის მეორე ნახევარში განზრახულია ამ საკითხის შესახებ მოხსენება იქნეს გაკეთებული საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების კოლეგიაში (ადს).

ლ. ტოლსტოის დაბადების 100 თავზე

ლენინგრადი, 8 იანვარი. 1927 წლის 28 აგვისტოს ასი წელი სრულდება ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის დაბადების დღიდან. ამის გამო მთავარი სამეცნიერო სამმართველო აწყობს საკავშირო კომიტეტს დიდი მწერლის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

ჩერტკოვისაგან მიღებულია ცნობა, რომ ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის ნაწერების პირველი სრული, დედნებთან შედარებული 96 ტომიანი კრებულის ბეჭდვა დაიწყება თებერვალში. ეს გრანდიოზული გამოცემა განხორციელდება 3 წლის განმავლობაში. ტოლსტოის ნაწერები დაიბეჭდება სრული ქრონოლოგიური წესით.

სარედაქციო კომისიაში შედიან: ჩერტკოვი, ტოლსტაია, გრუზინსკი, საკულინი, პიკსანოვი; შჩუსევი; ციავლოვსკი და შოხორ - ტროცკი.

საიუბილეო ზეიმზე მრავალრიცხოვან დელეგატებს მოელიან უცხოეთიდან.

მიღებულია ცნობები, რომ ტოლსტოის საიუბილეო კომიტეტები დაარსებულია გერმანიაში, ინგლისში და ჩეხო-სლოვაკიაში. (ადს).

როგორი უნდა იყოს ჩვენი პრესა

ხარკოვი, 8 იანვარი. „ვსეუკრაინსკი პროლეტარი“-ში დაბეჭდილია უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას გენერალურ მდივნის ამხ. კაგანოვიჩის წერილი ზოგიერთ გადამახინჯებათა შესახებ, რომელთაც ამ უკანასკნელ დროს ადგილი აქვს პარტიულ პრესაში.

წერილში ნათქვამია: „მე თქვენს გაზეთში წავიკითხე ცნობა, რომელიც შეეხებოდა ჩემს გამოსვლას ოქტომბრის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ყველა ეს „მქუხარე ოვაციები“, ყოველგვარი „ხმები“ და ატრიბუტები რეპორტიორის მიერ მოგონილია, მე ვფიქრობ, რომ ამას რომ ადგილიც ჰქონოდა, ყოვლად დაუშვებელია ჩვენს პარტიულ პრესაში ასეთი უმსგავსოდ გაზვიადებული რეკლამური კილო. საერთოდ, ამ უკანასკნელ დროს ზოგიერთ ჩვენს გაზეთში შეამჩნევდით, რომ იმის მაგიერ, რომ საკითხის იდეური მხარე ბოლშევიკური გამობრძმედილობით იქნეს გაშუქებული, ძალიან დიდი ყურადღება ექცევა ფორმალური და თვით დეკორატიულ მომენტებს. ამავე დროს გაზეთების რედაქტორები არა საკმაო ყურადღებით აკვირდებიან სერიოზულ პოლიტიკურ ცნობებს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებას მართებს სერიოზული ყურადღება მიაქციოს ამას. ბოლშევიკურ პრესაში ადგილი არ უნდა ექნეს ყვითელ-ბულვარულ პრესის ხერხებს. მოგონილი რეპორტიორები, რომელთაც ეს უმსგავსობა ჩვენს გაზეთებში გადმოაქვთ, დაუზოგავად განდევნილი უნდა იქნენ გაზეთებიდან“ (ადს).

ბაქოს მეთექვსმეტე პარტკონფერენცია

კ ა მ ა თ ი

ა.-კ. საოლქო კომიტეტის მოხსენების გარშემო

ბაქო, 7 იანვარი. 5 იანვარს, პარტკონფერენციის დილის სხდომაზე კამათში ამ.-კავ. საოლქო კომიტეტის მოხსენების გარშემო პირველად გამოდის ამხ. გრიგორიანი, რომელიც ეხება რკინიგზის სამმართველოს აპარატში არსებულ ბიუროკრატიზმს. ორატორს მოჰყავს მაგალითები, როცა რამოდენიმე საგუშაგოს აშენების შესახებ მიწერ-მოწერა სწარმოებდა 8 თვის განმავლობაში, რის შემდეგ აშენება ნებადართულ იქნა ხარჯთაღრიცხვით 650 მანეთამდე, მაშინ, როცა პირველად ნავარაუდევი იყო მხოლოდ 100 მანეთი. ორატორს მოჰყავს აგრეთვე საათის ყიდვის მაგალითი, როცა 8 თვის მიწერ-მოწერის შემდეგ მოვიდა ცნობა: „წინადადება გეძლევათ 1926-27 წლის ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს მხედველობაში მიიღოთ ეს“.

„ეს განა ბიუროკრატიზმი არ არის?“—ამბობს დასასრულ ამხ. გრიგორიანი.

ამხ. რაგიმოვი აღნიშნავს, რომ ჩვენი მრეწველობის ზოგიერთ დარგებში არავითარი გეგმიანობა არ არსებობს.

„ჩვენ ვიცით,—ამბობს ამხ. რაგიმოვი,—რომ აზერბეიჯანის ყურძნიდან საუკეთესო კონიაკი, სპირტი და არაყი მზადდება, მაშინ, როცა ქართული ყურძნიდან შეიძლება დამზადდეს ღვინოები. ჩვენში კი ყველა აკეთებს იმას, რაც თვითონ სურს“.

ამხ. პარუშინი, ჩერდება ბიუჯეტის საკითხზე და აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის ბიუჯეტი საკავშირო ბიუჯეტზე ნაკლებად იზრდება. მაშინ, როცა მოსახლეობის მოთხოვნილებათა ზრდა დაჟინებით მოითხოვს ჩვენი ბიუჯეტის გადიდებას.

ამხ. ასქარ ეფენდიევი ჩერდება სამეურნეო აღმშენებლობის პირველ მიღწევებზე. ორატორის სიტყვით, აღმშენებლობის ახალ ეტაპზე მეტად დიდ მნიშვნელობას ღებულობს გეგმიანი მუშაობა, ამიერ-კავკასიაში კი ადგილი აქვს სეპარატიულ ტენდენციებს: თითეულ რესპუბლიკას სურს აუცილებლათ ააშენოს რამე თვითონვე, დამოუკიდებლათ იმისგან, თუ რამდენათ ეკონომიური და მიზანშეწონილია ეს. ორატორს მაგალითისათვის მოჰყავს ცემენტის ქარხანა: თვითეულ რესპუბლიკა ითხოვს ქარხნის აგებას მის ფარგლებში. მეორე მაგალითი—ამას წინად სამივე რესპუბლიკამ ერთდროულად შემოიტანა განცხადება ელექტრო-სადგურის აგების შესახებ, ამ შემთხვევაშიაც საკითხის წინასწარ და ერთად დამუშავების გარეშე.

ასეთ ტენდენციებს, ამბობს ამხ. ეფენდიევი, უნდა ვებრძოლოთ, უნდა ავლაგმოთ ეს სტიქიონი, უნდა დაისვას საკითხი ისე, რომ ბ- იყოს გაერთიანებული აპარატი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს და მიმართულებას მისცემს სამრეწველო აღმშენებლობას. ამიტომ მგონია, რომ სავსებით დროულია დაისვას საკითხი ამ.-კავ. სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს ორგანიზაციის შესახებ“.

ეხება რა პარტიულ საკითხებს, ამხ. ეფენდიევი ჩერდება ამიერ-კავკასიის ზოგიერთ პარტორგანიზაციების შემადგენლობის ზრდისა და მოწესრიგების საკითხზე და მიუთითებს პარტიაში მუშების პროცენტის რამოდენიმეთ შემცირებაზე.

„ეს მოხდა იმიტომ, ამბობს ამხ. ეფენდიევი, ზოგიერთები გაიტაცა თავის პარტორგანიზაციის რიცხვობრივმა შემადგენლობამ. ეს ხაზი ყოვლად უვარგისია“.

ამხ. ეფენდიევის სიტყვას კონფერენცია ხანგრძლივი ტაშით ხვდება.

5 იანვარის დილის სხდომაზე კიდევ გამოდის მთელი რიგი ორატორები.

საღამოს სხდომაზე პირველად გამოდის ამხ. სადიხოვი, რომელიც აღნიშნავს, რომ მომჭირნეობის რეჟიმი, როგორც ეს ტარდება სხვა ორგანიზაციებში, ამიერ-კავკასიის რკ. გზაზე არ არსებობს.

ამხ. რისვანი აღნიშნავს, რომ თუ ამ.-კავ. საოლქო კომიტეტის მუშაობაში არის სუსტი მხარე, ასეთად უნდა ჩაითვალოს მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა შორის.

ამხ. ქადიროვის აზრით, აუცილებელია, რათა ამ.-კავ. საოლქო კომიტეტის მოხსენების გარშემო მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულ იქნეს, რომ ლენინის ანდერძი მის წერილში ამიერ-კავკასიელ კომუნისტებისადმი (ქვეყნის საწარმოო ძალების აწევა, ეროვნულ მშვიდობიანობის განმტკიცება) შესრულებულია.

კიდევ მთელ რიგ ორატორების გამოსვლის შემდეგ, ლენინის სახელობის საფეიქრო ფაბრიკ. მუშების სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოდის თურქი მუშა-ქალი კასიმოვი, რომელიც ამბობს:

„ჩვენ მუშა-ქალები ვხედავთ საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს. სანამ ჩვენი პარტია ჩაბმულია წარმოების აღმშენებლობაში და პოლიტიკურ საკითხების გადაჭრაში, ჩვენ ქალებსაც არ გვძინავს. ჩვენმა მუშა-ქალებმა გამომგზავნეს მე აქ რომ გითხრათ, რომ ჩვენ დაგეხმარებით თქვენ სოციალიზმის აღმშენებლობაში. გაუმარჯოს კომპარტიას! გაუმარჯოს პარტიულ კონფერენციას“. (ტაში).

შემდეგ, საბოლოო სიტყვით გამოდის ამხ. [illegible]აშვილი, რომელსაც კონფერენცია ხანგრძლივი ტაშით და „ურას“ ძახილით ხვდება.

ამხ. მამია ორახელაშვილის

ს ა ბ ო ლ ო ო ს ი ტ ყ ვ ა

ბაქო, 8 იანვარი. ბაქოს პარტკონფერენციის 6 იანვრის საღამოს სხდომაზე საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ორახელაშვილი.

— ამხანაგებო, მე ვფიქრობ, რომ სწორედ მოვიქცევი, თუ განვსაზღვრავ ჩემს საბოლოო სიტყვას და ჩამოვაყალიბებ ორ-სამ საკითხის გარშემო. მე ულრმესი კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ კონფერენციაზე გამოსული ყველა ამხანაგები ისე ლაპარაკობდნენ, ისე სვამდნენ საკითხებს და ისე გამოჰქონდათ საკუთარი გადაწყვეტილებები ამ საკითხების გარშემო, რომ საერთოდ და მთლიანად მე, როგორც მომხსენებელი, ვღებულობ მათ განცხადებას.

ამხ. გრიგორიანის, რუსტამ-ქერიმის, სლავნიცკის, რიაბოვის, მამიდ ამანულას, ასკარ ეფენდიევის, პარუშინის, რაგიმოვის, რასულოვის, ნადიროვის და სხ. მოხსენებები დასაბუთებული და დამარწმუნებელია, და ამიტომ საუკეთესო იქნება, რომ მე არ გამოვეკამათო მათ, არამედ დავინიშნო ყველა საქმიანი წინადადებები და უახლოეს ხანში გავატარო ისინი ცხოვრებაში. ერთად-ერთი, რაც მე მინდოდა შემენიშნა ამხ. გრიგორიანისათვის, ეს ის, რომ არ შეიძლება საკითხის დაწვრილებით შეუსწავლელად მოითხოვო რკინიგზების მმართველობის დეცენტრალიზაცია (მე მხედველობაში მაქვს მმართველობის სისტემა და არა ასეთი უმსგავსი რეჟიმი, როცა საათის ყიდვისათვის უნდა დაიცადო 1928 წლამდე და შეიტანო ეს ხარჯი წლიურ საბიუჯეტო გეგმაში—ეს ცენტრალიზაციაქმნილი უმსგავსოებაა). ჯერ უნდა ყოველმხრივ დამუშავდეს საკითხი და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია მოითხოვოთ ცენტრალიზაციის მოსპობა და დეცენტრალიზაციაზე გადასვლა.

ნადიროვს მე უნდა ვუპასუხო, რომ აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს კომპარტიების არსებობა (ისე, როგორც უკრაინის, ბელორუსიის და სხ.) თავისი ცენტრალური კომიტეტებით გათვალისწინებულია საკ. კომ. პარ. (ბ) საერთო წესდებაში. ცნობილია, რომ ეს არ იწვევს რაიმე უთანხმოებას მთლიან და საერთო პარტიაში, ხოლო აქ კი ააღვილებს მუშაობას მრავალ ეროვან ამიერ-კავკასიის პირობებში. ნადიროვის წინადადება, ცხადია, არ აყენებს ახალ პრინციპიალურ საკითხს და ის გამომდინარეობს მხოლოდ მიზანშეწონილობიდან, მაგრამ ამ მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ეს საკითხი გადაწყვეტილი იყო ისე, როგორც ჩვენს პარტიულ წესდებაშია აღბეჭდილი.

ახლა, ამხანაგებო, მე მინდოდა აღმენიშნა უაღრესად სასიხარულო ფაქტი,—რომ კონფერენცია თავის თვალყურის ქვეშ აყენებს ამიერ-კავკასიის ფედერაციის საქმეებს.

რუს. კომ. პარ. (ბ) ცეკას კავკასიის ბიუროს ბაქოს პროლეტარიატმა ჩაუნერგა ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის აზრი. ესევე პროლეტარიატი, რომელსაც ეკუთვნის ამ ფედერაციის მშობლიური უფლება, გულისყურით ეკიდება დღეს ყოველგვარ წვრილმან და საეჭვო ტკივილს ამ ფედერაციაში და სვამს საკითხს ამიერ-კავკასიის ერთა ამ კავშირისათვის ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენისა და მისი შემდგომი განმტკიცების შესახებ. ცხადია, ასეთი კონფერენციის შემდეგ, რომელიც უდავოა, გამოხატავს ბაქოს პროლეტარიატის ნებისყოფას და სულისკვეთებას, უფრო ენერგიული, უფრო ნაყოფიერი, უფრო ხალისიანი იქნება ჩვენი მუშაობა, მიმართული ამიერ-კავკასიის ფედერაციის შემდეგი განმტკიცებისაკენ, და ჩვენ, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ნებით, ამიერ-კავკასიის პოსტებზე მდგარნი, ჩვენ მხრივ უფრო მეტი გულისყურით მოვეკიდებით ყოველგვარ წვრილმან ტკივილს და პარტიულ და საბჭოთა იარაღით მოვსპობთ ყველა იმ იარებს, რომლებიც არსებობენ და რომელნიც აღარ უნდა არსებობდენ ჩვენს ამიერ-კავკასიის ფედერაციის სხეულზე. აი, ამიტომ არის მნიშვნელოვანი, როგორც საერთო პოლიტიკური, ისე სამეურნეო თვალსაზრისით, ეფენდიევის წინადადება ჩვენს სამეურნეო ორგანიზაციების სათავეში ჩადგმისა და მათი სათანადო მომწესრიგებელ, ხელმძღვანელ ორგანოთი—ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოთი—დაგვირგვინების შესახებ, რომელიც ხელში აიღებს მთელი მშენებლობის გეგმიან ხელმძღვანელობას. ეს წინადადება დროულია, ხოლო მისი რეალური განხორციელება საჭიროა შეეფარდოს იმ მდგომარეობას, იმ რეალურ პერსპექტივებს, რომლებიც დასახული აქვს ჩვენს მრეწველობას მიმდინარე სამეურნეო წლისათვის.

ზრუნვა ამიერ-კავკასიის ფედერაციის მთლიანობაზე მოსჩანს იმ წინადადებებშიაც, რომლებიც მოითხოვენ უფრო სასტიკი ბრძოლის წარმოებას კონტრ-რევოლიუციის გამოსვლების წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც დღეს იწყებს თავის სოროებიდან ძრომას და გასისხლიანებული თათის წაპოტინებას იმ ეროვნულ მშვიდობიანობაზე, იმ სამეურნეო მიღწევებზე, რომლებიც გვაქვს ჩვენ აქ, სადაც ჯერ კიდევ ახლო წარსულში გამართეს თავისი სისხლიანი ნადიმი ამიერ-კავკასიის ბოროტმა გენიებმა. რასაკვირველია ჩვენ არ შეგვიძლია დამშვიდებული ვიყოთ და ვსტკბებოდეთ იმით, რომ გვაქვს ეროვნული მშვიდობიანობა და მნიშვნელოვანი მიღწევები ჩვენი რესპუბლიკების სამეურნეო აღორძინების საქმეში. ყოველი კომუნისტისა და საბჭოთა რევოლიუციის მოღვაწის ძირითად მცნებად უნდა ჩაითვალოთ ის, რომ არასდროს არც ერთი წუთითაც არ გვავიწყდებოდეს, რომ ჩვენ მხოლოდ ჩვენი მძიმე გზის დასაწყისში ვართ, რომ ჩვენ გადავლახეთ დიდი სიძნელეები და რევოლიუციონური იერიშით ავლაგმეთ ჩვენი მტრები, მაგრამ ძირბუდიანად და საბოლოოდ არ აღმოგვიფხვრია ეკონომიური რეაქციის ფესვები, რომლებიც, რასაკვირველია, კიდევ განაგრძობენ პოლიტიკური რეაქციის კვებას.

მაგრამ რეაქცია, რომელიც სცდილობს გამოიყენოს საბჭოთა წესწყობილებისაგან დაზარალებულ ფენების უკმაყოფილება, მოახდინოს კლასიურ ძალთა გადაჯგუფება ჩვენს რესპუბლიკებში, აი, ეს რეაქცია საკმაოდ დაუძლურებულია, რომ იფიქროს უშუალო ბრძოლაზე ჩვენს წინააღმდეგ და სამოქალაქო ომის საშუალებით ჩვენი ხელიდან ძალაუფლების გამოგლეჯაზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ—პარტია, საბჭოთა ხელისუფლება, პროფკავშირები და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა—უნდა ვიყოთ მზად და, რასაკვირველია, ჩვენთან ერთად ჩვენი არმიაც და სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოც. ეს უდავოა. გავაძლიეროთ ბრძოლა? რასაკვირველია, მაგრამ როგორ, რა მეთოდებით? მე ვფიქრობ, რომ დღეს ამ საკითხში ჩვენ გამარჯვებულნი გამოვალთ, ბრწყინვალეთ, რომ ჩავატაროთ ჩვენი საარჩევნო კამპანია. ამ კამპანიის ჩატარება გამარჯვებულად, იქნებოდა ჩვენი მტრების პოლიტიკური უძლურების მორიგი დემონსტრაცია. მოდით თვისობრივად გავაძლიეროთ სამეურნეო მუშაობა, მასში ფართო მასების ჩაბმით. თუ ვინმეს შეიძლება ეკუთვნოდეს რეპრესიების უფლება, ეს, რასაკვირველია, მხოლოდ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, შრომის წესწყობილების დამცველს დამმონებელთა რეაქციისაგან. თუ გვაიძულებენ ჩვენ ამ უფლებას კიდევ გამოვიყენებთ. ჩვენ არ გადავჩვეულვართ იარაღის ხმარებას. ჯერ-ჯერობით ვიმუშაოთ და კიდევ ვიმუშაოთ.

გულწრფელი ერთგულება ჩვენი ფედერაციისადმი მოსჩანდა მამედ-ამანულლოს, ისრაფილ-რაგიმოვის და სხვ. სიტყვებში, რომლებიც ერთის მხრივ აღნიშნავდენ ჩვენი სამეურნეო მდგომარეობის ზოგიერთ სამწუხარო სუსტ მხარეებს, ხოლო —მეორეს მხრივ უშუალო, მჭიდრო და წმინდა ურთიერთობის უქონლობას ჩვენი რესპუბლიკების მშრომელებს შორისა და, აგრეთვე, მითითებას პროფმოძრაობის ამიერ-კავკასიის ორგანოს ავტორიტეტის დაცვის აუცილებლობაზე. ჯერ დევ 1923 წელს, საქართველოს კომკავშირის მე-6 ყრილობაზე მე წამოვაყენე წინადადება ახალგაზრდათა ექსკურსიების მოწყობის შესახებ, ერთი რესპუბლიკიდან მეორეში, მაგრამ ეს წინადადება არ იქნა გატარებული ცხოვრებაში. გარდა ფეხბურთელებისა, სხვა არავინ ანხორციელებს პრაქტიკულად ურთიერთობის და სოლიდარობის ზრდის ასეთ მეთოდს. ახლა მამედ-ამანულია აყენებს ამ საკითხს მუშების მიმართ. სწორეა. ჩვენთან მოდიან მუშების დელეგატები ევროპიულ ქვეყნებიდან. ჩვენს მუშებს კი მხოლოდ იშვიათად და ისიც შემთხვევით ამ.-კავ. ცაკის სესიების დროს თუ აქვთ მეტად შეზღუდული შესაძლებლობა ნახონ მეორე რესპუბლიკა, გაიცნონ შრომის მოძმენი, საბჭოთა ხელისუფლება და გაიხარონ საერთო მიღწევებით.

დასასრულ—რამოდენიმე სიტყვა საგარეო პროვოკაციის შესახებ. სხვანაირად ვერც უწოდებთ იმას, რაც სპარსეთის პრესაში ხდება, და რაც მრავალმა ამხანაგებმა აცნობა კონფერენციას იმ გაზეთების ამონაწერისა და პროკლამაციების გამოქვეყნებით, რომლებიც რეშტში გამოდიან..

იმპერიალისტური ძალა, რომელიც დაინტერესებულია რომ რაიმე გზით ჩამოგვაშოროს საბჭოთა კავშირთან მტკიცე ურთიერთობაში მყოფი აღმოსავლეთის სახელმწიფონი, საბჭოთა კავშირის ყოველმხრიდან გარემოცვის გეგმის განსახორციელებლად არ ზოგავს ენერგიას გაამწვავოს და გააზვიადოს ანტაგონიზმი საბჭოთა კავშირსა და იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის (სპარსეთი, ავღანისტანი, [illegible] და სხვა).

ყველაფერი ის, რაც ეხლა ხდება თუნდ სპარსულ პრესაში, ეს შეკვეთით ატეხილი ყეფაა. ამიტომ ჩვენ არ შეგვეფერის წამოვეგოთ ამ პროვაკაციაზე. მათი ანგარიში მარტივია: „მოსყიდული“ კალმები გაგვაბრაზებენ, ჩვენ ვერ ავიტანთ, და არა თუ გამოვეხმაურებით, არამედ გადავალთ კონტრ შეტევაზე, კარტები შეიძლება აირ-დაიროს და ამგვარად იმპერიალისტები და მათი ლაქიები მოგებული დარჩებიან. არა, ამხანაგებო, ჩვენ არ გავებმებით ჩვენი და სპარსეთის მშრომელთა მტრების ხაფანგში. ჩვენ გვქონდა და გვაქვს გზა მთელი ქვეყნის მშრომელებთან დასაახლოვებლად. ჩვენ, როგორც პარტია, არასოდეს არ ვიტყვით უარს ჩვენ საზღვარს იქით მყოფ ძმების, შრომით დანათესავებულ ძმების დახმარებაზე, აღმოსავლეთის ერების დახმარებაზე, რადგან ჩვენ კომინტერნის ერთი ხელმძღვანელი პარტიათაგანი იმიტომაცა ვართ, რომ ბოლომდე შევასრულოთ კომინტერნის მოვალეობანი. ამ მხრით არავისათვის არასოდეს დაპირება არ მიგვცია, რომ კომუნისტური მოვალეობისა და მორალისაგან დაკისრებულ და ვალებებზე ოდესმე უარი განვაცხადოთ. საბჭოთა სახელმწიფოს განსაზღვრული ხელშეკრულებითი ურთიერთობა აქვს სხვადასხვა სახელმწიფოებთან. მაგრამ კომინტერნს, რასაკვირველია, არც ჩემბერლენთან და არც მისს ნებსით და უნებლიე ვასალებთან არავითარი ხელშეკრულება არ აქვს და არც შეიძლება ექნეს .ამიტომ ჩვენ არ ვერიდებით ნიღაბი ავხადოთ ჩვენი ქვეყნის და აგრეთვე სხვა ქვეყნების მშრომელთა მასსების წინაშე მუშათა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას. ვინ ამბობს, რომ თეირანულ გაზეთებს შეუძლიათ ცილი სწამონ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას, ხოლო ჩვენ უნდა დავდუმდეთ ანუ ვაქოთ კიდეც შაჰების ხელისუფლება? ამას არავინ არ ამბობს, არავის ჩვენგან ეს არ მოუთხოვია რა არც ითხოვს.

მაგრამ, საჭიროა გავარჩიოთ ორი მოვლენა: ბრძოლა დაქირავებულ კალმოსნების წინააღმდეგ უნდა სწარმოებდეს გარკვეული მიმართულებით. მაგრამ არაფრის გზით იგი ხელს არ უნდა უწყობდეს იმპერიალიზმის გეგმის გატარებას. ჩვენ ხომ ვიცით, რომ შეუძლებელია ქვეყანაზე გავრცელებულ იქნეს იგივე მასშტაბი, რომელიც სავალდებულოა ჩვენი კავშირების და, წამოიდგინეთ ისეთი განვითარებული ქვეყნის პროლეტარიატისათვის, როგორიც ინგლისია. იქ დამოკიდებულება სულ სხვაგვარია. როცა ჩვენ „ვაფასებთ“, ვსთქვათ, მაკდონალდს, ჩვენ, რასაკვირველია, ანგარიშს უწევთ შეხედულებათა ჩამორჩენილობას და ცრუმორწმუნეობას ინგლისის პროლეტარიატისას, რომელზედაც ამ მაკდონალდს, სამწუხაროდ, კიდევ აქვს ერთგვარი გავლენა. ასე რომ, ინგლისის მუშათა კლასი ყველა გინებას ვერ გაიგებს, როგორც მისთვის გამოსადეგს გინებას, რომელიც აფხიზლებს მის გონებას. მით უმეტეს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს რევოლიუციონურ პარტიის მოკლებულ, პროლეტარიატის კადრებს მოკლებულ, ჩამორჩენილ ერის მასებთან, რომელთაც, უკეთესს შემთხვევაში, მოწინავე მებრძოლთა რაზმებში ჰყავს—ბაზრის ვაჭრები, ხელოსნები და ერთგული მუშები. ჩვენ მეტის მეტი სიფრთხილით უნდა მოვკიდოთ ხელი კრიტიკის იარაღს, რადგან ეს იარაღი, თუ ერთგვარ ფარგლებს გადასცდა, შეიძლება სულ სხვაგვარად იქნეს გაგებული.

სწორედ ეს უკუღმართი გაგება სჭირიათ ჩვენს მტრებს, მათ უნდათ, რომ ამ ხალხებში, რომლებითაც ერთად ჩვენ გვინდა შევქმნათ მშრომელი კაცობრიობის მომავალი ისტორია, რომ ამ ხალხებში, ჩვენი გალაშქრება მათი მტრების წინააღმდეგ, გაიგონ ისე, როგორც თვით მათ წინააღმდეგ გალაშქრება.

ამიტომ საჭიროა ერთგვარი სიფრთხილე, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ არა მარტო გონიერება, არამედ ამ მასსების შეუგნებლობაც. ამიტომ, რაც გინდათ მისყიდულ მჯღაბნელების ჭორებს საბჭოთა პროლეტარიატის მართალი სიტყვით უპასუხოთ, უნდა გახსოვდეთ, რომ უმცირესმა შეცდომამ, შეიძლება სულ წინააღმდეგი ნაყოფი გამოიღოს.

დასასრულ, ნება მიბოძეთ, ამ.-კავ. საოლქო კომიტეტის სახელით განუცხადო კონფერენციას რომ ყველა ფაქტიურ შესწორებებს და საქმიან შენიშვნებს მუშების მხრით, რომელნიც არა მარტო წარმოადგენენ ფიზიკურ მომუშავეებს, არამედ შესწევთ უნარი წარმოების ყველა ნაკლულოვანებები გააშუქონ კომუნიზმის თვალსაზრისით, ყველა ამ შენიშვნებს უახლოეს ხანში ჩვენ დავსვამთ დღის წესრიგში დასამუშავებლად და განსახორციელებლად. (ხანგრძლივი ტაში).

საბჭოების ახალი არჩევნები

საბჭოების გამოცოცხლება უმთავრესი ლოზუნგია

ორი წელია, რაც პარტიამ დაიწყო საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკის გატარება. მისი შედეგები, განსაკუთრებით სოფლად, უკვე გვაქვს. ამის შესახებ ბევრი რამ იყო ნათქვამი. მაგრამ ეს შედეგები არის ამ პოლიტიკის მხოლოდ პირველი ნაყოფი. საბჭოების ნამდვილი გამოცოცხლება ჯერ კიდევ წინაა. საბჭოების ნამდვილი გამოცოცხლება ნიშნავს მუშათა კლასის მიერ მთელ სახელმწიფო აპარატის სრულ დაუფლებას. საბჭოების ნამდვილი გამოცოცხლება ნიშნავს სახელმწიფო აპარატის მთელს მუშაობაში გლეხობის და მშრომელთა სხვა ფენების ფართე მასების აქტიურ მონაწილეობას პროლეტარიატის ხელმძღვანელობის ქვეშ.

ამ მხრივ ჩვენ ჯერ ძლიერ ცოტა გვაქვს გაკეთებული. ტყვილად არ ღრღნის ჩვენს საბჭოთა დაწესებულებებს ბიუროკრატიზმი და მოხელეების ძველი ჩვეულებები. იქაც კი, სადაც დაწესებულებების სათავეში თითქმის ათი წლის განმავლობაში არიან ჩვენი ამხანაგები—პარტიულები,—იქაც მასებისაგან, პირველ ყოვლისა, მუშებისაგან მოწყვეტა მრავალ შემთხვევაში ჩვენი მმართველობის ორგანოების უაღრესად დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს.

პარტიის სისტემატიური მუშაობა სახელმწიფო აპარატის მუშაობაში მასების ჩასაბმელად, მასების, რომელთა კულტურული დონე სწრაფად იზრდება,—სოციალიზმის მშენებლობის მთელი ეპოქის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად რჩება. ამიტომ ღებულობს ასეთ მნიშვნელობას საბჭოების გამოცოცხლების ლოზუნგი, როგორც დიდი ნაბიჯი საბჭოთა დემოკრატიზმის განვითარების საქმეში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბჭოების გამოცოცხლება უნდა იქნეს პარტიის ძირითად ლოზუნგად საბჭოების გადარჩევის ამ კამპანიაშიაც.

რა და რატომ არ ესმის ოპოზიციას

საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრა ოპოზიციამ. ამხ. ტროცკიმ განაცხადა კიდეც, რომ ის უარს ამბობს ილაპარაკოს საბჭოების გამოცოცხლებაზე „საერთოდ“. თითქოს, ამ ლოზუნგში, რომელიც სიტყვა-სიტყვით აღებულია ლენინის ნაწერებიდან (იხ. მე-18 ტომი ნაწ. 1,, გვ. 341) არ იყოს ნათელი კლასობრივი შინაარსი. ოპოზიციონურმა კრეტინიზმმა იმდენად დაუბნელა თვალები პარტიის პოლიტიკის მოწინააღმდეგეებს, რომ ისინი ჩვენს საბჭოებში უკვე ვეღარ ხედავენ პროლეტარულ სახელმწიფოს მმართველობის სისტემას. მიუხედავათ ოპოზიციონერთა ლაყბობისა საბჭოთა სისტემა ჩვენს ქვეყანაში ისევ რჩება მსოფლიოში პირველ და ჯერ-ჯერობით ერთად-ერთ პროლეტარულ სახელმწიფოთ.

ეს მაგალითი კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს ოპოზიციონური ბლოკის გადახრის ანტიპროლეტარულ ხასიათს. ის (ოპოზიციონური ბლოკი) აქაც გამოდიოდა, თითქოს, წმინდა კლასობრივი თვალსაზრისით, წმინდა პროლეტარული ხაზით. სინამდვილეში კი ის იყო თავისებური იდეოლოგიური გამოხატულება და პოლიტიკური ფარი სახელმწიფო აპარატში მოკალათებულ იმ ბურჟუაზიულ-ბიუროკრატიულ ელემენტებისა, რომელთაც არ შეუძლიათ წინააღმდეგობა არ გაუწიონ საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკას, საბჭოების მუშაობაში მასების ჩაბმის პოლიტიკას, ე. ი. სახელმწიფო აპარატში ბიუროკრატიზმის და ბურჟუაზიულ - ჩინოვნიკურ ელემენტების წინააღმდეგ საფუძვლიან ბრძოლის პოლიტიკას. ასე ყველაფერში — ოპოზიციონურ სიტყვებს ეფარება პროლეტარიატისათვის კლასობრივათ უცხო იდეური და პოლიტიკური შინაარსი.

ოპოზიცია ისე აშკარათ, როგორც ამხ. ტროცკი, როდი გამოდიოდა საბჭოების გამოცოცხლების წინააღმდეგ. იმავე ამხ. ზინოვიევს და კამენევს შეგვიძლია უპოვოთ სიტყვები პარტიის ამ პოლიტიკის სასარგებლოთაც (წინად) და წინააღმდეგაც (უკანასკნელ დროს). განა აშკარა არ არის, რომ ეს ფაქტი სამარცხვინოა არა პარტიისათვის, არამედ ოპოზიციისათვის. პარტიამ და მუშათა კლასმა უნდა უკუაგდონ ტროცკიზმის ჭაობში ჩაფლულ პოლიტიკოსების ეს უბადრუკი წინააღმდეგობანიც. ამ ჭაობიდან ისინი (ოპოზიციის წარმომადგენელნი) ბევრ რამეს ვერ ხედავენ პროლეტარულ რევოლიუციის ლენინურ პერსპექტივებიდან. მაგრამ დეე თვითეული დარჩეს იმასთან, რისკენაც, ალბათ, „არა შემთხვევით“ მას იწვევს „სულიერი ნათესაობა“. პროლეტარიატს კი, რომელიც მიდის სოციალიზმის აღმშენებლობის გზით, შეიძლება ექნეს მხოლოდ ერთი პერსპექტივა — სახელდობრ ის, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია საბჭოების გამოცოცხლების გაფართოებასა და გაძლიერებასთან. ამიტომ საბჭოების გამოცოცხლების ლოზუნგი—ის ლოზუნგია, რომლის ქვეშაც ჩატარდება საბჭოების ახალი არჩევნები 1927 წელს.

არჩევნები ჩვენი პარტიის პოლიტიკის მასიური შემოწმებაა

საბჭოთა არჩევნები მოახლოვდა. გამოცოცხლების პირობებში საბჭოთა არჩევნები ჩვენი პოლიტიკის და ჩვენი მუშაობის უმნიშვნელოვანესი მასიური შემოწმებაა. რაც შეიძლება მკაფიოდ უნდა გაუსვათ ხაზი პარტიის ძირითად ამოცანებს ამ არჩევნებში.

პირველი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მივაღწიოთ არჩევნებში მუშათა მასების მაქსიმალურ მონაწილეობას. საჭიროა, რათა საბჭოთა ხელისუფლების მეათე წელში მუშებმა არჩევნებში მონაწილეობას იღებდენ, როგორც მშრომელთა ყველაზე უფრო აქტიური, დარაზმული და შეგნებული ნაწილი, რომელიც ღირსეულად ასრულებს თავის ხელმძღვანელ როლს საბჭოებში. ეს არის ჩვენი პირველი ამოცანა. ამას ჩვენ მივაღწევთ.

უკანასკნელ წლებში ჩვენი მრეწველობა სწრაფად მიდიოდა წინ, მასთან იზრდებოდა და ვითარდებოდა მუშათა კლასიც. გაიზარდა მუშათა კლასის აქტიურობა და დარაზმულობა, მისი კულტურული და პოლიტიკური შეგნება. ეხლა უფრო მეტად, ვინემ წინად, არის საფუძველი იმისთვის, რომ სწორედ პროლეტარიატმა განსაზღვროს საბჭოების არჩევნების ხასიათი არა მარტო ქვეყნის ყველა ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში, არამედ განსაზღვროს მისი საერთო შედეგებიც. პარტიის ყურადღება მიმართულ უნდა იქნეს იქითკენ, რათა არჩევნებში მთელი მუშათა მასის შეგნებულმა მონაწილეობამ და თვით არჩევნების შედეგებმა ნათელჰყოს მუშათა კლასის ჰეგემონია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს უნდა დადასტურდეს აგრეთვე როგორც მასებში კომუნისტური გავლენის გადიდებით, ისე, უშუალოდ, საბჭოებზე პარტიის ხელმძღვანელ ზეგავლენის ზრდით.

მაგრამ, პარტიის ხელმძღვანელობა საბჭოების მუშაობისადმი საბჭოების გამოცოცხლების პირობებში — ეს არ არის ის, რაც იყო წინად (დანიშვნის პრაქტიკა) და რასაც ხშირად ეხლაც ვხვდებით. საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკა მოითხოვს, რათა პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს უპარტიო მასების ხმას. საბჭოების გამოცოცხლების ნიშან-წყალიც არ არის იქ, სადაც უდიდესი ყურადღებით არ ეპყრობიან უპარტიო მუშას, სადაც ანგარიშს არ უწევენ უპარტიო მასების განწყობილებას. ამიტომ, სხვათა შორის, კომუნისტური კანდიდატურების რაც არ უნდა დაჯდეს თავზე მოხვევა — ნიშნავს პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ წასვლას. საჭიროა სულ სხვაგვარი დამოკიდებულება უპარტიო პროლეტარის ხმისადმი. საჭიროა გავიგოთ, რომ უპარტიოებმა უნდა შეამოწმონ პარტიულთა მუშაობა (როგორც მიგვითითებდა ლენინი). უნდა გავიგოთ, რომ ზოგიერთ შემთხვევებში უპარტიო მუშათა მასას შეუძლია და ვალდებულიც არის შეასწოროს იმ ცალკე პარტორგანიზაციების პრაქტიკა, რომელთაც დაჰკარგეს საჭირო კონტაქტი მასებთან.

ბიუროკრატიულ თვითკმაყოფილებას, როცა ის თავს იჩენს ცალკე პარტორგანოებში, უნდა დაუპირდაპირდეს პარტიის მოთხოვნილება: ყური დაუგდე უპარტიო მუშის ხმას, ანგარიში გაუწიე თვითეულ პროლეტარის და მშრომელის კრიტიკას და გამოასწორე ნაკლულევანებანი თავის მუშაობაში. საჭიროა, რათა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებმა ხელი შეუწყონ მუშებს, როცა მათ, ასე ვსთქვათ, ქვეიდან შემოაქვთ შესწორებები ამა თუ იმ პარტორგანოების უვარგის მუშაობაში. უბედურება როდია, თუ ცუდ კომუნისტს მუშები ზოგან შესცვლიან თავის უპარტიო აქტიურ პროლეტარით, რომელიც თავის წვლილს შეიტანს საბჭოს მუშაობაში. ასეთი შემთხვევები, რასაკვირველია, ცოტა იქნება. ჩვენი მუშები საკმაოდ აფასებენ საკავშირო კომპარტიის ხელმძღვანელობას საბჭოების მთელს აღმშენებლობაში. მაგრამ ქვევიდან მუშების კონტროლის ასეთი შემთხვევები, ჩვენის მხრივ სწორი დამოკიდებულების შემთხვევაში, არამც თუ დახმარებას გაუწევს მუშების თვითმოქმედების ზრდას საბჭოებში, არამედ სარგებლობას მოუტანს აგრეთვე ჩვენ ჩამორჩენილ ორგანიზაციებს პარტიულ ამოცანების სიმაღლემდე ასვლის საქმეში. ეს კონტროლი განამტკიცებს პარტიის ავტორიტეტს მასებში, გააუმჯობესებს მისი ხელმძღვანელობის მეთოდებს და, მაშასადამე, განამტკიცებს პროლეტარიატის დიქტატურას. ეს კი ნიშნავს საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკის სისწორით გატარებას.

ქალაქის ამომრჩეველთა სხვა ფენების მიმართ უმთავრესი ამოცანაა არჩევნების ორგანიზაციული მომზადება, კერძოთ, არჩევნებში პროფკავშირების მწყობრი მონაწილეობა და პარტიულ ორგანიზაციების სათანადო ყურადღება განმარტებითი—საგიტაციო კამპანიისადმი. ეს ზომები უფრო უკეთ უზრუნველყოფენ (უწინდელებთან შედარებით) არჩევნების შედეგებს მოსამსახურეებსა და ქალაქის წვრილ ბურჟუაზიის მშრომელ ფენებს შორის.

არჩევნები სოფლად

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა [illegible]ს არჩევნებს სოფლად.

საბჭოები სოფელში არის ძირითადი და, მისი ეხლანდელი პოლიტიკური მნიშვნელობით, გლეხობის ერთად ერთი მასიური ორგანიზაცია. იმავე დროს, ეს გლეხების ისეთი ორგანიზაციაა, რომელიც თავისი საერთო სისტემით გლეხობის მშრომელ მასებს აკავშირებს პროლეტარიატთან, რაც უზრუნველყოფს საბჭოთა ჰეგემონის — მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლს. ყველაფერი ეს საბჭოთა გადარჩევას სოფლად აძლევს ძირითად პოლიტიკურ კამპანიის ხასიათს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი ქვეყნისათვის.

საბჭოთა არჩევნებს, განსაკუთრებით, საბჭოების გამოცოცხლების პირობებში, მოძრაობაში მოჰყავს სოფლის ყველა კლასობრივი ჯგუფები. ამით უფრო მკაფიოდ იხატება კლასობრივი ინტერესები და კლასობრივი წინააღმდეგობანი სოფლად. აშკარა ხდება აგრეთვე თანამედროვე სოფელში კომუნისტურ პარტიის მუშაობის მთელი სირთულე და სიძნელე. ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ მხოლოდ გულმოდგინე და ენერგიული მუშაობით ჩვენი სოფლის ორგანიზაციების გასაუმჯობესებლად და მხოლოდ ამ ორგანიზაციების პოლიტიკურ გამოცდილების გადიდების შედეგათ პარტია (დიქტატურის ეკონომიურ პოზიციების განმტკიცების საფუძველზე) შესძლებს თავისი მუშაობაში ამ მრავალრიცხოვან დაბრკოლებათა დაძლევას სოფლად.

მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებული ღირებულება ჰქონდა და ეხლაც აქვს საბჭოთა გამოცოცხლების პირველ მიღწევებს სწორედ სოფლად. ამ მიღწევებმა, რომელნიც წარმოადგენენ მიღწევებს გლეხურ მასებზე პროლეტარულ ხელმძღვანელობის საქმეში, კიდევ მეტი ენერგია უნდა შეგვმატოს ჩვენ საბჭოების გამოცოცხლების დარგში ჩვენს წინაშე აღმართულ დაბრკოლებათა დასაძლევათ.

ოპოზიციის შეცდომები და მერყეობა

ჩვენი პარტიის ოპოზიციამ ვერ შეიგნო ეს. ამიტომ იყო, რომ ამ საკითხის გარშემო გამოაშკარავდა მისი სრული სიკოტრე. ოპოზიცია შეაშინეს (ხოლო ეს მოსდის ყველა იმას, ვისაც პოლიტიკაში აქვს ამის მიდრეკილება) სოფლად საბჭოების გამოცოცხლების საქმის სიძნელეებმა. მან უცხო, პირდაპირ მენშევიკური ხმით დაიწყო მოთქმა საბჭოების დაბალი ორგანოების გლეხებით შევსების შესახებ. მას თვალებში უკვე დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების კულაკური გადაგვარების შესახებ უსტრიალოვის თეორიის ცოცხალი განსახიერების მოლანდება. და როგორ მოულოდნელი და გასაკვირი არ არის, — ოპოზიციამ თავისი თავი საკ. კომპარტიაში „პროლეტარულ მემარცხენედ“ წარმოიდგინა! ვაი, რომ ეს იყო მხოლოდ თავის გაბრუება ოპოზიციონური ორთქლებით, თავის გაბრუება ოსოვშჩინის სურნელებით. სინამდვილეში ოპოზიცია თავისი პოლიტიკით ამ საკითხის გარშემო გამოხატავდა არა მარტო თავის ტყვეობას სოციალ - დემოკრატიული მეშჩანობის შემცდარი აზრებით, არამედ სოფელზე პროლეტარული ხელმძღვანელობის ახალი ამოცანების უარყოფასაც. ამ საკითხში ოპოზიციისათვის დათმობა იქნებოდა პროლეტარიატისა და გლეხობის მჭიდრო კავშირის ჩაშლა და, ამით, საბჭოთა კავშირში პროლეტარიატის დიქტატურის დარღვევა.

პარტიამ აქაც გადაჭრით დაგმო ოპოზიციური მერყეობა და შეცდომები. პარტიამ თავისი ყურადღება, ენერგია და გამოცდილება მიმართა სოფლად საბჭოების გამოცოცხლების სიძნელეთა დაძლევისაკენ. წარსულმა გადარჩევის კამპანიამ გარკვევით მიგვითითა იმაზე, თუ რაში მდგომარეობს აქ ჩვენი მთავარი ამოცანები თანამედროვე პირობებში.

სოფლად სწრაფად იზრდება საშუალო გლეხობის და, აგრეთვე, შეძლებულ - კულაკურ ზედაფენის აქტივობა. თუ კულაკობის მიმართ პარტიას აღებული აქვს ერთი პოლიტიკა—გადამწყვეტი ბრძოლა კულაკობის იზოლიაციისათვის და წინააღმდეგობის გაწევა მისი, საბჭოებში შეჭრის ცდისათვის, — სამაგიეროდ, საშუალო გლეხობის მიმართ პარტია ატარებს და უნდა ატარებდეს კიდეც სხვა პოლიტიკას. საშუალო გლეხობის საზოგადოებრივი აქტივობის ზრდა, წინააღმდეგ ოპოზიციის პოლიტიკური სულმოკლეობისა, სრულიადაც არ წარმოადგენს მინუსს, არამედ, პირიქით, ის წარმოადგენს პლიუსს ჩვენი სახელმწიფოს განვითარებაში. სრულიად არანორმალური იქნებოდა, თუ ქვეყნის, მათ რიცხვში სოფლის სამეურნეო და კულტურული ზრდის პირობებში არ ხდებოდეს საშუალო გლეხობის საზოგადოებრივი აქტივობის ზრდა, რომელიც მიწათ-მოქმედების „ცენტრალურ ფიგურას“ წარმოადგენს. სულელური იქნებოდა ისეთი პოლიტიკა, რომელიც წავიდოდა ამ ზრდის წინააღმდეგ, ბორბლებში გაუყრიდა ჯოხს. ლენინის პარტიას არ შეეძლო და არც შეუძლია შედგეს ამ თვითმკვლელობის პოლიტიკის ნიადაგზე. პარტია თავის ამოცანად სახავდა და სახავს კიდეც საშუალო გლეხობის ამ აქტივობის ამაღლებას საბჭოებში, მის შემდეგ განვითარებას საბჭოთა კალაპოტით. პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ ამ პოლიტიკით ჩვენ მივისწრაფვით საშუალო გლეხობასთან პროლეტარიატის კავშირის განმტკიცებისაკენ. მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს ნამდვილი ლენინისებური პოლიტიკა, რომელიც აღწევდა და აღწევს კიდეც სოციალიზმის მშენებლობის ახალ გამარჯვებებს გლეხობასთან კავშირში.

საბჭოების შარშანდელმა არჩევნებმა, ყველა თავისი უარყოფითი მხარეებით, მთლიანად დაამტკიცა ეს. წარსულმა არჩევნებმა (1925 წლის ბოლოში) კი არ შეასუსტეს, არამედ გააძლიერეს პარტიის ავტორიტეტი და ხელმძღვანელობა სოფლად. ამას ამოწმებს, აგრეთვე, სოფლის საერთო პოლიტიკური მდგომარეობა განვლილ წელში (სასოფლო პარტორგანიზაციების ზრდა, საბჭოებისა და კოოპერაციის მუშაობის გაშლა, მიღწევები პურის დამზადების დარგში და სხ.), რომელსაც, მაგალითად, ვერ შეადარებ 1924 წელთან, როდესაც პარტია გადავიდა საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკაზე.

წარსულმა არჩევნებმა ამასთან ერთად საკმაოდ გარკვევით ხაზი გაუსვეს იმას, თუ სად მდებარეობენ ჩვენი მთავარი ამოცანები სოფლად. ცხადია, იქ, სადაც პარტიას ჰყავს მთავარი დასაყრდენი სოფლად და სადაც ჩვენ სუსტნი აღმოვჩნდით.

უნდა გაძლიერდეს ღარიბ მოჯამაგირე გლეხობის აქტივობა

საშუალო გლეხობის მიმართ ჩვენ გვაქვს შედარებით დიდი მიღწევები მათი მონაწილეობის მხრივ არჩევნებში და თვით საბჭოების მუშაობაში; ამ გზაზე ჩვენ უფრო შორს წავალთ, ახალ და უფრო სერიოზულ მიღწევებამდე. კულაკობისა და, საერთოდ, კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ საჭირო გახდა მთელი რიგი ზომების მიღება საბჭოებში მათი შეჭრის ცდის წინააღმდეგ. მაგრამ სოფლის საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო ზრდას აშკარად ჩამორჩება ღარიბ და მოჯამაგირე გლეხობის აქტივობა და მომზადება. ამავე დროს კი ისინი ჩვენი პარტიის ყველაზე მტკიცე და, ამასთან, ერთგული დასაყრდენია სოფლად. აი, ამიტომაც დღეს, საბჭოების გადარჩევის ახალ კამპანიაში, აქ არის თავმოყრილი ჩვენი პრაქტიკული და პოლიტიკური ამოცანები. ამ ფრონტზე, ღარიბ და მოჯამაგირე გლეხობის ფრონტზე, ჩვენ დღევანდელ მომენტში თავი უნდა მოუყაროთ რაც შეიძლება მეტ ძალებს და ბოლშევიკურ მოხერხებას ჯაჭვის ძირითადი რგოლის ხელში ჩასაგდებათ. წარსულ არჩევნებში ჩვენ მივიღეთ თვალსაჩინო გაკვეთილი იმის, თუ როგორ ჩამოვრჩით ამ საქმეში. ეხლა ჩვენ უნდა ვეცადოთ სხვა შედეგების მიღწევას. მომავალი არჩევნები იქნება პარტიულ ორგანიზაციების მთელი მუშაობის სერიოზული შემოწმება სოფლად და, კერძოთ, შემოწმება იმის, თუ რა მიღწევები გვაქვს ჩვენ ღარიბ გლეხობის შორის მუშაობაში. იქ, სადაც ღარიბ გლეხობის ორგანიზაციებში მუშაობა არ გასცილებია „კარგ“ მოხსენებებს, წერილებს, ცალიერ რეზოლიუციებს და „მშვენიერ“ ანგარიშებს, — არ შეიძლება მოველოდეთ დადებითი შედეგების მიღებას საბჭოების გამოცოცხლებაში. მხოლოდ დაფიქრებულ და დაუღალავ პრაქტიკულ მუშაობას შეუძლია მტკიცე საძირკველი ჩაუყაროს ღარიბ მოჯამაგირე გლეხობის შემჭიდროებას და პოლიტიკურ გათვითცნობიერებას (ამასთან, თუ ეს საქმე ჩამორჩენილია, მაშინ უკიდურეს შემთხვევაში თვით საარჩევნო კამპანიის პროცესში მაინც უნდა დავძრათ ის ადგილიდან), რაც პარტიამ თავის ამოცანების პირველ რიგში წამოაყენა.

რაში უნდა გამოიხატოს პარტიის მუშაობის მიღწევები სოფლის ღარიბ გლეხობის შორის მუშაობაში? ცხადია, ისეთ შედეგებში, რომლებიც გვიჩვენებენ ღარიბ და მოჯამაგირე გლეხობის დიდ აქტივობას, მომზადებას და პოლიტიკურ გათვითცნობიერებას. საბჭოების არჩევნების დროს ღარიბი გლეხობა და მოჯამაგირეები უნდა გამოვიდნენ უფრო აქტიურად და მომზადებულად, ვიდრე მოსახლეობის სხვა ფენები და საშუალო გლეხობასთან კავშირით და პარტიის დახმარებით გააძლიერონ თავისი გავლენა მთელი სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და, უპირველეს ყოვლისა, საბჭოების მუშაობაზე. სოფლის ღარიბი ნაწილი, რომელსაც ჯერ კიდევ აჩნია წარსული ჩაგვრა, უკულტურობა და დაქსაქსვა, მხოლოდ ასეთი გზით,—საბჭოებში თავისი წარმომადგენლობის რიცხვობრივი და თვისობრივი ზრდით,—მიაღწევს თავის ინტერესების ნამდვილად სწორ დაცვას, რაც აკლია ზოგიერთ საბჭოების მუშაობას.

აქედან გამომდინარეობს შემდეგი პრაქტიკული დასკვნები:

მთელმა ღარიბმა გლეხობამ და, პირველ რიგში, მოჯამაგირეებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ არჩევნებში. დაუშვებელია, რომ ღარიბი გლეხობა იდგეს უკანა რიგში არჩევნებში მონაწილეობის დროს, როგორც ამას ხშირად ჰქონდა ადგილი წარსულში. უნდა ვეცადოთ, რომ ის ამ მხრივ სოფლის სხვა ფენებზე უფრო წინ იყვეს.

ღარიბი გლეხობის ხმამ და მათ ყოველგვარმა გაჭირვებამ უფრო ნათელი გამოხატულება უნდა ჰპოვონ ნაკაზში ახალი საბჭოებისათვის, ვიდრე ეს იყო წინედ. ღარიბი გლეხობა და მოჯამაგირეები, პარტიის დახმარებით და საშუალო გლეხობასთან კავშირით, უნდა შეეცადნენ, რომ საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში ფართედ იქნას გაშუქებული და ახლად არჩეულ საბჭოების მუშაობის პირველ რიგში დაყენებულ იქნას ღარიბი გლეხობის ინტერესები.

თვით საბჭოების შემადგენლობას უნდა ემჩნეოდეს ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეთა გავლენა. ამასთან ეს შეეხება არა მარტო სოფლის საბჭოებს და სათემო აღმასკომებს, არამედ სამაზრო, საოლქო, საგუბერნიო და რესპუბლიკანურ აღმასკომებსაც. არსებითად, პრაქტიკული შედეგების მიხედვით უფრო სწორად შეგვეძლება მსჯელობა სოფლის უღარიბესი ფენების მონაწილეობის შედეგებზე საბჭოების გადარჩევის და საარჩევნო კამპანიის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე სოფლად.

მეტი ყურადღება დაწინაურებას

ჩვენში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ბატონ - ჩინოვნიკურ და დახავსებულ-მეშჩანურ შეხედულებას ხელმძღვანელ მუშაობაზე მშრომელთა წრიდან და, კერძოდ, გლეხურ მასსიდან ახალი ელემენტების დაწინაურებაზე. პატივის მოყვარე ჩინოვნიკი და ბიუროკრატი, რომელიც ჯერ კიდევ თავის თავს სთვლის

კატასტროფების გარშემო რკინის გზებზე

(ამ.-კავკ. სახ. კომ. საბჭოს დადგენილება)

ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. ფედ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭომ, მოისმინა რა ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს მოხსენება რკინისგზის ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. ფედ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე და თანამოხსენება განსაკუთრებული სპეციალური კომისიისა, რომელიც იკვლევდა ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მომხდარ მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან კატასტროფების მიზეზებს, შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

1. ცნობილ იქნას:

ა) რომ ამიერ-კავკასიის რკინისგზამ 1925—26 წელში შეასრულა მისდამი წარდგენილი მოთხოვნილება გადაზიდვის დარგში;

ბ) რომ გადაზიდვათა შესრულება შესაძლებელი იყო მხოლოდ ტრანსპორტის ენერგიულად მოქმედების შეოხებით;

გ) გადაზიდვათა გადიდება 1926—27 სამეურნეო წელში და მისი აუცილებელი ზრდა შემდგომ წლებში ამიერ-კავკასიის რკინისგზების წინაშე აყენებს გადაზიდვათა ზრდასთან შეფარდებით ძირითადი კაპიტალის სისტემატიურ და თანაზომიერ აღდგენის ამოცანას. წინააღმდეგ შემთხვევაში ამიერ-კავკასიის რკინისგზებს ელის საფრთხე იმისა, რომ იგი ჩამორჩება ჩვენი ეკონომიკის ზრდას;

დ) ტრანსპორტის მუშაობის ზრდა 1926—27 წელში და ამასთან დაკავშირებული სიმძაფრე ტრანსპორტის მუშაობაში მოითხოვს სიმძაფრეს და სიმკვეთრეს როგორც ხაზის, ისე სამმართველო აპარატის მუშაობაში.

ე) სად. წიფასთან მომხდარი კატასტროფის და უკანასკნელი დროის მთელ რიგ შემთხვევათა მიზეზების გამოკვლევა გვიჩვენებს სამმართველო აპარატის (მისი განყოფილებების) მუშაობის ნაკლებ სიმკვეთრეს, დარგების მუშაობის დაუკავშირებლობას, ფორმალიზმს მუშაობაში (ე. ი. იმართლონ თავი ფორმალურად) დარგების უფროსთა უპასუხისმგებლობას მუშაობისადმი, სამმართველო აპარატის ერთგვარ მოწყვეტას ხაზისაგან და სამსახურის დისციპლინის დაცემას ხაზზე;

ვ) უკანასკნელ ხანებში მომხდარ მატარებლების გაწყვეტას და სხვა შემთხვევებს ამიერ-კავკასიის რკინისგზებზე კავშირი აქვთ ტრანსპორტის მუშაობის სიმძაფრესთან; მაგრამ მომხდარ შემთხვევათა **უმთავრესი მიზეზია სამსახურის დისციპლინის დაცემა და დაუდევრობა გზების აგენტების მუშაობაში.**

2. საჭიროდ იქნას აღიარებული:

1) რომ საბჭოთა კავშირის გზათა მიმოსვლის რწმუნებულმა ამიერ-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი რკინისგზებისა და ტრანსპორტის მუშაობის ნორმალურ მდგომარეობის აღდგენაზე.

2) რომ გზათა სამმართველომ ყოველი ძალ-ღონე უნდა იხმაროს წესრიგის დაუყოვნებლივ აღსადგენად მტკიცე, მკვეთრი ხელმძღვანელობით გზების ყველა დარგებზე და აგენტებისათვის ინსტრუქციების მიცემით.

3) რომ სამმართველოს მუშაობის ძირითადი სამუშაო უნდა იყოს:

ა) გზების ტეხნიკური მდგომარეობის სათანადო სიმაღლეზე დაცვა არსებული საშუალებებით;

ბ) მკვეთრი მუშაობის შექმნა როგორც გზების სამმართველოს, განყოფილებებში, ისე ხაზზე;

გ) გადამჭრელი ბრძოლის ჩატარება გზების აგენტების საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულების წინააღმდეგ;

დ) უფრო ცხოველი კავშირის შექმნა განყოფილებებისა ხაზთან და ინსტრუქციების მიცემა ხაზისათვის არა მარტო ბრძანებათა გზით, არამედ ცოცხალი კავშირის გზითაც;

ე) სამსახურის დისციპლინის გაუმჯობესება ხაზზე;

ვ) როგორც სამმართველოს განყოფილებათა, ისე ხაზის შემადგენლობის გადასინჯვა უფრო მეტი მუშაობის უნარის მქონეთა შერჩევისათვის, აგრეთვე ხაზის გაძლიერება უფრო კვალიფიციური მუშაკებით სამმართველოს განყოფილებათა ხარჯზე;

4) სამმართველომ რკინისგზელთა კავშირთან შეთანხმებით უნდა შეამციროს ხაზის ადმინისტრაციის დატვირთვა სხდომებითა და კომისიებით;

5) არ იქნეს დაშვებული მატარებლების მოძრაობის აგენტების მუშაობა დაწესებული საათების ზევით, გარდა იმ შემთხვევათა, როცა ეს ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობის აუცილებლობით არის გამოწვეული;

6) უფრო მჭიდრო კონტაქტი იქნას დამყარებული მუშაობაში რკინისგზელთა პროფკავშირთან, რომ კოლექტიური ხელშეკრულების პირობები სავსებით შეასრულონ როგორც გზათა სამმართველომ, ისე კავშირებმა, რომ გაძლიერდეს მუშაობა შრომის დისციპლინის აღსადგენად და აგრეთვე გაძლიერდეს საწარმოო თათბირების მუშაობა.

შენიშვნა: წინადადება მიეცეს პროკურატურას, ზედამხედველობის ორგანოებს (ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი და რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატები), სათანადო ზომები მიიღონ იმისათვის, რომ ღირსეულად დაუსჯელი არ დარჩენ სამსახურის დისციპლინის დამრღვეველნი.

7) ეთხოვოს ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკების ცაკებს, რათა აცნობონ რესპუბლიკების პროკურორებს, რომ რკინისგზებზე მომხდარ კატასტროფათა და შემთხვევათა საქმის განხილვა უნდა სწარმოებდეს რიგს გარეშე ტრანსპორტის ექსპერტის სავალდებულო გამოწვევით.

8) წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციას გამოიკვლიოს შემარიგებელ და საკონფლიქტო ორგანოების მუშაობის პრაქტიკა და ამიერ-კავკასიის რკინისგზების სამმართველოსთან ერთად დასახოს ღონისძიებანი ამიერ-კავკასიის რკინისგზების აპარატის გამარტივებისა და რკ. გზების აგენტებისა და ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობათა ნათლად განსაზღვრისათვის და ეს ღონისძიებანი განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინოს ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს.

9) აუცილებლად იქნას ცნობილი ამიერ-კავკასიის რკინისგზების სამმართველოს მუშაობის დაკავშირება ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ხელმძღვანელ ეკონომიურ ორგანოებთან.

ყველა და ყოველ სოფლის საბჭოსი და აღმასკომის „შეუცვლელ" წევრად, ოქტომბრის ქარიშხალმა და რევოლიუციონური მშენებლობის ათმა წელმაც კი ვერ აღგავა. მაგრამ დღეს უკვე პირდაპირ აუტანელია, როცა მშრომელთა მასებიდან (მუშები არიან ისინი თუ გლეხები — სულ ერთია) სცდილობენ ერთი და იგივე ამოჩემებული პირის „წამოყენებას", უბრალოდ ან გრძელი წვერისა, ან ჭაღარა თავისა ან და წითელი ახალუხისადმი პატივისცემით. დეკორაციების დრო დიდი ხანია წავიდა. დღეს, —კიდევ ერთხელ მოვიგონოთ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მოახლოვებული ათი წლისთავი, — დაწინაურების ამოცანა, განსაკუთრებით სოფლის მოწინავე ღარიბი და მოჯამაგირე გლეხობის დაწინაურების ამოცანა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს. მაგრამ ის შეიძლება გადაწყვეტილ იქნას, და უნდა გადაწყდეს კიდეც, როგორც ნამდვილად მოწინავე, ნამდვილად შეგნებულ, ნამდვილად ახალ, მასებიდან თავისი ენერგიითა და ჭკუა-გონებით გამოჩენილ ამხანაგების დაწინაურება (იგივე უნდა ითქვას საშუალო გლეხობის მიმართ).

ამასთან ერთად კიდევ ხელახლა ხაზი უნდა გაესვას მშრომელი უპარტიო გლეხობის დაწინაურების საჭიროებას, ხოლო დღეს განსაკუთრებით, უპარტიო ღარიბ და მოჯამაგირე გლეხობის დაწინაურებას. საბჭოების გამოცოცხლების ღედა აზრს ხომ წარმოადგენს: პარტიის ხელმძღვანელობით უპარტიო მასების ჩაბმა საბჭოთა მშენებლობაში, თვით მასების მიერ ახალ უპარტიო ძალთა წამოყენება საბჭოების ხელმძღვანელ ორგანოებში, პარტიულთა შემოწმება უპარტიოთა მიერ და სხ. აი, ახალი საბჭოების არჩევის დროს სოფლად (და, მაშასადამე, მაზრაში, გუბერნიაში და რესპუბლიკაში) რატომ უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება უფრო აქტიურ, მოწინავე და შეგნებულ ღარიბ და მოჯამაგირე გლეხობის დაწინაურებას საბჭოებისა და აღმასკომების უპარტიო წევრებად. თუ სწორად გადავწყვეტთ ამ ამოცანას, ამით ჩვენ დიდ ნაბიჯს გადავდგამთ წინ — რესპუბლიკის საბჭოების პოლიტიკურ განვითარებისაკენ. მეორე მხრივ, ნაკლულევანებები ამ მიმართულებით მაჩვენებელი იქნება იმის, რომ ჩვენ სუსტ და არადამაკმაყოფილებელ მუშაობას ვაწარმოებთ ღარიბი გლეხობის ორგანიზაციის დარგში და რომ ისინი დიდ გავლენას მოახდენენ ჩვენი მუშაობის საერთო შედეგებზე სოფლად.

საბჭოების გადარჩევა ნიადაგს მოუმზადებს პარტიის მთელ მუშაობას სოფლად

საბჭოების გადარჩევის კამპანიამ მიმართულება უნდა მისცეს პარტიის მთელ მუშაობას სოფლად. ამ მაგალითით უნდა წავიდეს შემდეგში კოოპერაციის, გლეხკომების და სხ. მუშაობა. არჩევნები საბჭოებში გამოაცოცხლებენ მუშაობას ღარიბი გლეხობის დარაზმვისათვის. ყველაფერი ეს ამასთან ერთად უზრუნველყოფს საარჩევნო კამპანიის იმ საერთო ხასიათს, რომელზედაც ზემოდ იყო ლაპარაკი. თანამედროვე პირობებში ეს იქნება პროლეტარიატის ჰეგემონიის თვალსაჩინო გამოხატვა ჩვენს ქვეყანაში. ეს იქნება ქვაკუთხედი პროლეტარულის დიქტატურისა და საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის საძირკველში.

ყველაფერი ზემო თქმული იძლევა მხოლოდ, საბჭოების ახალი საარჩევნო კამპანიის, ასე ვსთქვათ, სპეციალურ ხაზებსა და ლოზუნგებს. გადარჩევის საერთო ლოზუნგებად იქნებიან, და არც შეიძლება არ იყონ, ყველა ის ლოზუნგები, რომლებიც განსაზღვრავენ პარტიის საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკას. სწორედ ეს საშინაო და საერთაშორისო ამოცანები, რომელნიც პირველ რიგშიც წამოჭრილი ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის წინაშე, განსაზღვრავენ საბჭოების ახალი არჩევნების საერთო პოლიტიკურ ხაზსაც.

საბჭოების გადარჩევა ისევ გადაიქცა ქვეყნის მნიშვნელოვან პოლიტიკურ ამოცანად. ეს თავის თავად ერთი უდიდესი მიღწევათაგანია ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებაში. დღევანდელი გადარჩევა უფრო ასწევს საბჭოების მნიშვნელობას მეურნეობის განვითარებისა და პროლეტარული და გლეხური მასების აქტივობის ზრდის პირობებში.

საბჭოების ახალი არჩევნები იქნება მეორე ფართე და ღია კამპანია. ჩვენ მას წინანდელზე უფრო მომზადებულად შევხვდებით. ჩვენ მთელ ძალ-ღონეს დავჭიმავთ ჩვენს ძირითად პოლიტიკურ ამოცანების ხაზით. რწმენა პარტიის მიერ აღებული ხაზის სისწორეში, პარტიის მიერ მიღწეული სიმჭიდროვე პროლეტარიატისათვის უცხო პოლიტიკურ მერყეობათა დაძლევაში, მთელი ყურადღების, გამოცდილების და ძალთა თავმოყრა იმაზე, რაც განსაზღვრავს ჩვენს ძირითად ამოცანებს საბჭოების ახალ არჩევნებში, — გარანტიაა ამ საქმეში ჩვენი პარტიის გამარჯვებისა.

ჩვენ, კომუნისტების პარტია, გაბედულად მივდივართ ამ არჩევნებზე. ჩვენ მტკიცედ დარწმუნებულნი ვართ, რომ საბჭოების არჩევნები 1927 წელს განამტკიცებენ პროლეტარულ დიქტატურას და გახდებიან ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის ახალ მნიშვნელოვან ნაბიჯად. და ამით გამარჯვება საბჭოების არჩევნებში ხდება კომუნიზმის რიგებში მებრძოლ ყველა ქვეყნის პროლეტარების გამარჯვებად, საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებად.

ვ. მოლოტოვი.

პარტიული ცხოვრება

თბილისის პარტკონფერენციისათვის

თბილისის ორგანიზაცია მე-7 კონფერენციისათვის

II

თბილისის ორგანიზაციის იდეური ზრდა

პარტიული ორგანიზაციის მნიშვნელოვანმა ზრდამ, ახალი წევრების მიღებამ, მუშაობაში საუკეთესო ელემენტების ჩაბმამ ყოფილ მენშევიკ მუშებიდან, და აგრეთვე შინა-პარტიულმა უთანხმოებამ წამოაყენა თბილისის ორგანიზაციის წინაშე თავისი წევრების იდეური დონის ამაღლების და აღზრდის ამოცანა. ამიტომ პარტიული განათლების სისტემამ საპატიო ადგილი დაიჭირა ყოველდღიურ მუშაობაში და უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენ ამ მხრივ მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწიეთ.

ასე, მაგალითად 1925 წლის პირველ დეკემბრისათვის პარტგანათლების სავალდებულო ქსელში ჩაბმული იყო იმ წევრების და კანდიდატების 74,4 პროც., რომლებსაც უნდა გაევლოთ სავალდებულო სწავლება. იმ ამხანაგებთან ერთად კი, რომლებიც ჩაბმული იყვნენ არასავალდებულო ქსელში, პარტგანათლება შეეხო სულ ჩვენი ორგანიზაციის 61 პროცენტს.

ასეთივე სურათს ვხედავთ ჩვენ 1926 წელშიაც.

სავალდებულო და არასავალდებულო ქსელში ჩაბმულია ჩვენი პარტიული რიგების მთელი შემადგენლობის 59 პროც.. თუ ამას მივუმატებთ იმ ამხანაგებს, რომლებიც სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში და საბჭოთა პარტიულ სკოლებში (425), სხვა სასწავლებლებში (898) და აგრეთვე იმათ, რომლებიც თვითგანვითარებას მისდევენ (450), მივიღებთ, რომ ჩვენი ორგანიზაციის 65,8 პროც. ამ ჟამად სწავლების საქმეშია ჩაბმული.

რასაკვირველია, ამ მუშაობაში ჩვენ გვქონდა და გვაქვს დეფექტები. ისინი გამოწვეულია, უმთავრესად, ხელმძღვანელობის საკმაო რაოდენობის უქონლობით ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე. ხელმძღვანელების ნაწილის არასაკმაო მომზადებით და ზოგიერთ ადგილებში უჯრედების არასაკმაო ყურადღებით პოლიტსკოლების მუშაობისადმი.

უნდა ითქვას, რომ პარტგანათლების ფართო გაშლა საგრძნობლად ხელს უწყობდა ჩვენი პარტიული რიგების იდეური და პოლიტიკური დონის ზრდას და მათ მიერ ლენინიზმის საფუძვლების შეთვისებას; ამასთანავე ყოველდღიურ სწავლებაში ამხანაგები ყურადღებას აქცევდენ შინაპარტიული უთანხმოების საკითხებსაც.

თბილისის ორგანიზაციის პარტიული მასის თეორეტიული დონის ამაღლების საქმეში არა ნაკლებ როლს თამაშობდენ უჯრედების მიერ მაღლა მდგომი პარტიული ორგანიზაციების და უპირველეს ყოვლისა, საკავშირო კომპარტიის ყრილობების და კონფერენციების და საკავშირო კომპარტიის ცეკას პლენუმების გადაწყვეტილებების დამუშავება. ასე, მაგალითად, მე-14 ყრილობის და, განსაკუთრებით, საკავშირო კომპარტიის ცეკას ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებების დამუშავებამ, რომელიც რამოდენიმე თვე გრძელდებოდა, თბილისის ორგანიზაციის წევრების ყურადღება შეაჩერა ძირითად პრინციპიალურ და პრაქტიკულ უთანხმოებებზე, რომლებიც გამოაშკარავდა საკავშირო კომპარტიის რიგებში და ამ დამუშავებამ ხელი შეუწყო პარტიული რიგების შემდგომ ბოლშევიკურ გამობრძმედას.

თბილისის ორგანიზაციამ მაშინ გამოაშკარავა თავისი ერთსულოვნება პარტიის გადაწყვეტილებების საფუძველზე და ერთხმად უარყო ოპოზიციის წინადადებები.

აქტივობის ზრდა

უკანასკნელი დროის განმავლობაში თბილისის ორგ. შეინიშნება პარტიულ მასების აქტივობის და თვითმოქმედების დიდი ზრდა, როგორც ძირითად პოლიტიკურ და პრინციპიალურ ისე ჩვენს წინაშე დასმულ ყოველდღიურ პრაქტიკულ საკითხების განხილვაში. უპირველეს ყოვლისა, სჩანს უჯრედების დაახლოვება თავისი წარმოების საკითხებთან და მეურნეობასთან და პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე. განსაკუთრებით საგრძნობია ეს საწარმოო უჯრედებში, რაც შეეხება საბჭოთა უჯრედებს, ეს უკანასკნელები მხოლოდ ეხლა უახლოვდებიან თავისი დაწესებულების საკითხებს, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის, სახელმწიფო აპარატის გაიაფების და სხვა საკითხებს. ჩვენი მუშაობის ამ მხარეს უნდა მიექცეს უახლოეს თვეებში პარტიული ორგანიზაციის განსაკუთრებული ყურადღება.

ყველა პარტიული უჯრედების მუშაობაში სჩანს პარტიის წევრების უფრო ფართო წრეების ჩაბმა აქტიურ პრაქტიკულ მუშაობაში. თუ წინეთ მწვავეთ იდგა დატვირთვის საკითხი, თუ მუშაობის მთავარი სიმძიმე დაკისრებული ჰქონდა ამხანაგების შედარებით მცირე ჯგუფს, ეხლა ეს საკითხი გადაწყვეტილია. ჩვენ სისტემატიურად ვიკვლევდით ამხანაგების დატვირთვას იმ მიზნით, რომ ზოგიერთები განგვეტვირთა და დაგვეტვირთა ისეთები, რომლებიც წინეთ ჩაბმული არ იყვენ პარტიულ მუშაობაში.

ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ უჯრედებში მუშაობა შენდება არა მდივანის ერთპიროვნული ხელმძღვანელობის საფუძველზე—მდივანის, რომელიც ჩვეულებრივ ყველას მაგივრად მუშაობდა, არამედ ბიუროს კოლექტიურ ხელმძღვანელობის საფუძველზე, ბიურო კი მუშაობს კომისიებთან, პარტიულ ორგანიზაციებთან და უჯრედის სხვა აქტივისტებთან ერთად.

საკომისიო სისტემა და პარტიული ორგანიზატორების სისტემა განმტკიცდა ჩვენს მსხვილ და საშუალო უჯრედებში და მათ საგრძნობლად ხელი შეუწყვეს უჯრედების მუშაობის შემდგომ გაცხოველებას.

მუშაობის ასეთ დაყენებას შედეგათ მოყვა ის, რომ პარტიული აქტივი იზრდება, ის თანდათან ივსება პარტიული მასის ახალი ფენებიდან გამოყოფილი ამხანაგებით. თბილისის ორგანიზაციის უჯრედების ბიუროების შემადგენლობა 1925 წლის პირველი ოქტომბრისათვის უდრიდა 760 წევრს და კანდიდატს; 1926 წლის 1 მაისისათვის ეს შემადგენლობა გაიზარდა 895 წევრამდე და 26 წლის 1 ნოემბრისათვის 999 წევრამდე და კანდიდატამდე, ე. ი. პარტიული უჯრედების ხელმძღვანელი შემადგენლობა გაიზარდა 31 პროც-ით. იმავე დროის განმავლობაში ჩვენ გადავახალისეთ ბიუროების შემადგენლობა 1926 წლის 1 მაისისათვის 56 პროც. და 26 წლის 1 ნოემბრისათვის 8 პროც.. თვალსაჩინოთ განახლებული იქნა აგრეთვე უჯრედების მდივნების შემადგენლობა. უკანასკნელი გადახალისებული იქნა 31 პროც., ბიუროების პირველი ხელახალი გადარჩევის დროს, და 27 პროც. უკანასკნელი ხელახალი გადარჩევის დროს. მარტო ეს გარემოება მოწმობს იმას, რომ ახალი პარტიული აქტივი თანდათან იზრდება.

თუ უჯრედების ბიუროების შემადგენლობას მივუმატებთ კომისიების და პარტიული ორგანიზაციების შემადგენლობას, მაშინ გამოვა, რომ ჩვენი ორგანიზაციის არა ნაკლებ 27 პროც. ჩაბმულია უშუალოდ ხელმძღვანელ შინაპარტიულ მუშაობაში.

ამას გარდა, პარტიის წევრების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაბმულია პროფესიონალურ, საბჭოთა და საზოგადოებრივი მუშაობის სხვა დარგებში (მოხალისეთა და კოოპერატიული ორგანიზაციები, მუშკორები და სხვა).

სულ პროფესიონალურ აქტივში, რომელშიაც ირიცხება 7593 ამხანაგი, პარტიული ამხანაგები შეადგენენ 38 მეტ პროცენტს, ე. ი. 2850 კაცს.

მარტო ხელმძღვანელ პარტიულ და პროფესიონალურ მუშაობაში ჩაბმულთა რიცხვი უდრის ჩვენი ორგანიზაციის მთელი შემადგენლობის 58 მეტ პროცენტს (ბიუროების 999 წევრი, კომისიების 606 წევრი, 310 პარტიული ორგანიზატორი და პროფაქტივის 2.850 წევრი, სულ 4.765)

ყველა ამის შედეგია პარტიული მასის აქტივობის ძლიერი ზრდა, რომელიც ნათლად გამოაშკარავდა უჯრედების ბიუროების გადარჩევის ორი უკანასკნელი კამპანიის დროს და, ბოლოს, რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე, რომლებიც ეხლახან იქნა ჩატარებული.

გასული წლის განმავლობაში ჩვენ ჩავატარეთ უჯრედების ბიუროების გადარჩევის ორი კამპანია და ეს არჩევნები შესამჩნევად განსხვავდება წინა არჩევნებისაგან; ორივე კამპანია ჩატარებული იქნა პარტიული მუშაობის და ხელმძღვანელობის ყველა მხარეების მდგომარეობის თვით შემოწმების ლოზუნგის ქვეშ, ამასთანავე ეს არჩევნები ნამდვილად გადაიქცა ჩვენი ორგანიზაციის მდგომარეობის გენერალურ შემოწმებად და ნაწილობრივ ისინი იღებდენ უჯრედების თავისებურ კონფერენციების ხასიათს. ამ საერთო კრებებზე ისმენდენ უჯრედის და სათანადო წარმოების ანდა დაწესებულების ყველა ძირითად საკითხებს, რომელთა განხილვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდენ პარტიის წევრები. ეს კრებები ჩვეულებრივ გრძელდებოდა 2-3 დღე. დამახასიათებელია, თუ როგორ თანდათანობით იზრდებოდა პარტიული მასის აქტივობა. ასე, მაგალითად, თუ უჯრედების ბიუროების პირველი გადარჩევის დროს თვითეულ უჯრედზე საშუალოდ შეკითხვები მოდიოდა 14, გამოსვლა კი 7, შემდეგი გადარჩევის დროს საშუალოდ უჯრედზე მოდიოდა 25 შეკითხვა და 11 გამოსვლა. კამათში საქმიანად [illegible] წინადადებებზე, რომლებიც [illegible] დენ მონაწილეობას კამათში.

აქტივობის ზრდის ასეთსავე სურათს ვხედავთ ჩვენ რაიონულ პარტკონფერენციებზე, რომლებიც ეხლახან დამთავრდა თბილისში.

ყველა მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ეწერებოდა ამხანაგების დიდი რაოდენობა (418) და მხოლოდ დაახლოვებით ნახევარს ექონდა საშუალება გამოეთქვა თავისი აზრი. თავის გამოსვლებში კონფერენციის დელეგატები დიდ ყურადღებას აქცევდენ შინაპარტიული მუშაობის საკითხებს და განსაკუთრებით ბიუროკრატიზმთან ბრძოლის, საბჭოთა-სამეურნეო აპარატის რაციონალიზაციის და გაიაფების, მომჭირნეობის რეჟიმის, საწარმოო თათბირების, მუშების პასუხსაგებ თანამდებობაზე წამოყენების და სხვა საკითხებს.

დაბოლოს, ჩვენ თუნდაც მოკლედ უნდა შევეხოთ უკანასკნელ შინა-პარტიულ უთანხმოებას იმისათვის, რომ მივიღოთ თბილისის ორგანიზაციის მდგომარეობის მთლიანი სურათი. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ სწორედ შინაპარტიულ მიმართულებათა ასეთ მომენტებში მოსჩანს ორგანიზაციის ნამდვილი ფიზიონომია, მისი გამძლეობა.

პირველ ყოვლისა, რას წარმოადგენდენ ადგილობრივი ოპოზიციონური ელემენტები.

ადგილობრივი ოპოზიციის საფუძველს შეადგენდა იმ „უკლონიზმის" მემარჯვენე ფრთა, რომელიც თავს იყრიდა ამხ. ბუდუ მდივნის გარშემო. ეს არის ის ოპოზიცია, რომელიც 1923 წელს დაამარცხა საქართველოს კომპარტიამ ნაციონალისტური გადახრისათვის. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ, როცა უკლონისტების მემარცხენე ნაწილი თანდათან ურთიდებოდა პარტიას და უკანასკნელ უთანხმოებათა დროს აშკარად გამოდიოდა ახალი ოპოზიციის წინააღმდეგ, მისი ყველაზე უფრო მემარჯვენე ნაწილი, რომელიც არსებითად ყოველთვის რჩებოდა ოპოზიციაში, უკანასკნელ დროსაც შეუერთდა ოპოზიციონურ ბლოკს. უნდა ითქვას, რომ ადგილობრივმა ოპოზიციამ, ეს უმთავრესად შეეხება მის მემარჯვენე ნაწილს, ჯერ კიდევ 1923 წლიდან კურსი აიღო ამხ. ტროცკიზე და მის ჯგუფზე, ის არსებითად ტროცკისტულ ჯგუფს წარმოადგენდა. საქართველოს კომპარტიის რიგებში ყოველგვარი დასაყრდენის უქონლობა ქართველ უკლონისტებს სურდათ აენაზღაურებინათ ტროცკისტებთან ბლოკით და მისი დახმარებით აღრე თუ გვიან დაებრუნებინათ დაკარგული ხელმძღვანელობა პარტიაში. ამ რიგად, საქართველოში, მაშასადამე, თბილისშიაც, ადგილი ჰქონდა, უმთავრესად ტროცკისტების ბლოკს ახალი ოპოზიციის წარმომადგენლებთან.

უნდა ითქვას, რომ ეს ბლოკი ნაწილობრივ კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვინემ მათი ამხანაგები მოსკოვში და ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაადვილა მათი დამარცხება თბილისის ორგანიზაციაში. ეს გამოიხატა შემდეგში:

პირველი. ამხ. სტალინმა მე-15-ე პარტკონფერენციაზე სთქვა, რომ თავისი ბლოკით ერთის მხრივ ზინოვიევის და კამენევის ჯგუფმა, ხოლო მეორე მხრით ტროცკის ჯგუფმა, ერთმანეთი დააუძლურესო, ვინაიდან ცნობილია, რომ ორივე ეს ჯგუფი ერთმანეთის წინააღმდეგ გაფთორებით იბრძოდა. წინასწარ გაითვალისწინეს რა ეს გარემოება, ორივე ჯგუფი თავის ბლოკს ამზადებდა დაახლოვებით 3—6 თვის განმავლობაში, რითაც თანდათანობით სურდათ დაერწმუნებიათ პარტიის თუნდაც ერთი ნაწილი ამ ბლოკის საჭიროებაში.

ქართველ უკლონისტებს კი არ აღმოაჩნდათ დრო იმისათვის, რომ ორგანიზაციის თუნდაც ნაწილი მოემზადებიათ ზინოვიევის და კამენევის ჯგუფის წარმომადგენლებთან ბლოკის აუცილებლობისათვის. ეს იმიტომ მოხდა, რომ ტროცკის დუმილი საკავშირო კომპარტიის (ბ) 14 ყრილობაზე მათ ისე გაიგეს რომ ის ეთანხმება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას უმრავლესობას და მთელი პარტიის ხაზს. მათ ეგონათ, რომ ტროცკი მხარს უჭერს საკავშირო კომპარტიის ცეკას ზინოვიევის და კამენევის წინააღმდეგ ბრძოლაში, რამდენადაც უკანასკნელები მის ყველაზე უფრო შეურიგებელ მტრებს წარმოადგენდენ. ამიტომ იყო, რომ ქართველ უკლონისტების ერთ-ერთმა ბელადმა ამხ. მ. ოკუჯავამ და აგრეთვე მისმა მომხრეებმა, რომელნიც დაესწრენ საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15-ე ყრილობას, პარტიის უმრავლესობასთან ერთად ხმა მისცეს ზინოვიევის და კამენევის წინააღმდეგ. ამხ. ოკუჯავამ, რომელიც მოსკოვიდან, დაბრუნდა საქართველოში გააკეთა მთელი რიგი მოხსენებებისა პარტიის მე-14-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა ნიადაგზე. შემდეგში კი, როცა წარმოიშვა ტროცკის ბლოკი ზინოვიევთან, ხოლო ივლისში ის სავსებით ჩამოყალიბდა,—სწორედ აქედან იწყება ოპოზიციის აშკარა გამოცოცხლება თბილისში. ადგილობრივი ოპოზიცია იძულებული გახდა ერთბაშად შეეცვალა თავისი ხაზი 180 პროცენტით, გუშინ რომ ზინოვიევის და კამენევის წინააღმდეგ გამოდიოდა, დღეს მას უნდა დაეცვა დასახელებული ამხანაგები და მათთან ბლოკის აუცილებლობა. ცხადია, რომ ეს გარემოება არ შეიძლებოდა მხედველობიდან აეშვა პარტიულ ორგანიზაციას.

მეორე. რუსული ოპოზიციის ერ-ერთ „ძლიერი" მხარე მდგომარეობდა მის „ზე-ინტერნაციონალიზმში". ოპოზიცია ცენტრში გამოდიოდა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას „ნაციონალური განკერძოების" წინააღმდეგ. საერთოდ, ოპოზიცია სცდილობდა თავისი მემარჯვენე საქმეები და წინადადებები გაესალაბა მემარცხენე ფრაზებით ინტერნაციონალიზმის შესახებ. ეს იყო ერთგვარი ფანდი იმისათვის, რომ თავის რგებში გადაეყვანა ჯერ კიდევ გამოუცდელი და გულუბრყვილო ამხანაგები. ეს ფანდი ყოვლად გამოუსადეგი აღმოჩნდა საქართველოს პირობებში, ვინაიდან—ადგილობრივ ოპოზიციონურ ბლოკის საფუძველს წარმოადგენდენ ქართველი უკლონისტები—პარტიის ყველაზე უფრო მემარჯვენე ნაციონალისტური ნაწილი, ამხ. ბუდუ მდივანის მომხრეები, რომელთაც ამხ. სტალინმა კომინტერნის აღმასკომის მეშვიდე გაფართოებულ პლენუმზე უწოდა ნახევრად კომუნისტები და ნახევრად ნაციონალისტები.

ადგილობრივ უკლონისტების ინტერნაციონალიზმი გამოიხატა საბჭოთა კავშირისაგან ეკონომიურად გამოყოფის სურვილში, მათ სურდათ ორიენტაციის აღება სტამბოლის იაფ ბაზარზე, ისინი ებრძოდენ ამიერ-კავკასიის ფედერაციას, მოითხოვდენ მეტ დათმობას წვრილბურჟუაზიულ ნაციონალისტურ ელემენტებისათვის და სხვ. ამრიგად, საქართველოს პირობებში ოპოზიციონური ბლოკის თვით დაუძლურება მოხდა სხვა ხაზითაც—ეს ხაზი მდგომარეობს საქართველოს კომპარტიის ნაციონალისტური ფრთის მოსკოვის ოპოზიციის ზე-ინტერნაციონალისტებთან გაერთიანებაში.

და ამ ბლოკმა შექმნა ისეთი თაიგული, რომელსაც მაინცდამაინც კარგი სუნი არ უდიოდა და ამ ბლოკის ოპორტიუნისტულ სოციალ-დემოკრატიული სუნი იმწამსვე იგრძნეს თბილისის პროლეტარებმა—კომუნისტებმა. ქართველმა უკლონისტებმა 1923 წელს პარტიას შეუტიეს მარჯვნიდან და დამარცხდენ. ეხლა მათ სცადეს პარტიის წინააღმდეგ შეტევა მარცხნიდან, მაგრამ კიდევ უფრო ამაოდ.

ამ დღეებში თბილისის ორგანიზაციამ გვიჩვენა თავისი ჭეშმარიტი ლენინური სახე, მან ყველას დაანახვა, რომ ის მტკიცედ და ურყევად სდგას დაუძლეველ ბოლშევიკურ პოზიციებზე. ოპოზიციამ შესძლო მხოლოდ 27 ხმის შეკრება, მთელი დანარჩენი მასა კი მთელს პარტიასთან ერთად იყო.

პარტიული მუშაობის მთავარი ამოცანები

1. გაძლიერებულ იქნეს უჯრედების მონაწილეობა საბჭოთა-სამეურნეო აპარატის ბიუროკრატიულ გადამახინჯებასთან ბრძოლის, ამ აპარატის გაუმჯობესების და გაიფების საკითხებში.

საჭიროა გაცხოველებულ იქნეს ბრძოლა მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლად. ჩვენი მუშაობის ეს ადგილი სუსტი იყო.

ამ მიზნით პარტორგანიზაციამ ყურადღება უნდა მიაქციოს საბჭოთა უჯრედების მუშაობის გამოცოცხლებას და გაძლიერებას. საბჭოთა უჯრედები უნდა გამოცოცხლდენ, ისინი უნდა იქცენ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ნამდვილ ინიციატორებად. ხელმძღვანელმა პარტიულმა ორგანოებმა ამ საქმეში დახმარება უნდა აღმოუჩინონ უჯრედებს.

2. ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, ადმინისტრატიულ-სამეურნეო აპარატის გაუმჯობესება, მისი გაწმენდა არა საბჭოთა, ნაციონალისტური ელემენტებისაგან ჩვენს წინაშე აყენებს უბრალო წევრების საპასუხისმგებლო პოსტებზე წამოყენების საკითხს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენი მუშაობის ეს მხარე არ არის მოწესრიგებული. მუშათა მასის, განსაკუთრებით მისი ავანგარდის — პარტორგანიზაციის აქტივობა სწრაფად იზრდება. შეუძლებელია პარტიულ და [illegible] მუშათა აქტივის შემდგომი განვითარების ამოცანის გადაჭრა, თუ წინ არ წავსწიეთ დაწინაურების საქმე. მუშებს პირდაპირ სწყურიათ ბრძოლა ჩვენი აპარატის სხვადასხვაგვარ გადამახინჯებათა წინააღმდეგ. საჭიროა უფრო ფართოდ და უფრო გაბედულად პარტიულების და აგრეთვე უპარტიო მუშების საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წამოყენება. ჩვენი საბჭოთა-სამეურნეო დაწესებულების ხელმძღვანელთა მუშაობა უმეტესად შეფასებული უნდა იქნეს იმის მიხედვით, თუ რამდენად წარმატებით მუშაობენ ისინი უბრალო პარტიულების და მუშების დაწინაურების საქმეში.

3. მეტი ყურადღება თბილისის ორგანიზაციის ზრდისა და მოწესრიგების საკითხებს. საჭიროა მუშათა კადრის ხვედრი წონის გადიდება. სათანადო რეზერვები მოგვეპოვება. ისინი იმყოფებიან კომკავშირის, პროფკავშირის, საბჭოების, კოოპერაციის და სხვ. ორგანიზაციების მუშაობის ხაზით. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ თბილისის ორგანიზაციამ სათანადოთ ვერ გამოიყენა პარტიის ისეთ ძლიერი რეზერვი, რომელიც არი კომკავშირი, რომელსაც თავის რიგებში ჰყავს მუშების 59,6 პროცენტი, ვინაიდან 1925—26 წელს კომკავშირიდან პარტიაში მხოლოდ 190 კაცი იქნა მიღებული.

ყურადღება პარტიის ზრდის საკითხებისადმი პირველ ყოვლისა ნიშნავს ყურადღების მიქცევას პროფკავშირების, კომკავშირის, საბჭოების და სხ. ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გამოცოცხლებისათვის.

4. და, დაბოლოს, ყველაზე მთავარი, ეს არის ორგანიზაციის მთლიანობა და შემჭიდროება. თბილისის ორგანიზაცია მომავალშიაც თვალის ჩინივით უნდა გაუფრთხილდეს თავის მთლიანობას და ბოლშევიკურ გამობრძმედას. ჩვენი ორგანიზაციის ისტორია, ეს არის შინაპარტიულ უთანხმოებათა დაძლევის ისტორია. პირველი ნათლობა მან მიიღო 1923 წელს ბრძოლაში საქართველოს კომპარტიაში შექმნილ ნაციონალისტურ, მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ. მეორე ნათლობა კი მან მიიღო 1924 წლის ბოლოს და 1925 წლის დასაწყისში ტროცკისტთან ბრძოლაში, ხოლო მესამე ნათლობა კი ჩვენმა ორგანიზაციამ მიიღო ოპოზიციონურ ბლოკთან ბრძოლაში.

თბილისის პარტიული ორგანიზაციის მთელი ისტორია თავდებია იმისა, რომ მას მომავალშიაც მაღლა ეჭირება ხელში ლენინიზმის დროშა და ამ დროშის ქვეშ ის შესძლებს იმ უდიდეს და მძიმე ამოცანების გადაჭრას, რომელნიც მის წინაშე დგანან ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის ყველა დარგში.

ნ. სვანიძე.

რა გააკეთა თბილისის კომიტეტმა

უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედები

თბილისის ორგანიზაციაში არის უმაღლეს სასწავლებელთა 15 უჯრედი, რომლებშიაც არის 1.234 წევრი და კანდიდატი.

უმაღლეს სასწავლებელთა ყველა უჯრედები თავმოყრილი არიან პარტიის ქალაქის რაიკომში, რომელიც უმთავრესად აწარმოებს მუშაობას უმაღლეს სასწავლებლებში.

პარტიული მუშაობის თავისებურებანი უმაღლეს სასწავლებლებში მოითხოვდენ ხელმძღვანელობის გაძლიერებას უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედებზე და აგრეთვე მათ გაძლიერებას მუშაკებით. ეს ორი ამოცანა განხორციელდა. ქალაქის რაიკომში გამოყოფილია სპეციალური ინსტრუქტორი უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედებში მუშაობისათვის. ქართულ მუშფაკისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯრედებში ჯამაგირიანი მდივნებია. როგორც თბილისის კომიტეტი, ისე რაიკომი აწარმოებდენ უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედების გამოკვლევას და ისმენდენ მათ მოხსენებებს. თბილისის კომიტეტმა უმაღლეს სასწავლებელთა სამი უჯრედის გამოკვლევა მოახდინა (ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის, სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის და სახელმწიფო უნივერსიტეტის) და უმაღლეს სასწავლებელთა 2 უჯრედის (ამ.-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტის და სახელმწიფო უნივერსიტეტის) ანგარიში მოისმინა. საწარმოო გამოკვლევათა შემდეგ გამოირკვა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში და ნაწილობრივ ქართულ მუშფაკში ადგილი აქვს ნაკლთა მთელ რიგს: 1) ბიურო რიგიანად ვერ ხელმძღვანელობს ფაკულტეტის უჯრედებისა და საერთო სტუდენტურ ორგანიზაციების მუშაობას; 2) სწორად ვერ უდგება უპარტიო სტუდენტობას; 3) უჯრედებს კავშირი არ აქვთ რაიკომთან; 4) პარტიულ მუშაობაში ჩაბმული არ არიან კომსტუდენტების წევრთა ფართო წრეები და არ ტარდება შინა-პარტიული დემოკრატიის პრინციპები.

ამ დეფექტების მიხედვით თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა და რაიკომმა გამოიმუშავეს პრაქტიკული დირექტივები უჯრედებისადმი და უჯრედების ერთგვარი რეორგანიზაცია მოახდინეს.

მიღებულ ღონისძიებათა შემდეგ მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს უმაღლეს სასწავლებლებში პარტმუშაობის დაყენების დარგში.

გაუმჯობესდა ბიუროს ფრაქციებზე ხელმძღვანელობა. სტუდენტური ორგანიზაციები საბოლოოთ გადაიყვანეს საკურსო და ფაკულტეტურ კომიტეტების სტრუქტურიდან პროფკავშირის სტრუქტურაზე. ნაწილობრივ გაუმჯობესდა მასიური მუშაობის დაყენება უპარტიო სტუდენტობას შორის (სახელმწ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, ნაწილობრივ სახელმწიფო უნივერსიტეტი). გაძლიერდა პარტუჯრედების მონაწილეობა უმაღლეს სასწავლებელთა გამგეობებისა და მუშფაკების პრეზიდიუმების მუშაობაში. სტუდენტთა ორგანიზაციების გადარჩევის ხელმძღვანელობა ჩატარდა ფაკულტეტის უჯრედების მონაწილეობით.

ამავე დროს აუცილებელია აღინიშნოს მნიშვნელოვანი მიღწევანი უმაღლეს სასწავლებელთა პარტუჯრედების გაჯანსაღების დარგში. ნაკლი სახელმწიფო უნივერსიტეტში, ოპოზიციონური სულისკვეთება, არ დამორჩილება უმაღლეს პარტორგანოებისადმი, რომელთაც ჰქონდა ადგილი წინეთ, უკვე აღმოფხვრილია.

უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედების მუშაობის ნაკლს უნდა მივაკუთვნოთ უჯრედების სუსტი მონაწილეობა სამოსწავლო გეგმათა დამუშავებაში, ფაკულტეტურ და საკურსო უჯრედების მუშაობის სისუსტე; ვერ შერჩევა იმ საკითხებისა, რომელნიც ფაკულტეტს ან კურსს ეხებიან, სუსტი მუშაობა სტუდენტების, და კერძოდ კომსტუდენტების მეცადინეობის ჯეროვან ნიადაგზე დაყენებისათვის.

მომავალში კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს შინაპარტიული მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში, უნდა გაფართოვდეს მუშაობა უპარტიო სტუდენტებს შორის, ჯეროვან სიმაღლეზე უნდა იქნას აყვანილი კომსტუდენტობის აკადემიური მუშაობა, უნდა გაძლიერდეს უჯრედების მონაწილეობა სამოსწავლო გეგმების დამუშავებაში, უმაღლეს სასწავლებელთა გამგეობების მუშაობაში და სხ.

უჯრედების კომისიების მუშაობა

კომისიურმა მუშაობამ უჯრედებში ჯეროვანი ნიადაგი მოიპოვა (განსაკუთრებით აგიტკომისიების მუშაობამ). კომისიები დამხმარე ორგანოები არიან უჯრედების ბიუროების ხელმძღვანელობით მუშაობაში; ეს კომისიები უჯრედების ბიუროებს ეხმარებიან საკითხების დამუშავებაში, მოვალეობათა განაწილებაში და წევრების პოლიტიკურ აღზრდაში, პარტმოვალეობათა შესრულების კონტროლში და სხ. მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კომისიებს, განსაკუთრებით საორგანიზაციო კომისიებს და რამდენამდე კომკავშირთა კომისიებს თავის მუშაობაში აქვთ ნაკლთა მთელი რიგი. ადგილი აქვს კომისიებისა და უჯრედების ბიუროების ფუნქციების აღრევას, კომისიის შემადგენლობა კარგად ვერ არის შერჩეული, ყველა საკითხები ვერ მუშავდება ჯეროვნად.

კომისიების რიცხვის შემცირებამ უჯრედებში გააუმჯობესა უჯრედების მუშაობა და გააძლიერა უჯრედების ბიუროს ხელმძღვანელობა კომისიებზე.

წარსულ წელში ორგანიზაციები გატაცებული იყვნენ სხვადასხვა გვარ საუჯრედო კომისიებით. თითქმის ყველა უჯრედები სთვლიდენ თავიანთ მოვალეობად, რომ 5 კომისია მოეწყოთ (თბილისის კომიტეტის დებულების თანახმად), რის შედეგადაც მივიღეთ უჯრედების დატვირთვა ყოველგვარი კომისიური სხდომებით, პარალელიზმი მუშაობაში და არანაყოფიერი შედეგები.

თბილისის კომიტეტმა გაითვალისწინა რა ასეთი მდგომარეობა, მოახდინა კომისიური მუშაობის გამოკვლევა ორგანიზაციაში; ამასთან ერთად რაიკომმა ჩაატარა აგრეთვე სხვადასხვა კომისიების გამოკვლევა. გამოკვლევის შედეგი იყო ის, რომ გადაწყდა კომკავშირის კომისიებისა და არმიასთან კავშირის დამჭერი კომისიების გაუქმება, საორგანიზაციო და საგიტაციო კომისიების რიცხვის მინიმუმამდე შემცირება და აგრეთვე ქალთა კომისიების რიცხვის შემცირება იმ წარმოება-დაწესებულებებში, სადაც ქალთა მცირეოდენი რიცხვი მუშაობს. ამავე დროს გადაწყდა კომისიების გაუქმება კოლექტივებში და მათი შექმნა ცეხუჯრედებში.

რაიკომის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შემდეგ (კომისიების რიცხვის გადასინჯვა) კომისიების რიცხვი შემცირდა სამჯერ. წარშან ქალაქის ორგანიზაციაში სულ იყო 290 კომისია; მათ შორის საორგანიზაციო—65, საგიტაციო-საპროპაგანდო—93, კომკავშირის—72, ქალთა შორის მუშაობის—60. ეხლა ჩვენ გვაქვს სულ 114 კომ., მათ შორის საორგანიზაციო—25, საგიტაციო-საპროპაგანდო—48, ქალთა შორის მუშაობის—28, კომკავშირთან კავშირის დაჭერისათვის—[illegible].

სალიკვიდაციო კომისიების მაგივრად უჯრედებში სათანადო დარგების მიხედვით წამოყენებულ იქნენ ორგანიზატორები. სულ თბილისის ორგანიზაციაში წამოყენებულ იქნა აგიტპროპორგანიზატორი—85, ქალთა ორგანიზატორი—81, კომკავშირთა ორგანიზატორი—93.

მიუხედავად იმისა, რომ კომისიების რიცხვი თითქმის სამჯერ შემცირდა, კომისიების მუშაობა გაუმჯობესდა სხდომების რიცხვისა და განხილული საკითხების ზრდის მხრივ. თუ წინეთ ყველა კომისიებში ჩვენ გვქონდა 776 სხდომა, რომლებზედაც 1.997-ზე მეტი საკითხი იქნა განხილული, ეხლა სხდომებისა და განხილული საკითხების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა—სულ იყო 1.043 სხდომა და 2.988 განხილული საკითხი.

ანგარიშების წარდგენა კომისიების მიერ უჯრედებისა და ბიუროს წინაშე საგრძნობლად გაუმჯობესდა. წარსულში ყველა კომისიებმა ბიუროს წინაშე წარადგინეს ანგარიში 195-ჯერ, ხოლო უჯრედების წინაშე 62-ჯერ. ამ პერიოდის განმავლობაში კომისიებმა ბიუროს წინაშე წარადგინეს ანგარიში 372-ჯერ, უჯრედების წინაშე 135-ჯერ.

იმ გამოცდილების მიხედვით, რომელიც ჩვენ გვაქვს კომისიურ მუშაობაში, უნდა ვსთქვათ, რომ მუშაობის კომისიურმა მეთოდმა ნათლად გვიჩვენა კომისიების არსებობის სრული მიზანშეწონილობა პარტიის უბრალო წევრების მუშაობაში ჩაბმის, გადატვირთულად დატვირთული ამხანაგების მუშაობის შემცირების, საუჯრედო მუშაობის, მოსახლეობის დამუშავების და სხ. მხრივ.

ცეხპარტორგანიზატორების მუშაობა

თბილისის ორგანიზაციაში სულ არის 310 პარტორგანიზატორი. ლენინის რაიონში—148, არსენალის—48, ველაბარ-ზარფუხის—39, ქალაქის—75.

თუმცა პარტორგანიზატორების ინსტიტუტმა დაამტკიცა თავისი ცხოველმყოფელობა და ცეხელ პარტორგანიზატორი აუცილებელია ჩვენთვის უჯრედის მჭიდრო კავშირის დამყარებისათვის როგორც პარტიულ, ისე უპარტიო მასებთან, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ პარტორგანიზატორების მუშაობაში ჩვენ გვაქვს ნაკლთა მთელი რიგი. როგორც თბილისის კომიტეტმა, ისე რაიკომებმა გამოიკვლიეს პარტორგანიზატორების მუშაობა თითქმის ყველა წარმოებებში.

მიუხედავად იმისა, რომ დაწვრილებითი დებულება არის გამომუშავებული პარტორგანიზატორების მუშაობის შესახებ და რაიონებში რამოდენიმეჯერ იქნა მოწვეული პარტორგანიზატორების თათბირები, პარტორგანიზატორების უმრავლესობამ სავსებით ვერ შეითვისეს თავიანთი ფუნქციები.

ძირითადი ნაკლი პარტორგანიზატორთა მუშაობაში მდგომარეობს იმაში, რომ: 1) უჯრედების ბიუროები სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ პარტორგანიზატორების მუშაობას. პარტორგანიზატორების მოხსენებებს ისმენენ ბიუროს სხდომებზე, მაგრამ პრაქტიკული წინადადებანი არ გამოაქვთ მათ შესახებ. ბიუროები არ იწვევენ პარტორგანიზატორებს და ინსტრუქციებს არ აძლევენ მათ.

2) მტკიცე კავშირი არ არსებობს მთელი წარმოებისა და დაწესებულებების პარტორგანიზატორების მუშაობაში.

3) პარტორგანიზატორები არ არიან ბიუროების ან უჯრედების პლენუმის დირექტივების გამტარებლები, თვალყურს არ ადევნებენ ბიუროების და უჯრედების პლენუმის დადგენილებათა შესრულებას პარტიის ცალკე წევრების მიერ.

4) არ აწარმოებენ მუშაობას უპარტიოებს შორის. ასეთია ძირითადი შედეგები პარტორგანიზატორების მუშაობაში.

გ. ლიზ.

თბილისის პარტკონფერენციის უჯრედთა ბიუროების შემადგენლობა და მუშაობა

საანგარიშო პერიოდში უჯრედთა ბიუროების გადარჩევა ორგანიზაციაში მოხდა ორჯერ აპრილში და სექტემბერში. ორივე კამპანია ჩატარებულ იქნა გეგმიანი წესით და დანიშნულ ვადის განმავლობაში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გვაქვს მიღწევები გადარჩევისათვის სამზადის მუშაობის ჩატარების საქმეში. საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ორგანიზაციის აქტივში და პარტიის წევრთა ფართო მასაში წარმოებდა გადარჩევის მთავარ ამოცანების ფართოდ გაშუქება. იმართებოდა უჯრედთა მდივნების თათბირები ბიუროების კონფერენციები; თბილისის კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები (ცირკულიარი) გადარჩევის შესახებ წინასწარ ირჩეოდა უჯრედებში. საგრძნობლად გაუმჯობესდა აგრეთვე გადარჩევის ხელმძღვანელობა თბილისის კომიტეტის და რაიკომების მხრივ.

სექტემბერში მომხდარ გადარჩევის დროს თითქმის სულყველა უჯრედში იყვნენ რაიკომების მუშაკები, რაც ხელს უწყობდა რაიკომების კავშირის გაუმჯობესებას უჯრედებთან. უჯრედთა ბიუროების გადარჩევა ერთგვარ კონფერენციების ხასიათს ატარებდა. საარჩევნო კრებები უჯრედების 50 პროცენტში ორიდან ოთხ დღემდე გრძელდებოდა. უჯრედების წინასწარ კრებებზე იკითხებოდა მოხსენებები, რომელნიც აშუქებდენ წარმოებისა თუ დაწესებულების პარტიულ, სამეურნეო და პროფესიონალურ მუშაობას (პარტიისა და ა. ლ. კომკავშირის უჯრედთა ბიუროების ანგარიში სამეურნეო დარგის მუშაკის მოხსენება, ადგილკომის თავმჯდომარის მოხსენება და სხვ.).

პარტიული მასა საარჩევნო კრებებს დიდი ყურადღებით შეხვდა და ის დიდი აქტივობას იჩენდა. სწარმოებდა დღის წესრიგში არსებულ საკითხების საქმიანი აქტიური განხილვა ბიუროს ახალ შემადგენლობაში ასარჩევ კანდიდატების სიების გარჩევა. გასულ წელთან შედარებით ბევრად გაიზარდა კამათში მონაწილეების მიმღებთა და შემოსულ შეკითხვების რიცხვი. წინანდელ გადარჩევის დროს—აპრილში საშუალოდ თითო უჯრედზე მოდიოდა 7 ორატორის გამოსვლა და 13 წერილობითი შეკითხვა. სექტემბრის გადარჩევის დროს ყოველ უჯრედზე მოდიოდა 11 ორატორის გამოსვლა და 25 წერილობითი შეკითხვა. უნდა აღინიშნოს, რომ კამათში უმეტესად მონაწილეობას იღებდენ უბრალო მუშები. გადარჩევის შემდეგ თბილისის ორგანიზაციაში უჯრედთა მდივნების შემადგენლობის განახლება უდრის 26,9 პროცენტს, ხოლო ბიუროების შემადგენლობის განახლება 47,9 პროც. განახლების მეტი პროცენტი უჯრედთა ბიუროების და მდივნების შემადგენლობაში ქალაქის რაიონს ეკუთვნის. მდივანთა შემადგენლობაში—40 პროც., ბიუროების შემადგენლობაში—50,7 პროც. ლენინის რაიონშიაც შემადგენლობის განახლების დიდი პროცენტი მოდის ბიუროების შემადგენლობაზე—52,7 პროც.

ბიუროების და უჯრედთა მდივნების ნაციონალური და სოციალური შემადგენლობა სავსებით ნორმალურია და შეეფერება ორგანიზაციის სოციალურ და ნაციონალურ შემადგენლობას.

ორშაბათს, 10 იანვარს საღამოს 6 საათზე თბილისის მუშათა თეატრის შენობაში (ყოფილი სახალხო სახლი) გაიხსნება

თბილისის მე-7 სამაზრო-საქალაქო პარტკონფერენცია

დღის წესრიგი:

1) საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის ანგარიში;
2) ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტის თანამოხსენება;
3) სარევიზიო კომისიის ანგარიში;
4) საქართველოს ცენტრ. საკონტრ. კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენება;
5) საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის მოხსენება;
6) სამრეწველო აღმშენებლობის გეგმა;
7) პროფკავშირების მუშაობა და მორიგი ამოცანები;
8) არჩევნები.

დელეგატები მანდატებს მიიღებენ პარტიის სათანადო რაიკომებში.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

ლენინის გარდაცვალების სამი წლის თავისათვის

ს. კ. პ. (ბ) ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტებს და თბილისის კომიტეტს

21 იანვრისათვის, ამხ. ლენინის გარდაცვალებიდან 3 წლის თავზე, ჩატარებულ იქნეს მოხსენებები და საუბრები კლუბებსა, ქოხ-სამკითხველოებსა, სკოლებსა და წრეებში, პარტიის, კომკავშირის და პიონერთა ღია სხდომებზე.

ლოზუნგები მოხსენებებისა და საუბრებისათვის:

1. ლენინიზმისათვის—ლენინიზმის დამახინჯების წინააღმდეგ.
2. ლენინური პარტიის მთლიანობისა და სიმტკიცისათვის, ფრაქციულობის და ჯგუფობრიობის წინააღმდეგ.
3. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის (ჩვენი სამეურნეო მიღწევები).
4. ჩვენ ვაშენებთ და ავაშენებთ კიდეც სოციალიზმს, მიუხედავად ყოველგვარ მერყეობათა, ურწმუნოებისა და იჭვებისა.
5. ჩვენ ვიყავით და დავრჩებით საერთაშორისო რევოლიუციის პარტიად (კურსი საერთაშორისო რევოლიუციაზე იყო და დარჩება ჩვენს ძირითად კურსათ).
6. მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის განმტკიცებისათვის, კომუნისტურ პარტიაში მისი გალენინებისათვის, ღარიბ და საშუალო მასებთან მისი კავშირის განმტკიცებისათვის საბჭოების მომავალ გადარჩევაში.

ც. კ. მდივანი: მ. კახიანი.

ც. კ. აგიტპროპგანყოფილების გამგე: პ. საყვარელიძე.

ამხანაგო, გახსოვდეს, რომ 10 იანვარი პარტაღწერის დღეა!

ამხანაგო, როცა პარტაღწერაზე მიდიხარ—არ დაგავიწყდეს პარტიული დოკუმენტი.

პარტაღწერა

პარტაღწერის ამოცანები

სულ ხუთი წლის წინეთ, 1922 წლის იანვარში, იქნა ჩატარებული პირველი პარტიული აღწერა. მაშინ იგი შეეხო მხოლოდ პარტიის წევრებს. ცნობებს აგროვებდენ პირადით მხოლოდ პარტიის წევრებს და მხოლოდ მათზე ავსებდენ პირად ბარათებს „ა"; ეხლა აღწერაში და ცნობების პირად [illegible] ყველა კომუნისტები გამოიკვლევიან, მიუხედავად იმისა, წევრები არიან ისინი თუ კანდიდატები. ასეთი ახალი დებულება აღწერის საორგანიზაციო გეგმაში თავის თავად აშკარავებს და აყენებს ჩვენს წინაშე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას, რომელიც [illegible] აქვს მომდევნო [illegible] მუშაობას.

საკმარისია აღვნიშნოთ, თუ გინდ, ის გარემოება, რომ 1922 წელში პარტიის თვითეულ ას წევრზე მოდიოდა 27 კანდიდატი. ეხლა კი პარტიის თვითეულ ას წევრზე მოდის 68 კანდიდატი.

1922 წელში პარტია, მის სტატისტიკურ გამოკვლევებში, შეიძლებოდა დაინტერესებული ყოფილიყო მხოლოდ მისი ყველაზე უფრო გამობრძმედილი რიგების ყოველმხრივი გაცნობით ე. ი. მისი წევრების შემადგენლობით. რომლებიც მაშინ უმრავლესობას შეადგენდენ მასში. ეხლა, როდესაც პარტიის წევრების და კანდიდატების რიცხვობრივი ურთიერთობა საგრძნობლად შეიცვალა, როდესაც პარტია სდგას მისი შემდგომი ზრდის მოწესრიგების საკითხების წინაშე, ცხადია, მან თავისი გამოკვლევა უნდა გაავრცელოს კანდიდატებზეც.

როგორია პარტიის ზრდა 1922 წლიდან 27 წლამდე? საკმარისია აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ 1922 წლის მიმართ თვითეულ ას კომუნისტზე ეხლა მოდის 209.

და აი, როდესაც პარტიის ზრდამ მილიონ წევრს გადააჭარბა, თვითეული კომუნისტისათვის ნათელი ხდება ის დებულება, რომ პარტიის ასეთ სწრაფ ზრდას რაღაც ხუთი წლის განმავლობაში არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მის თვისებრივ შემადგენლობაზე. შეიძლება თუ არა მომავალში გამოკვლევის გარეშე დავსტოვოთ ის შინაგანი პროცესები, რომლებიც პარტიის ზრდასთან ერთად განიცადა პარტიულმა ორგანიზმმა მთლიანად? რასაკვირველია, არა. საჭიროა დაუყოვნებლივი გამოკვლევა, რომ დავრწმუნდეთ იმაში, რომ პარტიის ასეთი სწრაფი ზრდა არაფრით არ ემუქრება მის ორგანიზმს მთლიანად; რომ, მაგალითად ამ ორგანიზმის ზრდა უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში განისაზღვრება მასში მხოლოდ ჯანსაღი ქსოვილების განვითარებით, ინდუსტრიალური პროლეტარიატის ხარჯზე. მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ გასული ხუთი წლის განმავლობაში პარტიაში შემოიჭრა მერყევი ელემენტებიც, რომლებიც ზედმეტ და მავნებელ ბარგს წარმოადგენს.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ ვსთქვათ, თუ როგორია ჩვენი პარტიის სახე 1927 წელში? რასაკვირველია არა. მიმდინარე დიდ მუშაობის დროს, რომელსაც მუდმივ ეწევა პარტია მთლიანად, ძნელია [illegible] მუშაობაში, რომ ვერ ხედავენ ყველა ის ცვლილებები, რომლებიც ხდება პარტიის რიგებში. პარტიის ცხოვრების ასეთ მომენტებში აუცილებელია მისი რიგების ყოველმხრივი გადასინჯვა. ერთად-ერთი საშუალება სტატისტიკური გამოკვლევაა, რომელიც დანიშნული უნდა იქნეს ერთ განსაზღვრულ დღეს. ყველა კომუნისტების აღრიცხვით, პირადი დაკითხვის გზით, შეგროვილი იქნება მასალები, რომლებიც შემდეგ გადამუშავდება [illegible]. ფაქტები, თავისი სრული ობიექტიურობის გამო, მოგვცემენ ჩვენ სწორ და სრულ წარმოდგენას იმაზე, რაც უნდა [illegible] პარტიამ. ასე მოიქცა პარტია 1922 წელში, როდესაც მან გადასწყვიტა იმ ამხანაგების შემოწმება, რომლებიც დარჩნენ პარტიაში მერყევი ელემენტების დაუნდობელ პირველი გაწმენდის შემდეგ. ასე გადაწყვიტა მან ეხლაც. თვითეული კომუნისტის ინტერესები და პარტიული შეგნება ბოლომდე უნდა შეუერთდეს პარტიის ამ მოთხოვნილებას ყველა კომუნისტების სრული აღრიცხვის შესახებ.

ყველა წევრების და კანდიდატების ხელახალი აღრიცხვის გარდა, 1927 წლის პარტიული აღწერა მოგვცემს სრულ და ნათელ სურათს იმისას, თუ როგორია კავშირი პარტიის ცალკე სოციალურ ჯგუფებსა და მოსახლეობის ამავე ფენებს შორის. კომუნისტების შედარებითი სიმჭიდროვის გამორკვევა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენებში, სხვადასხვა სქეს-ასაკის, ნაციონალურ და პროფესიონალურ ჯგუფებში—პარტიული აღწერის შემდგომი ამოცანაა. მაგრამ მარტო პარტიული სტატისტიკა საერთო საკავშირო სტატისტიკის დახმარების გარეშე ვერ მოახერხებს ამ მუშაობის წარმატებით ჩატარებას. და ეს გარემოება სავსებით მიღებულია მხედველობაში ხელმძღვანელი სტატისტიკური ორგანოების მიერ. საკმარისია 1926 წლის საკავშირო აღწერის პირადი ბარათის შინაარსის შედარება 1927 წლის პარტიული აღწერის პირად ბარათებთან, რომ დავრწმუნდეთ საკითხების უმრავლესობის ერთგვაროვნებაში და მათ ერთნაირ ვარიანტულ ჩამოყალიბებაში. პარტიულ და საკავშირო აღწერის პირადი ბარათების ასეთი შეთანხმება საშუალებას იძლევა ერთნაირად დამუშავებული იქნეს ცნობები მოსახლეობისა და კომუნისტების შესახებ მასში. პარტიის და საბჭოთა კავშირის არსებობის მთელი დროის განმავლობაში ჩვენ პირველად გვაქვს საშუალება ასეთი ფართო და ღრმა ანალიზი ვაწარმოოთ. 26 წლის საკავშირო აღწერა პირველი აღწერაა, რომელიც შეეხო საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიას; ასეთივეა 27 წლის პარტიული აღწერაც, რომელიც კომუნისტებს და მთელ მოსახლეობას უსწრებს არა სამხედრო მდგომარეობაში, არამედ მშვიდობიანი განვითარების და შრომის პირობებში.

ს. ტ.

ამხანაგო, ჩაეცანი პარტაღწერის ბლანკს, მოამზადე პასუხი დასმულ კითხვებზე.

პარტაღწერის ბლანკში აღნიშნულ ყოველ კითხვაზე საჭიროა გარკვეული და სწორი პასუხის გაცემა.

პარტიული აღწერა და კომკავშირი

1922 წლის პარტაღწერის საღწერო ბლანკებში არ იყო კითხვა კომკავშირისათვის პარტიულთა კუთვნილების შესახებ.

გასულ პერიოდში კომკავშირი არაჩვეულებრივად გაიზარდა და ამჟამად თავის რიგებში ითვლიან 2 მილიონზე მეტ მუშა და გლეხ-ახალგაზრდას. გაიზარდა და განმტკიცდა, აგრეთვე, კავშირის საზოგადოებრივ პოლიტიკური და კულტურული როლი.

კავშირი გადაიქცა პარტიის ნამდვილ თანაშემწედ და მის მარქაფად. მაგრამ კომკავშირის წინაშე დასმულ ამოცანების სირთულე და მასში გლეხების და მოსამსახურეების სიმრავლე პარტიის წინაშე აყენებს ამოცანას კომკავშირისადმი პარტიულ ხელმძღვანელობის შესახებ. კომკავშირის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობასთან ერთად პარტორგანოების მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა გამობრძმედილ, შეკავშირებულ პარტბირთვის არსებობას კომკავშირში, რომელიც ყოველდღიურ მუშაობას აწარმოებს კომკავშირულ მასაში და პარტიის ხაზის გამტარებელი არის.

ამის გამო პარტგავლენა კომკავშირზე რამოდენიმედ დამოკიდებულია პარტიის წევრ კომკავშრ. რიცხვზე და პარტბირთვის ხარისხზეც. მაგრამ პარტიულთა რიცხვი საბჭოთა კავშირის კომკავშირში არ არის მაინც და მაინც დიდი. ის საშუალოდ 8 პროცენტს არ აღემატება. განსაკუთრებით მცირეა ეს პროცენტი სოფლად. არიან კომკავშირის ისეთი უჯრედები, სადაც პარტიის არც ერთი წევრი არ ირიცხება. ეს გარემოება კიდევ უფრო რთულდება მით, რომ ზოგიერთ ისეთ სოფლებში, სადაც არსებობს კომკავშირის უჯრედი, პარტუჯრედი სრულებით არ მოიპოვება. ასეთ სოფლებში კომკავშირის უჯრედები თავის ფუნქციებით და მნიშვნელობით, პარტუჯრედების მაგიერობას ასრულებენ. ამის გამო განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საკითხი პარტიის წევრ კომკავშირელთა შესახებ. ვის ეყრდნობა პარტია კომკავშირში, ვინ არის მისი ხაზის გამომხატველი—ეს საკითხი საჭიროებს მთლიანად უნდა იქნეს გაშუქებული. ამ ჟამად არც პარტიულ და არც კომკავშირის სტატისტიკას სწორი ციფრები ამის შესახებ არ მოეპოვება.

მეორე საკითხი, რომელიც უნდა გამოარკვიოს პარტაღწერამ, იმაში მდგომარეობს, რომ კომკავშირმა, რომელიც პარტიის მარქაფს და ერთგვარ წინასწარ კომუნისტურ სკოლას წარმოადგენს, თავის არსებობის განმავლობაში გადასცა პარტიას რამოდენიმე ასი ათასი თავისი წევრი. ეს რიცხვი ყოველწლიურად იზრდება და უახლოეს ხანში პარტია უმთავრესად კომკავშირის ხარჯზე იწყებს ზრდას.

ფრიად საინტერესოა გამოირკვეს კომკავშირის მიერ მომზადებულ და პარტიაში გადაცემულ წევრობის არა მარტო ხარისხობრივი შემადგენლობა, არამედ ისიც, თუ რამდენად არიან ისინი გამოყენებული პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზე. პირად ბარათებში არსებული კითხვები იძლევიან საშუალებას ეს საკითხებიც გამოვარკვიოთ.

დასასრულ ბარათში, რომელიც უნდა შეავსონ თემკომებმა არის ორი კითხვა: კომკავშირის უჯრედების რაოდენობაზე და კომკავშირელთა რიცხვის შესახებ, ეს კითხვები გამოარკვევენ კომკავშირის უჯრედების და წევრთა რაოდენობას სოფლად.

კომკავშირის უჯრედებმა ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი აღწერას, განსაკუთრებით სოფლად.

ნუ დააგვიანებ აღწერის ბლანკზე აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემას; წინდაწინვე მოიფიქრე პასუხი.

ამხანაგო, როცა რეგისტრატორს უტყუარ და სწორ პასუხს აძლევ, შენ ხელს უწყობ პარტიის ნამდვილი სახის დანახვას.

პარტიული ქრონიკა

ორშაბათს, 10 იანვარს, პარტაღწერა იწარმოებს შემდეგ უჯრედებში:

პირველი რაიონი. ორთქლმავალთა დეპო, მთავარი სახელოსნოს ჩამომსხმელი ცეხი, რკ. გზ. სამმართველო, გზათა კომისარიატის რაზმი და სატელეგრაფო სახელოსნოები.

მეორე რაიონი. ტრამვაის ელსადგური, „ემს"-ი ა.-კ. სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ჯარების სკოლა, საზერხი ქარხანა. „სანტიხი" და მთავარი საავადმყოფო.

მესამე რაიონი. რბილი ტყავის ქარხანა № 1, სამხედრო წისქვილები და „კოოპრომი".

მეოთხე რაიონი. აღმშენებლობის კავშირი, სახელმწიფო უნივერსიტეტი, საბპარტსკოლა, აღმასკომის № 2 სტამბა (ყოფ. სამხედრო), პოლიგრაფტრესტის სტამბა № 2, საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი ამხ. კომის სახელობის და ფოსტა.

ზემოთჩამოთვლილ უჯრედების წევრები ვალდებულნი არიან გამოცხადდენ ორშაბათს, თავიანთ უჯრედებში აღწერის ჩასატარებლად.

— სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი იტყობინება პარტიის წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოთ, რომ მიმდინარე პარტაღწერა იწარმოებს კომუჯრედთა ბიუროს ოთახში შემდეგ დღეებში: ის ამხანაგები, რომელთა გვარები იწყება „ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი";—უნდა გამოცხადდენ 10 იანვარს (ორშაბათს) საღამოს 5 საათიდან; „კ, ლ, მ, ნ, ო, პ, ჟ, რ, ს"—11 იანვარს (სამშაბათს) საღამოს 5 საათიდან, „ტ, უ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც"—12 იანვარს (ოთხშაბათს) საღამოს 5 საათიდან და „ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ"—13 იანვარს (ხუთშაბათს) საღამოს 5 საათიდან.

აღწერისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები:

1) პარტიული დოკუმენტი,
2) მოწმობა: სამხედრო ვალდებულობის შესახებ,
3) საანგარიშო წიგნაკი ჯამაგირის რაოდენობის შესახებ,

ის ამხანაგი, ვინც გამორჩება აღწერაში პარტიიდან მექანიკურად გამოირიცხება.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ხეხილის სანერგე

ქუთაისი, 8 იანვარი. სოფელ მექვენაში სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა შეუდგა ხეხილის დიდ სანერგეს მოწყობას. (ადს)

კონიაკის ქარხანა

ქუთაისი, 8 იანვარი. სოფელ ბაღდადში დამთავრდება კონიაკის ქარხნის აგება.

ქარხანა ამ დღეებში ამუშავდება. (ადს).

ტყეების დაცვა

ოზურგეთი, 8 იანვარი. გურიის ტყეების დასაცავად გატარებულ მთელ რიგ ღონისძიებათა შემწეობით, ტყეების მტაცებლური გაჩეხა 50 პროცენტით შემცირდა.

წლის პირველი მეოთხედის განმავლობაში ხაზინაში შემოვიდა: ხე-ტყის გატანის სპეციალური ნებართვებიდან—7,500 მანეთი, საძოვრებიდან—4,500 მანეთი, სულ 12.000 მანეთი, რაც შარშანდელ შემოსავალს 40 პროცენტით აღემატება. (ადს).

მზადება საბჭოთა არჩევნებისათვის

ოზურგეთი, 8 იანვარი. სასოფლო საბჭოების გადარჩევის კამპანიის ჩასატარებლად გამოყოფილია სამაზრო საარჩევნო კომისია.

თემსაბჭოები უკვე შეუდგენ საანგარიშო მოხსენებების კითხვას ამომრჩევლების წინაშე. (ადს).

ახალ-სენაკი, 8 იანვარი. სამაზრო აღმასკომი შეუდგა სამზადისს მუშაობას საბჭოების გადარჩევის ჩასატარებლად. გამოყოფილია სამაზრო საარჩევნო კომისია. თემებშიაც ირჩევენ ანალოგიურ კომისიებს. თემსაბჭოებს წინადადება მიეცათ შეადგინონ და გამოაქვეყნონ საარჩევნო სიები. (ადს).

ახალ-სენაკის მოსახლეობა

ახალ-სენაკი, 8 იანვარი. აღწერიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობის თანახმად, ახალ-სენაკში ცხოვრობს 5478 სული, აქედან 2,818 მამაკაცი და 2.660 ქალი. (ადს).

თელავის მაზრის მანქანიზაცია

თელავი, 8 იანვარი. 1926 წლის განმავლობაში თელავის მაზრაში მოეწყო 6 სამანქანო ამხანაგობა, რომლებმაც შეიძინეს 14 ტრაქტორი, 2 სალეწი მანქანა, 2 სამკალი და სხვა სასოფლო სამეურნეო მანქანები. (ადს).

კურსები მასწავლებელთათვის

თელავი, 8 იანვარი. 2 იანვრიდან თელავში გახსნილია კურსები საჩვენებელ სკოლების მასწავლებელთათვის. კურსებზე მოწვეული არიან როგორც საჩვენებელ, ისე სასოფლო სკოლების მასწავლებლები. მეცადინეობა 1 კვირა გასტანს. (ადს).

წერილები

ოსები კახეთში

(წერილი თელავის მაზრიდან)

სოფ. ფიჩხოვანი მდებარეობს ფშაველის თემში. ქვემო ალვანის ჩრდილოეთით სამ ვერსზედ. ეს სოფელი გაშენებულია კავკასიონის ქედის ძირში. მოსახლეობა (დაახლოებით 100 კომლი) არის ოსები გადმოსახლებული გორის მაზრიდან ოცდახუთი წლის წინად. მათი ადგილები ჰქონებიათ თავადებს, რომელთაგანაც შეუსყიდნიათ, გაუჩაგნიათ გაუვალი ტყეები, გაუკეთებიათ სამოსახლო და სახნავი ადგილები, დაუღვრიათ ოფლი და იქ, სადაც ოცდახუთი წლის წინედ მწყემსს რომ დაჰკარგოდა კამეჩი, ერთი კვირა უნდა ეძებნა გაუვალ ტყეში, ამჟამად ჰოროველას ძახილი მშრომელი ოსისა აყრუებს არე-მარეს.

საუბედუროდ მიწების ნაკლებობა აიძულებს ზოგიერთ მოსახლეს იზრუნოს გადასახლებაზედ სამხრეთ ოსეთში, სადაც ჰყავთ ნათესავები. ხშირად წერილობით მიმართავენ მათ აცნობონ იქაური ცხოვრების პირობები, რომ თვითონაც წავიდენ დასასახლებლად. მეზობლად არის ალვანის მცხოვრებთა მიწები, რომლებსაც ესენი ხნავენ ღალით. ამჟამად, როგორც გადმოსცა ალვანის გლეხკომის თავმჯდომარემ, ფიჩხოვანთან მდებარე სახნავები გადაცემული ყოფილა ალვანის გლეხკომის განკარგულებაში და გადასახადი ღალის იქით გაიღება მის სასარგებლოდ. კარგი იქნება მიწის მოწყობის დროს ამ ადგილებიდან დაკმაყოფილდეს ეს მშრომელი ხალხი და არ ჰქონდეს მათ ფიქრი ისევ გადასახლებაზე.

ამ ხნის განმავლობაში, რაც ისინი კახეთში ცხოვრობენ, ქართული კარგად შეუსწავლიათ მამაკაცებს და იმ ახალგაზრდობას, რომელსაც სკოლაში უვლია. სასწავლებელი აქ კარგა ხანია დაარსებულია. ეს მეორე წელია, რაც განათლების განყოფილების მიერ აქ გადმოგზავნილია 2 მასწავლებელი.

სამწუხაროდ მცხოვრებთა შორის დარჩენილი მამაპაპური ჩვეულებანი დაცულია და ეს ჩვეულებანი მათ ეკონომიურად უკან აყენებს.

აქაური დედაკაცი, არ გასცილებია მამა-პაპურ ქერას. ოსის ქალი ოჯახში უდიდესი მშრომელთაგანია. ის მკის ყანას, სთიბნის სიმინდს, ლეწავს, ხვეტს გომურებს, ხდის არაყს, ხარშავს ლუდს, მოჰყავს ბოსტანი, უვლის სახლს და ზრდის ბავშვებს.

ამავე დროს, ოჯახში მას უკავია უკანასკნელი ადგილი. არ შეიძლება ისინი სტუმართან სახლში ერთად პურს სჭამდენ მამაკაცების გვერდით, არ შეიძლება რძალი დაელაპარაკოს მაზლს და ქმრის ბიძაშვილებს—მამაკაცებს, ან მამამთილს. არ შეიძლება ქალმა ბავშვი შვას სახლში. მშობიარობის დროს მისი ადგილია ბოსელი — საქონელთან ერთად. ეს და აურაცხელი სხვა ქალის დამამცირებელი ჩვეულებანი გადმოღებულია მთიულეთიდან.

ამისთანა სოფლებში, როგორიც არის ფიჩხოვანი, არგოხი, ოსიაური, თუნდ თათრებით დასახლებული სოფ. ახატელი (თელავიდან 6 ვერსის მანძილზე) ერთად ერთ კულტურულ ძალას წარმოადგენს სოფლის მასწავლებელი, ისიც მომეტებულ შემთხვევაში ერთი, ან ორი. საჭიროა განათლების განყოფილებამ ეს განსაკუთრებით იქონიოს მხედველობაში და გამოგზავნოს ამისთანა ადგილებში შესაფერისად მომზადებული მასწავლებლები. რომ ერთგვარი მატერიალური დაინტერესებაც იყვეს ზედმეტი არ იქნებოდა ამ მასწავლებელთა ჯილდოს გადიდება.

გარდა ამისა აქ საჭიროა გადმოვიტანოთ მოძრავი კინო და ავაჩვენოთ ის ამისთანა ჩამორჩენილ კუთხეებში. შეურჩიოთ სურათები: სად რომ ცხოვრობს ხალხი, როგორი აქვთ ბინები, როგორ ჰიგიენურ პირობებშია ჩაყენებული კულტურულად განვითარებული ხალხი და სხვა. უნდა დავანახოთ ამ ხალხს დღის სინათლე, გაუხსნათ მათ ნიჭს გზა ფართო, გაუღვიძოთ გული და გრძნობა კულტურისაკენ, და გამოვიყვანოთ იმ კარჩაკეტილ სიბნელიდან, რომელშიაც იგი იმყოფება.

ქალთა სამაზრო განყოფილებამ უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება აქაურ ქალების ბეჩავ მდგომარეობას.

ს. რამაზაშვილი.

მოვსპოთ უბედური შემთხვევები

(ლეჩხუმის მ.)

ჩვენს თემში არის ბარიტის წარმოება. 1926 წლის მაისამდე ეს წარმოება იყო კერძო პირების ხელში. შემდეგ ზოგიერთი მაღაროები გადავიდა კომბინატის ხელში და სამთო-ქიმიურმა კომბინატმა მაღაროები მოაწყო ისე, როგორც ეს საჭირო იყო, მაგრამ მარცხი მაინც ხდება მაღაროებში, ეს იმის წყალობით, რომ მაღაროების ტეხნიკი წერეთელი არავითარ გაფრთხილებას არ აძლევს მაღაროს მუშებს. ასაფეთქებელი მასალა ისეთ ალაგას აქვთ შენახული, სადაც ეს აკრძალულია. ასაფეთქებელი კაპსულები ზოგჯერ მუშებს საწყობიდან ჯიბით მიაქვთ და ამ ნიადაგზე ერთს მუშას სოფ. ქალდეთის მაღაროში გაუსკდა ჯიბეში კაპსული და ხელი და ფეხი მოაგლიჯა. აგრეთვე ზაფხულში ერთ მუშას მოსტყდა ფეხი მაღაროში იმიტომ, რომ მაღაროს ტეხნიკი არ აძლევს მუშებს სათანადო დარიგებას. საჭიროა ყურადღების მიქცევა, რომ კიდევ არ განმეორდეს მაღაროს მუშების დამარცხება.

გულშემატკივარი.

მოუწესრიგებელი საქმე

(დღნორისის თ., ლეჩხ. მ.)

ჩვენს თემს არა აქვს მეტი საშენებელი და საშეშე ტყე, გარდა აგარაკ მთაშავისა, რომელიც შედის რაჭის მაზრის სატყეოში. ამ ტყით უმთავრესად სარგებლობს ლეჩხუმის მაზრის გლეხობა: მექვენის, ალპანის და დღნორისის თემების მცხოვრებლები, მაგრამ რა გამოიდის? როცა გლეხს დასჭირდება ტყის ბარათის აღება, ის უნდა წავიდეს ონში ან ხარისთვალზე. თუ არა და ყოფილა დანიშნული სოფ. თხმორში საბილეთო, მაგრამ ბილეთის გამცემი არასოდეს დახვდომია გლეხებს. ხშირად 20 და 40 ვერსი გზა ტყუილად უბრალოთ უხეტიალნიათ. ამის შესახებ ცენტრიდან ყოფილა კომისია რაჭა-ლეჩხუმის წარმომადგენლების თანდასწრებით, რომელსაც უნდა გამოეყო მთა და მიეკრა ლეჩხუმის სატყეოზე, რათა ლეჩხუმელ გლეხობა ასე არ დატანჯულიყვნენ, მაგრამ კომისიას არაფერი ამის მზგავსი არ გაუკეთებია და გლეხობა ისე იტანჯება ბარათის მიღებაზე, როგორც ეს იყო ძველათ. საჭიროა ამ მდგომარეობას მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

გულშემატკივარი.

წერილებიდან

ს. ფიჩხისჯვარი, (გურია)

ქორიძეს უზარია. კარგა ხანია დადგენილება გამოიტანა ადგილობრივ გლეხებმა კოოპერატივის გახსნის შესახებ, მაგრამ საქმეს ამით არაფერი ეშველა. ჩარჩი ქორიძე სარგებლობს ამგვარი მდგომარეობით და საქონლის ფასს ერთი სამად უმატებს. დროა სოფლის დადგენილების განხორციელებაზე იზრუნოს სათანადო პირებმა.

მახლობელი.

ქ. სურამი, (გორ. მ.)

ყაჩაღებმა თავი წამოყვეს. ერთხანს სურამი დასვენებული იყო ყაჩაღებისაგან. ბოლო დროს ყაჩაღებმა ისევ წამოყვეს თავი. ამას წინათ სურამის მახლობლად ყაჩაღებმა გაძარცვეს სახლში მიმავალი გლეხი გრიგოლაშვილი. ამ უკანასკნელმა გაება ყვირილი: „არიქა, ყაჩაღებიო“. ამის გამო ყაჩაღებმა ის გამოასალმეს წუთი სოფელს და მიიმალენ.

გრ. ზინდისელი.

მუშათა ცხოვრება

ჯილდოები საწარმოო პროგრამის შესრულებისათვის

მუშა-ხელოსანთა ეკონომიურ პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების პროდუქციის ინტენსიურ ზრდისათვის რკინის გზის მთავარ სახელოსნოსა და საყუდში დიდი ხანია დაწესებულია ჯილდო (პრემია) საწარმოო პროგრამის შესრულებისათვის.

თუ მუშა-მოსამსახურე იღებს საგარანტიო ძირითად ხელფასს, შეკვეთის თავის დროზე და პირნათლად შესრულებისათვის ის დამატებით მიიღებს განსაზღვრულ პროცენტებში ჯილდოს.

ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს საყუდებში ორთქლმავლების საშუალო შეკეთებიდან გამოშვება. წევის დარგის ცნობების მიხედვით სამტრედიის საყუდს 1926 წლის აპრილის თვის განმავლობაში საშუალო შეკეთებიდან უნდა გამოეშვა სამი ორთქლმავალი. რომლის შეკვეთის შესრულებისთვის საყუდის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი მიიღებდა ჯილდოს პროგრამის ასი პროცენტით შესრულებისათვის.

რას ვხედავთ სინამდვილეში. საყუდი საშუალო შეკეთებიდან უშვებს მხოლოდ ორ ორთქლმავალს. შეკვეთილი მესამე ორთქლმავალი № 697 ვერ იქნა საშუალო შეკეთებიდან გამოშვებული თბილისის მთავარ სახელოსნოს მიზეზებით. რადგან საყუდის ადმინისტრაციის განცხადების თანახმად უკანასკნელმა თავის დროზე ვერ მიაწოდა საყუდს საშუალო შეკეთებისათვის აუცილებელი მასალები. საწარმოო პროგრამის შესრულების პრემია კი გაცემულ იქნა წევის დარგის უფროსის მიერ შეკეთების მთელი 100 პროც. შესრულებისათვის.

გადავხედოთ მაისის თვის ანგარიშების მიმოხილვაზე.

საყუდს მაისის თვეში შეკვეთილი ჰქონდა გამოეშვა შეკეთებიდან სამი ორთქლმავალი. ნამდვილად კი გამოუშვა ოთხი ორთქლმავალი. საწარმოო პროგრამა შესრულებულია 145 პროცენტით.

ორთქლმავალი № 697, რომელიც ნაჩვენები იყო აპრილის თვის ანგარიშში, ფაქტიურად გამოვიდა საშუალო შეკეთებიდან მაისში, ამიტომ მაისში „ვითომ“ გამოშვებული იქნა ოთხი ორთქლმავალი. მაგრამ— „საუბედუროთ“ ჩვენ გვახსოვს, რომ ორთქლმავალი №697 ჩათვლილი ჰქონდა გამოშვებულად საყუდ სამტრედიას აპრილის თვეში, რის გამო მან აიღო საწარმოო პრემია. მაგრამ როცა ამავე ნომერ ორთქლმავალს ჩვენ ვხედავთ მაისის თვის ანგარიშში მოთავსებულს, რის გამო საყუდს უფლება ეძლევა მიიღოს 145 პროც. შესრულების ჯილდო ორთქლმავლის ფაქტიურ ჩვენების გამო, ამ მოვლენას ჩვენ არ შეგვიძლია სხვა სახელი ვუწოდოთ, თუ არა ბოროტმოქმედება.

ჯილდოს გაცემის წესების მიხედვით სამტრედიის საყუდს უფლება არ ჰქონდა აპრილის თვეში მიეღო ჯილდო, რადგან შეკვეთა ვერ იქნა შესრულებული მთელი 100 პროცენტით. მაგრამ ეს ჯილდო მიიღო სამტრედიის საყუდმა.

მაისში კი უფლება ჰქონდა მიეღო მხოლოდ სამი ორთქლმავლის გამოშვების ჯილდო, ნამდვილად კი მიიღო 145 პროც. ე. ი. რკინის გზის სალარომ გასცა თანხები არა დანიშნულებისამებრ.

რას აკეთებდა წევის დარგის სამმართველოდან „სამი კონტროლი“ და ბუღალტერია. როცა ერთ და იმავე ნომერ ორთქლმავლის შეკეთებიდან გამოშვებისათვის ორჯერ იქნა ჯილდო გაცემული?

თიოკალი.

საღამო-წარმოდგენა პლეხანოვის კლუბში

5 იანვარს პლეხანოვის სახელობის კლუბში ადგილობრივ დრამწრის მიერ სოსო მეგრელიშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა საღამო-წარმოდგენა.

პირველად დაიდგა ორმოქმედებიანი კომედია: „ჯერ დაიხოცენ, მერე იქორწინეს“. აღნიშნული პიესა დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. სცენის მოყვარეთა მოხდენილი თამაში დაუსრულებელ სიცილს იწვევდა ხალხში. როლების კარგად შესრულების მხრივ აღსანიშნავია: გრ. პავლიაშვილი, (პორუნსი) გ. პაპელაშვილი (სერგო) ნ. ჯეირანაშვილი (მაშო) და ალ. ჩიტაძე (აპოლონ) დანარჩენი სცენის მოყვარეებიც კარგად თამაშობდენ.

შემდეგ დაიდგა ერთმოქმედებიანი კომედია „ამერიკელი ქალი“, ეს პიესა პირველად დაიდგა ამ სეზონში. პიესა კარგად ჩატარდა. კარგი იყო ამ პიესაში ბ. ლითანიშვილი და ვ. გეგაზავა.

ბოლოს წარმოდგენილ იქნა ს. თოდრიას ერთ მოქ. კომედია „ოინბაზი“.

დასასრულ აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომელსაც კლუბის გამგეობამ და თვით დასის რეჟისორმა მეტის სიფრთხილით უნდა მოეპყრას. აფიშებში ხშირად ცხადდება დიდი მხატვრული საღამო, ნამდვილად კი ამ საღამოს მხატვრული დადგმა არ ყოფილა. არაა საჭირო ასეთი მყვირალა აფიშები.

ამ ნიადაგზე შესაძლებელია კლუბს საზოგადოება ჩამოშორდეს.

კიდევ უნდა ითქვას ერთი რამ. პიესა „ჯერ დაიხოცენ, მერე იქორწინეს“ საკმაოდ დრომოჭმული კომედიაა, და მისი ხშირად დადგმა მაინც და მაინც არ არის სასურველი. საჭიროა ახალ კომედიების დადგმა, რაც პლეხანოვის კლუბში იშვიათად დადგმულა.

მუშკორი ჯავ.

ვემზადოთ საბჭოთა არჩევნებისათვის

დაიწყო საბჭოების ხელახალი არჩევნების კამპანია. ძველმა საბჭომ უნდა ანგარიში ჩააბაროს თავის ამომრჩევლებს. ახალს კი დაავალებს ამომრჩევლები მეტი წარმატებით და ენერგიით გააცხოველოს მუშაობა ქვეყნის სამეურნეო აღსაღორძინებლად.

მუშათა კლასი ღარიბ საშუალო გლეხობასთან ერთად ყოველივე ზომებს მიიღებს, რომ მომავალი საბჭოების არჩევა გატარდეს უფრო გაცხოველებული ტემპით, ვიდრე წინედ.

საბჭოები მუშებისა და ღარიბ გლეხების უმრავლესობისაგან შესდგება, მათ ყოველი მუშისა და გლეხის ჭირვარამი სწორად აქვთ წარმოდგენილი და მისი ნამდვილი დამცველი არიან და იქნებიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე საქმით და არა მარტო სიტყვით.

მენშევიკების პარლამენტის კანონები სულის თქმას უმძიმებდნენ, ისედაც გაძაღლებულ მუშებსა და გლეხებს. ეს კანონები წვრილსა და მსხვილ ბურჟუაზიას იცავდა და მოკლებული იყო იმ კრიტიკას, რომლითაც ხელმძღვანელობენ ფართო მასები ასეთი კანონების გამოცემისა და დამტკიცების დროს.

სულ სხვაა ჩვენი მუშურ-გლეხური საბჭოები. აქ კეთდება ის, რაც სარგებლობას და მეტ ნაყოფიერობას მოუტანს, როგორ მუშათა კლასს, ისე გლეხობას.

საბჭოებში ყველას უფლება აქვს, გარდა მუშებისა და გლეხების მტრებისა, გააკრიტიკოს რაც მიზანშეუწონლად და ხალხის საზარალოდ კეთდება. ამ საბჭოებში ყოველი დეპუტატი ვალდებულია ამხილოს ის ბოროტმოქმედება, რასაც შეამჩნევს საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობის დარგში. საბჭოების საშუალებით მუშათა კლასი ნელის, მაგრამ გაბედული ნაბიჯით მიიწევს ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნისაკენ. მხოლოდ საბჭოებს შეეძლო შეექმნა ის უდიდესი საქმე, რომელსაც ზაჰესი ეწოდება, და რომელიც საშუალებას მოგვცემს ახლო მომავალში [illegible]. ავსწიოთ წარმოება და ამით საშუალება მივსცეთ ფართო მასებს საკუთარი პროდუქციით დაკმაყოფილებისა და კულტურულად განვითარებისათვის.

საბჭოების საშუალებით შეგვიძლია წარმართოთ ინდუსტრიალიზაციის ამოცანები, რომელიც მიზნად ისახავს საკუთარი მრეწველობის შექმნას.

ვემზადოთ საბჭოთა არჩევნებისათვის.

მუშკორი უ. ი.

—:—

მუშათა წერილებიდან.

— **გაათბეთ თეატრის შენობა.** პლეხანოვის სახელობის კლუბის შენობა კარგად არ არის გამთბარი, რის გამო დამსწრე მუშები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ.

კლუბის გამგეობამ უნდა გაათბოს თეატრის შენობა.

კლუბელი.

— **კედლის გაზეთი დროზე გამოუშვით.** ამხ. ს. ორჯონიკიძის კლუბის გამგეობის დადგენილებით უნდა გამოსულიყო კედლის გაზეთი. ამ საკითხის მოსაგვარებლად კლუბის გამგეობამ გამოჰყო ერთი ამხანაგი, მაგრამ კედლის გაზეთი დღესაც არ არის გამოშვებული.

კლუბის გამგეობამ დროზე გამოუშვი კედლის გაზეთი.

ბქაური.

—:—

მუშათა ქრონიკა.

— **პენსიონერები.** თბილისის საუბნო დამზღვევ სალაროში პენსიონერებად ითვლება 1.695 კაცი.

— **კლუბის წევრებად.** ტრამვაის მუშათა კლუბში ამჟამად ითვლება 647 კლუბის წევრი.

— **რძის ფული.** თბილისის საუბნო დამზღვევ სალარომ გასცა 72.448 მან. 90 კაპ.

— **წარმოდგენები.** დღეს პლეხანოვის სახელობის კლუბში ადგილობრივი დრამწრის მიერ დაიდგმება პიესა „ფული და ხარისხი“.

— **ექსკურსიები.** ტრამვაის ადგილკომმა მოაწყო 13 სხვადასხვა ექსკურსია.

— **გარდაცვალებანი.** თბილისის რკინის გზის უბანში 1926 წლის პირველ იანვრიდან პირველ ნოემბრამდე მოხდა 818 რკინიგზელთა გარდაცვალების შემთხვევა.

— **ფეხბურთელთა გუნდი.** ამხ. ორჯონიკიძის კლუბის გამგეობამ დაადგინა კლუბში დაარსოს ფეხბურთელთა გუნდი.

— **თათბირი.** 12 იანვარს შესდგება თბილისის უბნის ექიმებთან ერთად საუბნო დამზღვევ სალაროს გამგეობის თათბირი.

— **კედლის გაზეთი.** ტრამვაის კლუბის გამგეობა უშვებს ყოველთვიურ კედლის გაზეთს „ბიგელი“-ს სახელწოდებით.

— **სანატორიუმებში.** თბილისის საუბნო დამზღვევ სალარომ ზაფხულის პერიოდში სანატორიუმებში გაგზავნა 526 კაცი.

— **სალექციო დარბაზი.** პლეხანოვის სახელობის კლუბის გამგეობამ ლექციების წასაკითხად გახსნა სალექციო დარბაზი.

— **რეჟისორის მოწვევა.** სადგ. ნავთლუღის კლუბის გამგეობამ ქართული დრამწრის რეჟისორად მოიწვია გ. [illegible].

— **ხელთათმანები.** სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომმა შუამდგომლობა აღძრა უბკავშირის წინაშე, რათა მემუხრუჭეთ დაურიგდეთ ხელთათმანები.

— **კედლის გაზეთი.** [illegible] პირველი სტამბის კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთის მეექვსე ნომერი „როტრციონი“-ს სახელწოდებით.

—**პენსიები.** საუბნო დამზღვევი სალარო პენსიების დარიგებას შეუდგება 7 იანვრიდან.

— **თანრიგის მომატება.** სადგ. ვაზიანის ადგილკომმა სთხოვა უბკავშირს მოუმატოს თითო თანრიგი ძველ მუშებს.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

ფასების დაკლება კოოპერაციაში

ხშირად ჩივიან სიძვირეზე კოოპერაციაში. ცხადია, ეს ჩივილი ბუნებრივია, რადგან ძვირი საქონელი ურტყამს ყველაზე უფრო მწვავე და შეიძლება მგრძნობიარე ადგილას—მომხმარებლის ჯიბეზე. რატომ ხდება ეს? ნუ თუ ყოველთვის კოოპერატივის გამგეობაა ამაში დამნაშავე?

ცხადია არა. კოოპერატივის წევრებმა, თუ მათ სავაჭროში საქონელი ძვირათ იყიდება პირველყოვლისა, თავიანთ თავს უნდა უთხრან საყვედური. მათ თვითმოქმედებაზე ბევრადაა დამოკიდებული კოოპერაციის ნორმალური მუშაობა საზოგადოთ და კერძოთ ფასების დაკლების საკითხიც.

მისვლა, საქონლის ყიდვა და წელიწადში ერთხელ თავის შეყრა გამგეობის ანგარიშის მოსასმენად კიდევ არ ნიშნავს, რომ კოოპერაცია თავის სიმაღლეზე დგას. თვითეულ კოოპერაციას გარდა ჩვეულებრივ ვაჭრობისა, ყიდვა-გაყიდვისა, აქვს მთელი რიგი საჭირ-ბოროტო შინაური საკითხები. საჭიროა კოოპერატივის წევრებმა თავიანთი მონაწილეობა კოოპერატივის მუშაობაში გამოხატონ არა მარტო საქონლის ყიდვა-გაყიდვით, არამედ კოოპერაციის ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებში ორგანიზაციულად ჩარევით.

გამოცდილებით ვიცით, რომ იქ, სადაც წევრთა თვითმოქმედება თავის სიმაღლეზე დგას, კოოპერატივის მუშაობაც ნორმალურად მიმდინარეობს. ეს საერთო დებულება მთელი თავისი მნიშვნელობით ვრცელდება ფასების დაკლების საკითხზედაც. მარტო გამგეობის და სარევიზიო კომისიების იმედით ჩვენ აქ შორს ვერ წავალთ.

ჩვენ ვიცით, რომ გამგეობას და სარევიზიო კომისიას ხშირად, სურვილიც რომ ჰქონდეთ, არ შეუძლიათ ყველა მიმდინარე საკითხებს სათანადოთ მოეპყრან. ესეც რომ არ იყვეს, ისიც ხომ შესაძლებელია, რომ გამგეობა ან სარევიზიო კომისია, ზოგჯერ სხვადასხვა მოსაზრებით არ ატარებს ფასების დაკლებას.

როგორც უკვე ვსთქვით, მარტო საქონლის ყიდვა-გაყიდვით, ნოქართან მისვლით და სიძვირეზე წუწუნით, საქმე არ გაკეთდება. საჭიროა კოოპერატივის მუშაობაში ენერგიული ჩარევა, საჭიროა წევრთა მეტი აქტივობა და თვითმოქმედება. უამისოთ ყოველგვარი გაუმჯობესება კოოპერაციის მუშაობაში იქნება დროებითი და მექანიკური ხასიათის.

მერქანი.

ავტომობილი უქმად დგას

(ბაღდადი, ქუთ. მაზ.)

ერთ წელზე მეტია, რაც ქუთაის-ბაღდათ შუა მუშაობს „ზაკავტომპრომტორგის“ ავტომობილი.

ავტომობილი თითქმის ყოველდღე ცალიერი დაიარება, მაშინ, როცა 4—5 დილიჟანი მუდამ დღე სავსეა მგზავრებით. მიზეზი? ავტომობილები დაიარება არაყოველდღე და მისი რეისი ვერ არის შეთანხმებული მოსახლეობის საჭიროებასთან: მიდის ბაღდადში 11—12 საათზე და გადის 3—4 საათზე, მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სიძვირეს.

ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება, ან უნდა შეწყდეს ავტომობილების მუშაობა, რომ ტყვილა უბრალოდ ხარჯს არ ექნეს ადგილი და ან ავტომობილი უნდა მუშაობდეს ყოველ დღე შემდეგი გასწორებით: უნდა ჩადიოდეს ქუთაისში დილის 8—9 საათზე და უნდა ბრუნდებოდეს უკან 3—4 საათზე, მაშინ გლეხს მეტი დრო დარჩება ქუთაისში, მეტს საქმეს გააკეთებს და ღამე მოცდა აღარ დასჭირდება. რომ ავტომობილმა ყოველ დღე იმუშაოს და ამინდის ცვლილება მასზე გავლენას არ ახდენდეს, უნდა ამუშავდეს ორი ავტომობილი: ერთი ქუთაისიდან და ერთი ბაღდათიდან, რომ მათ მდ. ყვირილის ადიდებით ან წყლის სიმცირის დროს შეეძლოს მგზავრების გადასხმა. თან საჭიროა ფასი იქნეს დაწეული, ავტომობილით მგზავრობა უნდა ღირდეს დილიჟნებზე ნაკლები. მხოლოდ ამ პირობებში შეუძლია ავტომობილს სარფიანი მუშაობა და სოფლისთვის სარგებლის მოტანა.

თ. გ.

ვინ უნდა ზღოს ეს ზარალი

(ქ. ახალ-სენაკი)

ახალ-სენაკის სამაზრო აღმასკომის კომუნალურ განყოფილებამ რკინის გზის სადგურის ერთი ვერსის მანძილის დაშორებით, სალომონის ქვის სატეხ ქარხანაში გააშენა ახალი კირის გამოსაწვავი ღუმელი. მთელი მუშაობა დაჯდა 12 ათას მანეთზე მეტი; ღუმელი [illegible] ცილინდრს წარმოადგენს, რაც ამშვენებს ადგილობრივ არე-მარეს.

მუშაობა დამთავრდა დეკემბრის პირველ რიცხვებში; კირის დამზადებაც დაიწყეს, მაგრამ დახეთ უბედურებას, მთელი შენობის სიმაღლე, რომელიც უდრის 10 საჟენს, 2—3 სხვადასხვა ადგილას საგრძნობლად გასკდა. ეს მომავალში საშიშროებას უქადის ღუმელს. მიზეზი—აღმშენებელთა უვარგისობა. ვინ უნდა ზღოს ეს ზარალი?

ბიძი.

ნუ გვახვევთ თავზე „მკვდარ საქონელს“

(ახალ-აბაშა, სენაკის მაზრა).

ზამთრის მოახლოებამ კალოში პირველ მოთხოვნილების საგნად გახადა, ამიტომაც ბლომად საღდება ის უმთავრესად კოოპერატივებში. მაგრამ ზოგიერთი კოოპერატივები ზოგიერთ შემთხვევაში ბოროტად იყენებენ ასეთ მოთხოვნილებას. ეს ითქმის ახალ-აბაშის კოოპერატივთა კავშირის მაღაზიებზე.

კალოშს ისე ვერ მიიღებ, თუ თავსაფარი ან ორი ცხვირსახოცი არ იყიდე. რომ უთხრათ ნოქარს: „თავსაფარი ან ცხვირსახოცი არ მესაჭიროებაო“ გიპასუხებთ: „გამგეობის დადგენილება ასეთიაო“, კარგი დადგენილებაა: გინდა თუ არა მაინც თავსაფარი ან ცხვირსახოცი არა ნაკლებ სამი აბაზისა უნდა წაიღო, იმ დროს, როდესაც კალოში 3 მ. 90 კაპეიკიდან 4 მ. 4 კაპეიკამდე ღირს.

გაქვს თუ არა ეს ზედმეტი, არავინ შეგეკითხება. მყიდველისათვის ასეთი იძულებითი წესი ვაჭრობისა მიუღებელია. სამი აბაზი ხშირად გლეხის დღიურ შემოსავალს და მუშა-მოსამსახურეთა ნახევარ დღის ხელფასს შეადგენს.

კოოპერატივის მიერ აღებული ხაზი საქონლის გასაღებაში არ არის სწორი, რადგან „მკვდარი საქონლის“ (როგორც ისინი უწოდებენ). გასაღება, რომელიც დიდი მოთხოვნილების საგანს არ შეადგენს, მომხმარებლისათვის სავალდებულო არ უნდა იყოს.

ახალ-აბაშის კოოპერატივთა კავშირის გამგეობის ოქმებში შეიძლება კიდევ იყოს ასეთი პუნქტები, რომლის გადასინჯვას და უკანონოთ ცნობის შემდეგ ამოშლა, დასჭირდება სათანადო ორგანოს.

კოოპერატივის წევრი.

დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს

(ქვიშხეთის თ., გორის მ.)

მიმდინარე წელს თემპარატების რიცხვის საერთო შემოკლების გამო ქვიშხეთის თემიც გაუქმდა.

რა გამოირკვა თემ-აღმასკომის საქმეების გადაბარების დროს? ამის შესახებ გვაცნობთ გადაბარების აქტს, რომელსაც ხელს აწერენ გორის მაზრის წარმომადგენელნი: ს. ცხოვრებაშვილი და შ. კირინთელი, ქვიშხეთის თემ. აღმასკომის თავმჯდომარე: ვ. ბარბაქაძე და ხაშურის აღმასკომის თავმჯდომარე ნ. კალანდარიშვილი.

აქტის მთელი შინაარსი მხოლოდ ერთს ღაღადებს: რომ შემოსავალ-გასავლის საქმეთა წარმოება არეულია, გასამართლებელი საბუთები არ არსებობენ, ორდერებზე არ არის ხელწერილი და არც ფულის გამცემის და, არც მიმღების, აკრეფილ-სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხების ნაწილი არ არის გატარებული სათანადო წიგნებში და თანხის რაოდენობა გამოურკვეველია. სალერბო გადასახადები უკრეფნიათ მცხოვრებთაგან, საამისო ქვითარები კი არ უძლევიათ მათთვის და სხვადასხვა.

სალაროს გადაბარების დროს ვ. ბარბაქაძეს დააკლდა 411 მან. და 52 კაპ., რომელიც მას დაედო ვალად. ამას თუ დაუმატებთ ქვიშხეთის თემაღმასკომის დავალიანებას; 680 მ. გორის კომ. ბანკს, 120 მან. ხოლო სილაძის და 193 მან. მასწავლებელ ქ. ჯავახაძის, მივიღებთ სულ სალაროს დანაკლის 1404 მან. და 51 კაპ., რასაც უნდა დაემატოს კიდევ 200 მან. გაფლანგულ ავეჯეულობის ღირებულება და 300 მან. —70 ფ. გაფლანგულ ღვინის ფასი—სულ მოქ. ვ. ბარბაქაძის დანაკლისი უდრის 1904 მან. და 51 კაპ.

ეს „შესძღვნა“ მოქ. ე. ბარბაქაძემ თავისი საქმიანობით ქვიშხეთის მშრომელ ხალხს.

საჭიროა საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ თავისი ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს და დამნაშავეთ საჯაროდ პასუხი აგებიოს ხალხის წინაშე.

ქ—ლი.

საბჭოთა არჩევნებისათვის

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა

გუშინ, საღამოს 6 საათზე, შინსახკომის კაბინეტში ამხ. ს. თოდრიას თავმჯდომარეობით შესდგა სრულიად საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა.

სხდომაზე საინფორმაციო მოხსენება საბჭოთა არჩევნების წინასწარი სამზადისის სახით ჩატარებულ საორგანიზაციო-ტეხნიკური მუშაობის შესახებ წაიკითხა შინაგან საქმეთა სახკომისარმა ამხ. შ. მათიკაშვილმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია დაარსებულია ცაკის პრეზიდიუმთან.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი და ცენტრალური საარჩევნო კომისია აწარმოებს სათანადო მუშაობას საბჭოთა საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად.

სრულიად საკავშირო ცაკის მიერ შემუშავებულია სათანადო ინსტრუქცია არჩევნების ჩასატარებლად. ამ ინსტრუქციების ცხოვრებაში მთლიანად გატარება სავალდებულოა საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებისათვის.

ეს ინსტრუქციები გადმოითარგმნა ქართულ ენაზე და დამტკიცებული იქნა ცაკის პრეზიდიუმის მიერ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა საარჩევნო ინსტრუქციები უკვე დაუგზავნა ადგილებს.

ინსტრუქციები ყველა ენებზე არის გადათარგმნილი.

მოხსენებელმა სხდომას გააცნო საკავშირო ცაკის მიერ შემუშავებული საანგარიშო სტატისტიკური ფორმები; ფორმები მარტივად არის შედგენილი. აღნიშნულ ფორმების საშუალებით შეიძლება სრული ინფორმაციის შეკრება იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს საბჭოები.

შინაგან საქმ. კომისარიატმა დაამუშავა აღნიშნული ფორმები ადგილობრივი პირობების მიხედვით. ერთი პარტია უკვე დაიგზავნა ადგილებზე. მეორე პარტია ამ დღეებში დაიგზავნება.

გარდა ამისა, ადგილებზე დაიგზავნა ცაკის მიერ გამოცემული ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ სად და როგორ უნდა მოეწყოს საარჩევნო კომისიები.

შემდეგ მომხსენებელი ეხება საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობას საარჩევნო კამპანიის ჩატარების საქმეში.

ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით არჩევნების საორგანიზაციო - ტეხნიკური მუშაობა ჩატარებული უნდა იქნას 25 იანვრამდე, შემდეგ კი წინასწარი საარჩევნო კრებები და თვით არჩევნები —ისე, რომ სამაზრო ყრილობები დამთავრდეს 15 მარტამდე. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა უნდა გაიხსნას არა უგვიანეს 22 მარტისა.

მომხსენებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საჭიროა საარჩევნო კომისიებმა მიამაგრონ თემსაბჭოებთან პასუხისმგებელი ამხანაგები.

შინაგან საქმეთა კომისარიატის მიერ დუშეთის, სიღნაღის, ოზურგეთის და შორაპნის მაზრებში გაიგზავნა ინსტრუქტორები საარჩევნო საორგანიზაციო-ტეხნიკურ მუშაობის გამოსაკვლევად.

შემდეგ მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რაზედაც მან ამომწურავი პასუხი გასცა.

ამხ. მათიკაშვილის მოხსენების შემდეგ სხდომამ მიიღო დადგენილება, რომლითაც იწონებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ წარმოებულ საარჩევნო საორგანიზაციო - ტეხნიკურ მუშაობას.

ამხ. ჯაფარიძე აცნობს სხდომას, რომ ამ დღეებში შესდგა მიწა-ტყის კავშირის ცენტრალურ გამგეობის პლენუმი, სადაც მოითხოვდენ, რომ მომავალ საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მოჯამაგირეები იმ ხანებში განთავისუფლებული იქნან ჩვეულებრივი სამუშაოდან.

ამ საკითხის გარშემო სხდომამ ამხ. მათიკაშვილის წინადადებით, გამოიტანა შემდეგი დადგენილება: ეთხოვოს ცაკს, რათა მან გამოიტანოს დადგენილება საბჭოთა არჩევნების დროს მოჯამაგირეების სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ.

ამხ. მათიკაშვილის წინადადებით, სხდომამ საჭიროთ სცნო მორიგ სხდომაზე მოსმენილ იქნას პროფკავშირთა, წითელი არმიის, ქალთა და ლენინელთა კომკავშირის წარმომადგენლების მოხსენება იმის შესახებ. თუ რა-ღონისძიებებია მიღებული საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად.

საღამოს 8 საათზე სხდომა დასრულდა.

გაჯანსაღების გზით

(ცეკავშირის რწმუნებულთა ყრილობის გამო)

9 იანვარს შესდგება ცეკავშირის რწმუნებულთა მე-12 ყრილობა. დღიურ წესრიგში დასმულია მიმდინარე **წლის სამეურნეო გეგმის და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის საკითხი.** ცეკავშირს, როგორც სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრს, უკვე არსებობის ათი წლის ისტორია აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხნის განმავლობაში არც ცენტრს და არც მის ადგილობრივ ორგანიზაციებს სამეურნეო მუშაობის ჩამოყალიბებული გეგმა არ ჰქონია. ამან განსაკუთრებული დაღი დაასვა 1923-24 და 1924-25 სამეურნეო წლების საქმიანობას და ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემა, შეიძლება ითქვას, კატასტროფიულ მდგომარეობამდე მიიყვანა. მისი ფინანსიური ხერხემალი—ისე გადატვირთული გამოდგა—რომ მთელი 1925-26 სამეურნეო წელი შექმნილ მძიმე ფინანსიური მდგომარეობის მოწესრიგებას მოუნდა.

ხელისუფლების და ცენტროსოიუზის დახმარებით—შრომისა და თავდაცვის საბჭომ გადამჭრელი ზომები მიიღო, რომ საქართველოს კოოპერაციაში შექმნილი ფინანსიური მდგომარეობა, გაეჯანსაღებია, რაც გამოიხატა დაახლოვებით ორი მილიონი მანეთამდის ჩამოწერაში და თითქმის ამავე რაოდენობით თანხების გადახდის ვადების გაგრძელებაში.

1926-27 წელი თუ შეიძლება ასე ითქვას ცეკავშირის და მისი ქსელის მუშაობაში ახალ ხანათ უნდა ჩაითვალოს. უკვე იწყება გეგმიანი მიზანშეწონილი მუშაობა, უნივერსალიზმი, რომელიც არსებობდა ჩვენს სამომხმარებლო კოოპერაციაში, ისტორიას ბარდება. ცეკავშირმა უკვე შეიმუშავა 1926-27 წლის როგორც სავაჭრო, ისე საორგანიზაციო გეგმები. მართალია მისი საქონლის ბრუნვის ხვედრითი წონა საერთო სავაჭრო ბრუნვაში მეტად მცირეა (ნავარაუდევია 8.000.000 მანეთი მტკიცე ანგარიშიო და 3.000.000 საკომისიო), მაგრამ გეგმა ყოველმხრივ ითვალისწინებს, როგორც თავის ფინანსიურ რესურსებს, ისე სისტემის შესაძლებლობას და ამასთან მის გარეშე არსებულ საერთო სამეურნეო კონიუნქტურას (საკრედიტო და საქონლის კონიუნქტურა. ფასები და ანგარიშის გასწორება). საჭიროა, რომ ჩვენმა პერიფერიებმა კიდევ უფრო მკაფიოთ ჩამოაყალიბოს ორგანიზაციებში შეკავშირებულ მომხმარებელთა მოთხოვნილებები, რაც ცენტრს საშუალებას მისცემს თავის დროზე დააკმაყოფილოს ისინი. ცენტრის მხრით კი საჭიროა მეტი ელასტიური სავაჭრო პოლიტიკა, საქონლის დამზადების და განაწილების საქმეში. ღრმათ ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენი ცეკავშირის ფუძე, საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია, სავსებით შეასრულებს თავის მოვალეობას და მისი უმაღლესი ორგანო რწმუნებულთა მე-12 ყრილობა სათანადო დადგენილებას გამოიტანს.

ევ. დ—ა.

მეცნიერება და ტეხნიკა

ელექტრონი და მისი მომავალი *)

უმსუბუქესი აკუმულიატორი **)

თუ თავს დავანებებთ წარმტაც ოცნებას მატერიაში დაცულ ენერგიის პრაქტიკულ გამოყენებაზე, ამით ჩვენ, რასაკვირველია საგრძნობლათ შევამცირებთ მომავალი ელექტროტეხნიკის პრეტენზიებს.

კორნიუმ გამოიანგარიშა, რომ თუ ჩვენ მოვახერხეთ ერთი კულონ ***) ელექტრო-ენერგიის დაგროვებას საფანტის ოდენა ბურთში, ორი ასეთი ერთგვარათ დატენილი ბურთი, მიახლოვებული ერთი-მეორესთან ერთი სანტიმეტრის მანძილზე არაჩვეულებრივი სიძლიერით განიტყორცნიდა ერთმანეთს. ათი სანტიმეტრის მანძილზე ერთი წამის განმავლობაში ეს ძალა განავითარებდა ერთ მილიონზე მეტ ცხენის ძალის სიძლიერეს. ეს იქნებოდა არაჩვეულებრივი დაჭიმულობის მქონე ზამბარი ან, თუ გნებავთ, თავბრუდამხვევი სიძლიერის ასაფეთქებელი ნივთიერება.

აქ, როგორც ჩვენ ვხედავთ, საქმე შეეხება ენერგიის არა სხვაგვარ მიღებას მკვიდრი მატერიიდან, არამედ გამოყენებას იმ ენერგიისას, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ ყოველი ფეხის ნაბიჯზე. რომ ენერგიის ასეთი დაგროვება საერთოდ შესაძლებელია, ამას ჩვენ გვიმტკიცებს ბუნება. მოვიგონოთ თუგინდ ძლიერ იშვიათი მოვლენა—ბურთისებური ელვა, რომლის რეალური არსებობა ყოველ ეჭვს გარეშეა. ეს არის ბურთი, რომელიც ანთებს და ბავშვის საჰაერო ბურთის მსგავსათ ნელ-ნელა მისცურავს ჰაერში. მაგრამ, როცა ეს ბურთი სკდება, ივი ანთავისუფლებს 7-ჯერ უფრო მეტ ენერგიას, ვიდრე მისი თანაბარი მოცულობის მქონე უძლიერესი ასაფეთქებელი ნივთიერება—მელინიტი.

ამჟამად ჯერ კიდევ შორს ვართ ელექტრონის ასეთი დიდი რაოდენობით დაგროვების ცოდნისაგან. საშუალო სიდიდის ლეიდენის ქილა დაცლის დროს ანვითარებს მხოლოდ ნახევარი კილოგრამომეტრის****) ენერგიას. მომავალი დროის გამომგონებლების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დაამზადონ ისეთი ლეიდენის ქილა, რომელიც დააგროვებს იმდენ ელექტრობას, რამდენიც დაგროვებულია ბურთისებურ ელვაში. ეს არ არის შეუსრულებელი ამოცანა. შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ მისი განხორციელება შესაძლებელია. და მაშინ ჩვენს ხელში იქნებოდა უფრო მსუბუქი აკუმულიატორი, ვიდრე დღეს არსებული თუთიის აკუმულიატორებია.

ენერგიის გადატანა შორ მანძილზე

წარმოვიდგინოთ, რომ ზემოთ-აღნიშნული ამოცანა გადაჭრილია.—რომ მე-2.000 წელში ჩვენს განკარგულებაში იქნება 100-ჯერ უფრო მსუბუქი აკუმულიატორი, ვიდრე თანამედროვე აკუმულიატორები. რა არაჩვეულებრივ ცვლილებებს შეიტანს ეს ზე-მსუბუქი აკუმულიატორი მთელ მომავალ მრეწველობაში!

ჩვენს დროში ამერიკელები ჯებირის საშუალებით აპირებენ მდინარე კოლორადოს შეგუბებას, რომ გამოიყენონ მისი წყლების აურაცხელი ენერგია. მაგრამ მათ აფიქრებს, ის გარემოება, რომ მიღებული ენერგიის გადაცემა მოუხდებათ 400 კილომეტრის მანძილზე. ასეთივე დაბრკოლება—გადაცემის სიშორე—ეღობება სხვა მრავალ ასეთივე პროექტებს. როცა ჩვენს განკარგულებაში იქნება ზე-მსუბუქი აკუმულიატორი, არავის არ დააფიქრებს ასეთი დაბრკოლება. სპეციალურ ვაგონ-აკუმულიატორებს დასტენენ ენერგიის დამზადების ადგილზე და შემდეგ ამ ენერგიას მიაწოდიან მორეულ, ენერგიის მომხმარებელ რაიონებს. აფრიკის უდიდესი მდინარეების—ნიგერისა და კონგოს წყალვარდნილები მოგვცემენ ენერგიას, რომელსაც გემებით მიაწვდიან პარისა და ლონდონს. მდ. ზამბეზის (აფრიკა) წყალვარდნილები, რომლებსაც შეუძლიათ 30 მილიონი ცხენის ძალის ენერგიის მოცემა, გადაიქცევიან მრეწველობის უდიდეს ცენტრებათ. ქვანახშირისა და ნავთის მოხმარება ზედმეტი გახდება.—ასე იაფი იქნება ელექტრონის ენერგია, [illegible] წყლის მამოძრავებლების მიერ. შეწყდება წყლის მიმოქცევის ენერგიის გამოყენებაც, რომლისათვის, ალბათ, ფართოდ იქნება განვითარებული.



ხედვა შორ მანძილზე მე-2000-ე წელს.

ცხოვრების ახალი სახე

მაგრამ რა მოხმარებას ჰპოვებს ეს იაფი და აურაცხელი ელექტრონის ენერგია. ყოველდღიურ ცხოვრებაში? რასაკვირველია, პირველ რიგში მოახდენენ ყველა ავტომობილების ელექტროფიკაციას. ელექტრონის მამოძრავებელი იქნება დადგმული ყველა ჰაეროპლანებზე. მგზავრები შესძლებენ ფრენას 15 კილომეტრის სიმაღლეზე, სადაც თანამედროვე მოტორები ვერ მუშაობენ. ისინი მთელი კვირების განმავლობაში მიწაზე დაუშვებლად შესძლებენ ფრენას 1.000 კილომეტრის სისწრაფით საათში. გაფრენა გიმალაის მწვერვალებზე ისეთივე ჩვეულებრივ გასეირნებათ. გადაიქცევა, როგორც პოლიუსების დათვალიერება ტურისტების მიერ, რომლებიც ვერ იგრძნობენ სიცივეს, რადგან მათ სხეულს გაათბობენ ჯიბის აკუმულიატორები.

ქარხნები დაჰკარგავენ თანამედროვე სახეს. უკვე აღარ იქნება უზარ-მაზარი შენობები, რომლებიც შექმნა ენერგიის გამოყენების თანამედროვე სისტემამ. ისინი დანაწილდებიან მთელ მხარეში გათანტულ წვრილ ერთეულებათ. აკუმულიატორი ერთნაირის წარმატებით იმუშავებს დიდ ქარხანაში და პატარა სახელოსნოში.

სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაცია გარდაქმნის სოფლის სახეს, წაიშლება მიჯნა ქალაქსა და სოფელს შორის.

ხედვა შორ მანძილზე, რომელსაც ამჟამად ეყრება საფუძველი, მეორიათას წელში გადაიქცევა ჩვეულებრივ და მისაწვდომ საშუალებათ ადამიანებს შორის კავშირის დასამყარებლად. შორს ხედვა შესცვლის კინემატოგრაფს. თვითეული თავისი ოთახიდან გამოუსვლელად შესძლებს მოგზაურობას დედა-მიწის გარშემო, სხვადასხვა საოცრებათა ნახვას, დასწრებას გართობებზე, რომლებსაც აწარმოებენ შორეულ ქვეყნებში და სხვა.

ყველაფერი ეს მიღებული იქნება არა სასწაულის საშუალებით, არა რაღაც შეუძლებელი რამის განხორციელებით, არამედ იქნება შემდეგი სავსებით მოსახერხებელი, და შესაძლო, უახლოესი მოვლენის: ელექტრონის მავთულის გაუქმების. რადიო იყო პირველი ნაბიჯი ამ მხრივ. დარჩა მეორე ნაბიჯის გადადგმა.

ჟან ლაბადიე.

---

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი“ № 1.

**) აკუმულიატორი—მოწყობილობა ელექტრონის ენერგიის დასაგროვებლად.

***) ელექტრობის ერთეული: ელექტრობის ის რაოდენობა, რომელიც გაივლის გამტარში წამის განმავლობაში, როცა დენის სიძლიერე ერთ ამპერს უდრის.

****) კილოგრამომეტრი—მუშაობის (ენერგიის რაოდენობა), რომელიც საჭიროა ერთი კილოგრამი ტვირთის ასაწევათ ერთი მეტრის სიმაღლეზე.

დედამიწის მეზობელი

ჩვენთან უახლოესი პლანეტა, თუ არ ჩავთვლით მთვარეს, არის ვენერა. იგი არის ჩვენი მეზობელი. დილისა და საღამოს ცის მშვენება—ვენერა — უხსოვარი დროიდან იპყრობდა ერების ყურადღებას თავისი არაჩვეულებრივი კაშკაშით. ვენერას კაშკაში იმდენად ძლიერია, რომ მისი დანახვა შესაძლებელია დღისითაც, როცა მზე ანათებს. ძველი ერები ტკბებოდენ და აღტაცებაში მოდიოდენ მისი მომხიბლავი სილამაზით, მაგრამ ბევრი არაფერი იცოდენ მის შესახებ; ისინი იმასაც კი ფიქრობდენ, რომ ვენერას გამოჩენა დილითა და საღამოს წარმოადგენს ორ სხვადასხვა მნათობს. ასე ფიქრობდენ ძველი ბერძნები, რომლებმაც მას გესპერი და ფოსფორი უწოდეს. მაგრამ ბერძნული ასტრონომიის აყვავების დროისათვის, მათ უკვე იცოდენ, რომ ვესპერი და ფოსფორი არის ერთი და იგივე მნათობი, რომელიც მოძრაობს მზის გარშემო და დროგამოშვებით ჩნდება ხან დილით და ხან საღამოთი, რაც ნათლად და გარკვევით არის გამოთქმული პტოლომეუსის ცნობილ „სამყაროს სისტემაში“.



მარცხნიდან მარჯვნივ: იუპიტერი, სატურნი, ნეპტუნი, ურანი, დედა-მიწა, ვენერა, მარსი, მერკური.

თუ უძველეს დროში აღტაცებული იყვნენ ვენერით, არც ჩვენ ჩამოვრჩებით ამ მხრივ. მახსოვს 1898 წელს, როცა ხაშურიდან ბორჯომში მივემგზავრებოდი, ცაზე კაშკაშებდენ ვენერა და მერკური, ახალგაზრდა მეტლი მიაქცევდა ჩემს ყურადღებას პლანეტებს და რამდენჯერმე გამოსთქვა თავისი აღტაცება.

ამჟამად ჩვენ არა მარტო ვტკბებით ვენერას სილამაზით, არამედ ვაწარმოებთ მის შესწავლას. ჩვენ მშვენივრათ ვიცნობთ მის მოძრაობას და ისეთის სისწორით შეგვიძლია წინასწარ გამოვარკვიოთ მისი მდებარეობა ცაზე მრავალი წლით ადრე. ჩვენ დიდის სისწორით შეგვიძლია გამოვარკვიოთ აგრეთვე მისი მდებარეობა მრავალი წლების წინათ, მაგრამ გარდა ამისა ჩვენ ვიცით, როგორია მისი მასა, მოცულობა და სიმკვრივე

ჩვენ ვიცით, რომ მზის სისტემის ყველა პლანეტებიდან ვენერა ყველაზე უფრო წააგავს დედამიწას; იგი უკანასკნელის კვიდრი და, იგი დედამიწის ფოტოგრაფიული სურათია. ყველა დანარჩენი პლანეტები ან გაცილებით დიდი არიან, ვიდრე ვენერა, როგორც მაგალითად იუპიტერი, სატურნი, ნეპტუნი და ურანი, ან გაცილებით პატარა, როგორც, მაგალითად, მარსი და მერკური. იუპიტერის დიამეტრი 11-ჯერ უფრო დიდია, ვიდრე ვენერას დიამეტრი, მერკურისა კი—2,6-ჯერ ნაკლები. თუ ვენერას დიამეტრს ერთეულად ჩავთვლით, დედამიწის დიამეტრი მასზე მხოლოდ 5 %-ით მეტი იქნება.

დიდი განსხვავებაა აგრეთვე მზის გარშემო მოძრაობის დროში. დედამიწის წელიწადი უდრის 365 დღეს, ვენერასი კი—მხოლოდ 225. თუ ვენერაზე, ისე როგორც დედამიწაზე, წელიწადს 4 დრო აქვს, ისინი საგრძნობლათ ხან მოკლე არიან, ვიდრე ჩვენი. წელიწადის დრონი დედამიწაზე საშუალოდ 91 დღიდან შესდგებიან, ვენერაზე კი—56-დან. თუ დავუშვებთ, რომ ვენერაზე არსებობს მცენარეულობა, ჩვენ იმ დასკვნამდი უნდა მივიდეთ, რომ მასზე მცენარეულობის პერიოდი გაცილებით მოკლეა, ვიდრე დედამიწაზე და რომ იქ შეიძლება აღმოცენდენ და დამწიფდენ ისეთი მცენარეულობანი, რომლებიც სიმწიფისათვის მცირე დროს საჭიროებენ.

ვენერას ბრუნვა თავისი ღერძის გარშემო არ არის საკმაოდ შესწავლილი და ეს გარემოება ბევრს გვიშლის ჩვენ გამოვარკვიოთ თვისებრივი და რაოდენობითი მსგავსება დედამიწასა და ჩვენს ციურ მეზობელს შორის.

წარსული საუკუნის დამლევს გამოჩენილმა იტალიელმა ასტრონომმა სკიაპარელლიმ ვენერის ზედაპირზე ოცი წლის დაკვირვებების მიხედვით ის აზრი გამოსთქვა, რომ ვენერა მუდამ ერთი მხარით არის მიქცეული მზისკენ. იგი იმავე მდგომარეობაში იმყოფება მზის მიმართ, როგორც მთვარე დედამიწის მიმართ. ჩვენი მთვარე მუდამ ერთი მხარეთი არის მოქცეული ჩვენსკენ და მალავს ჩვენგან თავისი ზედაპირის მეორე მხარეს. რომ ეს მოსაზრება გამართლებულიყო, მაშინ ბოლო მოეღებოდა ჩვენს ოცნებას ორგანიული სიცოცხლის შესაძლებლობის შესახებ ვენერაზე. მუდამ მზისკენ მიქცეულ მხარეზე იქნებოდა აუტანელი სიცხე. მთელი წყალი მზის მცხუნვარე სხივების ზეგავლენით აორთქლდებოდა. ნიადაგი გახმებოდა და დასკდებოდა; წყალი, თოვლის სახით, თავს მოიყრიდა პლანეტის მეორე, მუდამ ბნელ მხარეზე, სადაც არ აღწევს მზის არც ერთი სხივი და სადაც მუდმივი სიცივე მეფობს. არც ერთ და არც მეორე მხარეზე არ ექნებოდა ადგილი სიცოცხლეს.

სკიაპარელლის აღმოჩენას უარყოფდენ ზოგიერთი ასტრონომები, და ამჟამად გაბედვით შეიძლება თქმა იმის, რომ მისი ჰიპოტეზა უსაფუძვლოა. გარდა სპექტროგრაფიულ დაკვირვებათა, რომლებიც ამტკიცებენ სკიაპარელლის დასკვნის უსაფუძვლობას, საწინააღმდეგო აზრის სამართლიანობის დამამტკიცებელ ფაქტად შეგვიძლია ჩავთვალოთ შემდეგი მოვლენა. ვენერას ატმოსფერა გაჟღენთილია წყლის ორთქლით ან რაღაც სხვა გაზის ორთქლით, რომელიც განსხვავდება ჩვენი ჰაერის შემადგენელ გამჭვირვალე ჟანგბადისა და აზოტისაგან. ორთქლი ვენერას ატმოსფერაში იმდენად სქელია, რომ ფარავს ჩვენგან პლანეტის ზედაპირს. რომ ვენერა მუდამ ერთი მხარით იყოს მოქცეული მზისაკენ, მთელი წყალი ამ მხარეზე აორთქლდებოდა და გადავიდოდა პლანეტის მეორე მხარეზე. მაშინ ატმოსფერა მზისკენ მიქცეულ მხარეზე იქნებოდა სრულიად გამჭვირვალე და ჩვენ გარკვევით დავინახავდით პლანეტის ზედაპირს. არაფერს ამის მსგავსს ადგილი არა აქვს. აქედან შეგვიძლია ეს დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ვენერა მუდამ ერთი მხარით არ არის მიქცეული მზისაკენ. არამედ დედამიწის მსგავსად ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო. იგი ხან ერთი მხარეთი არის მიქცეული მზისაკენ და ხან მეორეთი. საკითხი, თუ რამდენ ხანში ხდება ვენერას მობრუნება თავისი ღერძის გარშემო, ღია რჩება, რადგან პირდაპირი გზით მისი გადაჭრა შეუძლებელია.

სკიაპარელლის ჰიპოტეზის უარყოფის შემდეგ ჩვენ ვპოულობთ კიდევ ერთ გარემოებას, რომელიც ვენერას ამსგავსებს დედამიწას.

ვინაიდან ჩვენ არ ვიცით, თუ რამდენი ხანი ესაჭიროება ვენერას მობრუნებას თავისი ღერძის გარშემო, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია გამოვარკვიოთ მისი ეკვატორისა და პოლიუსების მდებარეობა. ამის გამო შეუძლებელია გადაწყვეტა საკითხის, თუ რა ზოლებათ იყოფა პლანეტის ზედაპირი. ჩვენ არ ვიცით აგრეთვე, თუ როგორ ხდება წელიწადის დროთა ცვლა. თუ ვენერას ეკვატორის სიბრტყე ისევეა დახრილი ეკლიპტიკის *) სიბრტყისადმი, როგორც დედამიწაზე და მარსზე, 20 — 30° ფარგლებში, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ვენერაზე არსებობენ ისეთივე ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული წელიწადის დრონი და ისე კლიმატიური ზოლები, როგორც დედამიწაზე და მარსზე. იმ შემთხვევაში, თუ ეს სიბრტყეები ერთი და იგივე არიან, ვენერაზე, მისი ზედაპირის თითეულ წერტილში მუდამ წელიწადის ერთი და იგივე დრო იქნება და ამის გამო თითეულ რაიონში მუდამ ერთნაირი ჰავა იქნება: ეკვატორთან ძლიერ ცხელი, შემდეგ — ზომიერი, პოლიუსებთან — ცივი. ასეთ პირობებში, სიცოცხლის განვითარება იქ სულ სხვა პირობებში იწარმოებდა, ვიდრე ჩვენს დედამიწაზე და მცენარეულობათა ისეთი მრავალფეროვანება, როგორც დედამიწაზეა. იქ საეჭვოა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო.

ახლა გაუკეთოთ ჯამი მსგავსებას და განსხვავებას ვენერასა და დედამიწას შორის.

	ვენერა	დედამიწა	დასკვნა
დიამეტრი	12.100. კლმ	12.756 კლმ.	მსგავსება
მასსა	0,81*	1,00	მსგავსება
სიმკვრივე	0,95	1,00	მსგავსება
მზის გარშემო მობრუნების დრო	225 დღე	365 დღე	რიცხვობრივი განსხვავება, მაგრამ თვისებრივი მსგავსება
თავისი ღერძის გარშემო მობრუნების დრო	—	24 საათი	გამოურკვეველია.

(დასასრული იქნება)

პროფ. სპ. გლაზენაპ.

---

*) წრე, რომელსაც აღწერს პლანეტა მოძრაობის დროს.

ახალი საშუალება

გულის მუშაობის განსაახლებლად

უკვე დიდი ხანია იციან, რომ ცხოველების ამოჭრილი გული დიდი ხნის განმავლობაში განაგრძობს ძგერას. ეს იმას ამტკიცებს, რომ გულის მუშაობის გამომწვევი მიზეზი თვით გულში იმყოფება.

ამ რამოდენიმე ხნის წინად ბრიუსელელმა (ბელგია) ფიზიკოსმა დემორმა აღმოაჩინა მეტად საინტერესო მოვლენა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ძაღლის გულის მარჯვენა წინაგულის წყლის გამონაჟონი აჩქარებს და აძლიერებს ბაყაყის გულის შეკუმშვას.

ამის შემდეგ პროფ. გაბერლანდტი დარწმუნდა იმაში, რომ ძაღლის გულის ზემო ნაწილში მოიპოვება რაღაც ნივთიერება, რომელიც მეორე ბაყაყის გულზე გამაცხოველებელ გავლენას ახდენს. ამ ნივთიერებას მან უწოდა გულის შეკუმშვათა გორმონი.

გორმონებს საერთოდ უწოდებენ ნივთიერებებს, რომლებსაც ამზადებენ ე. წ. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები. სეკრეციის ჯირკვლები ამზადებენ ისეთ ნივთიერებას, რომელიც პირდაპირ სისხლში გადადის.

ბაყაყის გულის დაკეტილი ნაწილი გაბერლანდტს დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა შენახული. მარილის ხსნარში გაკეთდა გამონაჟონი, რომელმაც გამოიწვია 2—3 ნახ. დღის წინ ბაყაყისათვის ამოკვეთილი გულის ძგერა. სპირტის გამონაჟონს გულიდან ისეთივე თვისებები აქვს, როგორც წყლის გამონაჟონს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ახალი გორმონი არ ეკუთვნის ცილოვან ნივთიერებათა ჯგუფს, რადგან სპირტი კრავს ცილს. ეთერის გამონაჟონი არავითარ გავლენას არ ახდენს გულზე, რაც იმას ამტკიცებს, რომ ეს გორმონი არ არის ცხიმოვანი ნივთიერება. წყლის გამონაჟონის აორთქლების შემდეგ დარჩენილ მშრალ ნივთიერებას ისეთივე თვისებები აქვს, როგორც გამონაჟონს. გაბერლანდტი ფიქრობს, რომ გულის ძგერის გორმონი წააგავს ადრენალინს, რომელსაც გამოყოფენ თირკმლებს ქვევით მდებარე ჯირკვლები, მაგრამ განირჩევა მისგან იმით, რომ იწვევს სისხლსადენი მილების გაფართოებას.

აღნიშნული გორმონის აღმოჩენა ამდიდრებს მედიცინას ახალი საშუალებით გულის მუშაობის აღსადგენად.

უდიდესი მიკროსკოპი

ამერიკაში ამზადებენ არა მარტო უდიდეს ტელესკოპებს, არამედ უდიდეს მიკროსკოპებსაც. აქ მოყვანილი სურათი იძლევა წარმოდგენას ერთ ასეთი უზარმაზარი მიკროსკოპის შესახებ. მისი სიმაღლე უდრის $2\frac{3}{4}$ მეტრს. ამ მიკროსკოპით სარგებლობენ სასამართლოს ექსპერტები. შესადარებლათ სურათის მარჯვენა მხარეზე (ქვევით) გადაღებულია ჩვეულებრივი მიკროსკოპი.



კონკურსი ხელოვნურ კაუჩუკზე

საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გამოაცხადა საკავშირო კონკურსი ხელოვნური კაუჩუკის დამზადებაზე.

კონკურსის პირობები შემდეგია:

1) ნედლი მასალა ხელოვნური კაუჩუკის დასამზადებლად უნდა მოიპოვებოდეს საბჭოთა კავშირის ფარგლებში.

2) პროდუქტის ხარისხი არ უნდა იყოს ვულკანიზაციაქმნილ კაუჩუკის (რეზინის) ჩვეულებრივ საშუალო ხარისხზე დაბალი. სათანადოთ გადამუშავების შემდეგ იგი თავისი თვისებებით სავსებით უნდა წააგავდეს ჩვეულებრივ ვულკანიზაციაქმნილ კაუჩუკს და არავითარი სახით არ უნდა შეიცავდეს ბუნებრივი კაუჩუკის ნარევს.

3) ხელოვნური კაუჩუკის დამზადების წესი შესაძლებლად უნდა ხდიდეს მის მასიურ დამზადებას.

4) პროდუქტის ფასი არ უნდა აღემატებოდეს ხუთი უკანასკნელი წლის საშუალო ფასს კაუჩუკზე.

5) კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს.

6) კონკურსში მონაწილენი თავის პროექტებს განმარტებითი წერილებით აძლევენ საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამეცნიერო ტეხნიკურ განყოფილებაში (მოსკოვი, 1 მაისის ქუჩა, ოთახი 7), ხელმოუწერლად, დახურულ კონვერტებში დევიზით, პროექტს დართული უნდა ჰქონდეს დახურული კონვერტი დევიზით, პროექტის ავტორის გვარით და სრული მისამართით.

7) ხელოვნური კაუჩუკის დამზადების წესების აღწერას დართული უნდა ჰქონდეს საქარხნო დადგმულობათა სქემები, შესაფერი ხარჯთ-აღრიცხვით, რომელიც საკმაო იქნება საბოლოო პროდუქტის დაახლოებითი თვითღირებულების გამოსარკვევათ. გარდა ამისა, თვითეულ განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს დამზადებული კაუჩუკი წონით არანაკლებ 2 კილოგრამისა.

8) პროექტების წარმოდგენის საბოლოო ვადათ დანიშნულია 1928 წლის პირველი იანვარი.

9) დანიშნულია ორი პრემია: ა) 100.000 მანეთი და ბ) 50.000 მანეთი.

10) პროექტზე, ღირსების მიხედვით, გაცემული იქნება ჯილდო ან მთელი რაოდენობით ან ნაწილობრივ.

11) ჟიურის შემადგენლობას ნიშნავს საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამეცნიერო-ტეხნიკური განყოფილება მეცნიერებისა და ტეხნიკის ავტორიტეტულ მოღვაწეთა რიცხვიდან.

12) მიღებული პროექტები და ნიმუშები გადადის სახელმწიფოს კუთვნილებაში.

13) მიღებულ პროექტების პრაქტიკულად განხორციელების დროს მათ ავტორებს სახელმწიფო აძლევს ჯილდოს პროცენტების სახით გამომუშავებულ რაოდენობიდან.

ხელოვნური აბრეშუმი

ესპანეთში მცხოვრებ გერმანელ ინჟინერებისა და ქიმიკოსების ჯგუფმა მრავალი ცდების შემდეგ აღმოაჩინა ესპანურ ბალახ „ესპარტო“-დან ხელოვნური აბრეშუმის დამზადების საშუალება.

გამომგონებლები ამტკიცებენ, რომ „ესპარტო“-დან დამზადებული აბრეშუმი გაცილებით გამძლეა და იაფია, ვიდრე სხვა ხარისხის ხელოვნური აბრეშუმი.

გარდა ამისა, ესპარტოდან შეიძლება ცელიულოზისა და ხელოვნური ტყავის დამზადება.

მიწის ქვეშა გზა

ავტომობილებისათვის

ნიუ-იორკის ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა ქალაქის ცენტრში გაიყვანოს მიწის ქვეშა გზა ავტომობილებისათვის. გზას ექნება 6 ნახ. კილომეტრი სიგრძე და 20 მეტრი განი, გზა გაკეთებული იქნება ფოლადიდან და ცემენტიდან.

გზა იმ ანგარიშით იქნება გაყვანილი, რომ დაეტიოს ექვსი ავტომობილი გვერდი-გვერდ, სამ-სამი თითეული მიმართულებით.

გზის გაყვანა ჯდება 25 მილიონი დოლარი.

პატარა ფელეტონი

ბიუროკრატიული გალერეია

ხმენა: ა-ა! გამოფენა
საყოველთაო, ბიუროკრატიული!..
(შესვლა უფასოა
უპარტიოს და პარტიულის)
გალერეია ტიპების უსასრულო,
(შეგიძლიათ თქვენ დაასრულოთ)
ყურადღება! ადლუმი იქუხა...
განვიხილოთ პირველად ეს წყება:
საანკეტო ბიუროკრატია იარრრ!...
შენ პირველ რიგებში ხარრრ!

გამოსვლა პირველი

ერთ ადგილზე გააგზავნეს
სამუშაოდ კაცი ერთი,
(არც სახელი გვინდა მისი
გვარიც არის აქ სულ ერთი).
მაგიდასთან არც კი იყო
რიგიანად ჯერ დამჯდარი,
რომ დარაჯმა ფრთხილზე ფრთხილად
შემოაღო უკვე კარი.
შეაღო და ანკეტების
დაულაგა მთელი დასტა,
(კაცმა ბედი დაიწყევლა,
რომ ანკეტებს ვერსად ასცდა).
კითხულობდენ: „რა გვარი ხართ,
და რა გქვიათ თქვენ სახელი?
ხალი თუ ხართ და რატომ ხართ,
თუ გაკლიათ ფეხი-ხელი?
მშობლები გყავთ? და რატომ გყავთ
ან ბიცოლა, ან ბებია.
სასეირნოთ თუ ყოფილხართ?
და რომელ დღეს ვინ გხლებიათ
ცოლი თუ გყავთ და რატომ გყავთ?
შვილი თუ გყავთ, ისიც რატომ?
პურ როგორს სჭამთ და რატომ სჭამთ?
გევალებათ განგვიმარტოთ.
თუ გძინავთ და რატომ გძინავთ?
ისიც უნდა დაუმატოთ.
წერა იცით? რატომ იცით?
ტანთ თუ იცვამთ, რატომ იცვამთ?
ჭამის შემდეგ კბილებს იწმენდთ?
ფეხსნილს თუ ისვამთ, რატომ ისვამთ?"
ერთი სიტყვით, ამნაირი
ასი კითხვა მაინც იყო,
გაუჭირდა, მაგრამ ქაღალდს
შესავსებად ხელი მიჰყო.
ათი მუხლი არც კი ჰქონდა
შევსებული, რიგიანად,
რომ დარაჯი კვლავ მივიდა
(ეხლა უფრო რიხიანად).
და ნაცნობის მაგიდაზე
სხვა ანკეტა დაალაგა
(თქვენს მტერს ისე, რაც ნაცნობმა
ის აგინა და აძაგა).
გაჭირვებით ხელი მიჰყო
შესავსებად იმ ანკეტას,
და შეუდგა მრავალ რთული
საკითხების გადაწყვეტას.
ეხლა ასე კითხულობდენ:
„რომელ წელში დაიბადეთ.
რა დროზე და დღით თუ ღამით?
ცოცხალი ხართ და თუ არა
კმაყოფილი თუ ხართ ამით?
კბილი რა დროს ამოგივდათ
და რა დროზე ძღებით ჭამით?
თეატრებში თუ დადიხართ,
კმაყოფილი თუ ხართ სკამით?
რა სიზმარი გესიზმრებათ?
თუ ხართ ამით კმაყოფილი?
თმა თუ გაქვთ და თუ ივარცხნით
შვაზე თუ გაქვთ გაყოფილი?
კუზი თუ გაქვთ და თუ გტკივათ.
თუ ხართ ამით კმაყოფილი?
თქვენს ცოლებში რომელი სჯობს
ეხლანდელი თუ ყოფილი?"
ეს ანკეტაც არც კი ჰქონდა
ჯერ ბოლომდე გადაშლილი,
რომ დარაჯი კვლავ მოვიდა
აღრენილი, თმა აშლილი,
და ახალი ანკეტები
დაალაგა ზარე ათი,
(იმ ანკეტის შემდგენელთა,
რათ არ გაწყდა სალავათი?!)
ერთი კვირა დღე და ღამე
იჯდა ჩვენი მეგობარი.
ის არის დროს არ ყოფილა
თუმცა დიდი მწიგნობარი,
მაგრამ ყველა ანკეტები
[illegible] შეასრულა,
ხანამ სრულად არ მოთავდა
ადგილიდან არ დაძრულა.
გაყვითლდა და თან ჩამოხმა,
დაეკარგა ქანცის მალა,
უძილობით თავის ტკივილს
მუცლის გვრემაც მოემატა,
და როდესაც მისი აზრით
მორჩა ამ ძველ საქმეს იგი
კვლავ დარაჯმა მოაყენა
ანკეტების მთელი რიგი.
კითხულობდენ: „რა გვარი ხართ?
და რატომ გაქვთ იგი გვარი?
დედა თუ გყავთ და რატომ გყავთ?
ამ კითხვაზე არ სთქვათ ვარი...
თუ ცოცხლობთ და რატომ ცოცხლობთ?
თუ არ ცოცხლობთ რატომ ისიც?
ცოლი მარტო თქვენი გყავთ თუ
მოიყვანეთ კიდევ სხვისიც?..
წაიკითხა ეს ნაცნობმა,
თავს დაესხა ჯავრით რეტი,
აიღო და დაუშინა
იმ ანკეტებს მაგრათ კეტი.
მაგრამ რადგან მათ შევსებას
ავალებდა სამსახური,
კვლავ ჩაუჯდა, კვლავ ათი დღე
არ ისმოდა ზაიზური.
მეოცე დღეს, დარაჯმა რომ
კვლავ შეაღო მასთან კარი,
შეიტანა ანკეტების
შესავსებათ, მთელი ჯარი,
ის ნაცნობი ცოფმორევით
ადგილიდან სწრაფად მოწყდა
დარაჯს ისე დაეჯახა,
რომ საბრალო ძლივს არ მოკვდა.
დაუბღვირა: „თავი თუ გაქვს?
რატომ გაქვს და სად გაბია?
ბებიაშენს კაბა თუ აქვს,
მამაშენი ყასაბია!
ნიშა მოზვერს რქები თუ აქვს
რატომ აქვს და რა რქებია?!
ამოდენა ანკეტები
ვისთვის და რა სარგებია"?...
ის ნაცნობი შეიშალა
ანკეტებმა შეიწირა,
დღესაც ყველას ეკითხება:
ეი, ეი, შენ იცი რა?!
თავი თუ გაქვს და რატომ გაქვს?
ჭკუა თუ გაქვს რისთვის ნეტა?
ჩამიწერე, გენაცვალე,
მა, შემივსე ეს ანკეტა"!

ხოზიკა.

რა იყო და რა გვაქვს

(შემნახველ სალაროების მუშაობის შესახებ)

შემნახველი სალაროების ისტორია საბჭოთა საქართველოში გრძელი არ არის: — სულ რამდენიმე წელიწადია რაც ეს სალაროები არსებობს. მათი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ მუშა - მოსამსახურემ და ხელმოკლე გლეხობამ ყოველდღიურ მონაგრიდან მცირეოდენი გროშები მოინარჩუნოს და თანდათანობით შემოინახოს „შავი დღისთვის". მეანაბარეს საჭიროების დროს დაუბრკოლებლივ და დაუყოვნებლივ ეძლევა სალაროდან თავისი ანაბარი.

მუშა - მოსამსახურენი თავიდანვე ალღოიანად შეხვდნენ სალაროების დანიშნულებას და მათ შეჰქონდათ ანაბარად ხელფასიდან მონარჩენი გროშები. თანდათან გაიზარდა როგორც სალაროების რიცხვი, ისე მეანაბარეთა რაოდენობაც. სალაროების სასარგებლო მნიშვნელობა დღითი-დღე იკიდებს ფეხს მუშა - მოსამსახურეთა შეგნებაში და ამასთან ერთად იზრდება ანაბარების რაოდენობაც.

1925 1-ლ ოქტომბრისთვის საბჭოთა საქართველოში ირიცხებოდა სულ 142 შემნახველი სალარო, ითვლებოდა 3337 მეანაბარე, ანაბარების რაოდენობა უდრიდა 121.758 მანეთს. ხოლო 1926 წლის 1-ლ ოქტომბრისთვის უკვე არსებობდა 219 სალარო, ითვლებოდა 8.232 მეანაბარე და ანაბარების რაოდენობა უდრიდა 558.358 მანეთს. თანამედროვე ეკონომიურ პირობებში საგულისხმოა ასეთი წარმატება.

პიროვნებას, მივლინებულს საბჭოთა კავშირის ამა თუ იმ ადგილში, შეუძლიან ფულის ნაცვლად თან ატაროს მხოლოდ შემნახველი სალაროს აკრედიტივი და ამით დანიშნულ ადგილზე მიიღოს საჭირო ფული.

არის შემთხვევები, როდესაც შემნახველი სალარო მუშა - მოსამსახურეებს დაუბრკოლებლად უნაღდებს იმ თანხებს, რომლებიც საგლეხო სესხის ობლიგაციების მოგების დროს ერგებოდათ. იგივე სალაროები ავრცელებენ ამ სესხის ობლიგაციებსაც.

შემნახველ სალაროების ასეთი წარმატებითი ზრდა ავალებს სალაროების ყოველ მუშას, რომ უფრო მეტის გულმოდგინებით და სიფხიზლით მოეკიდოს საქმეს, რათა ფართე მასებში შეიტანოს შეგნება სალაროების სარგებლობიანობის შესახებ და ამ გზით დაეხმაროს სახელმწიფოს მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

გ. მამაცაშვილი.

საწარმოო ძალები

(თათბირი ა.-კ. საგეგმო კომისიაში)

გუშინ, საღამოს, ა.-კ. საგეგმო კომისიაში შესდგა სამეცნიერო მუშაკების და საგეგმო ორგანოების მუშაკების გაფართოებული თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა საკითხი ამიერ-კავკასიაში ქვეყნის საწარმოო ძალების შემსწავლელი ორგანიზაციის დაარსების შესახებ.

თათბირის მიზანი იყო აგრეთვე ამიერ-კავკასიის მომზადება საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალების შემსწავლელ მეორე საკავშირო კონფერენციისათვის, რომელიც მოწვეულია მოსკოვში მიმდინარე წლის მარტში.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა, დროულად და აუცილებლად აღიარა რა ამიერ-კავკასიის საწარმოო ძალების შემსწავლელი ორგანიზაციის დაარსება, დაადგინა არჩეული იქნეს 15 კაცისაგან შემდგარი ბიურო, რომელმაც უნდა განიხილოს ამიერ-კავკასიის სამეცნიერო მუშაკების კონფერენციის მოწვევის და საწარმოო ძალების შემსწავლელ ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის დაარსების საკითხები. იმავე ბიუროს დაევალა ამიერ-კავკასიის მომზადება საკავშირო კონფერენციისათვის.

ბიუროში არჩეული იქნენ: პროფ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი, ამხ. გრიგორიანი, პროფ. ჯანდიერი, ინჟ. კონიუშევსკი, პროფ. ტიმოფეევი, ინჟ. ქიქინაძე, პროფ. ზაიცევი, პროფ. ზავრიევი, ამხ. გოგჩარივი, ამხ. ლეისტერი, ამხ. მედვედევი, ამხ. განჯინსკი, პროფ. სმირნოვი, ამხ. სამოილოვი და ამხ. ტერგაზაიანი.

ამას გარდა, ბიუროში შევა თითო წარმომადგენელი რესპუბლიკანურ საგეგმო კომისიებიდან.

ბამბა

ბამბის შესყიდვის კამპანიის დაწყებიდან 25 დეკემბრამდე საქართველოს მებამბეობის კომიტეტის მიერ მებამბე გლეხობისაგან შესყიდულია 1.690,1 ტონა ნედლი ბამბა, ბამბის საწმენდ ქარხნებში უკვე გაწმენდილია 1.313 ტონა ბამბა. მიღებულია 404 ტონა გაპენტილი ბამბა; საბჭოთა რუსეთის საფეიქრო ფაბრიკებს გადაეგზავნათ 206 ტონა, ხოლო ადგილობრივ მრეწველობისათვის დატოვებულ იქნა 157 ტონა.

საკავშირო ფინსახკომის

კომისია თბილისში

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის კომისია, რომელშიაც შედიან ფინსახკომის წარმომადგენელი ამხ. ლისკოვსკი, ნავთის სინდიკატის გამგეობის წევრი ამხ. კანტორი, ნავთის სინდიკატის ახლო აღმოსავლეთის კანტორის წარმომადგენელი ამხ. შატიროვი და ერთი წარმომადგენელი ბაქოს სააქციო სამმართველოდან.

კომისიამ უკვე მოახდინა სააქციო საქმის დაყენების გამოკვლევა ბაქოში და ბათომში. გამოკვლევა გამოწვეულია აქციზის ცენტრალიზაციაქმნილი აღრიცხვის ახალი სისტემის შემოღებით საექსპორტო და შინაურ ბაზარზე გამოშვებულ ნავთის პროდუქტებზე.

ახალი დებულებით, რომელიც საბჭოთა კავშირში შემოღებულია 1926 წლის ზაფხულზე და რომელიც ნავთის სინდიკატის მიმართ მხოლოდ ეხლა ტარდება, აქციზი აღრიცხული იქნება უშუალოდ ნავთის სინდიკატის საბაზისო საწყობებში—ბაქოში გროზნოში და 2—3 საწარმოო პუნქტში.

ამით მიღწეული იქნება შტატების თვალსაჩინო შემცირება, ფორმალური მხარეების და სავაჭრო ოპერაციების გამარტივება.

კომისიას უკვე ჰქონდა რამოდენიმე სხდომა ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატში; ამ სხდომებზე მიღწეული იქნა სრული შეთანხმება ამიერ-კავკასიის ფინსახკომის წარმომადგენლებსა და ნავთის სინდიკატს შორის ყველა ძირითად პრინციპიალურ საკითხებზე.

ამჟამად სასწრაფო წესით მუშავდება ნავთის აქციზის ახალი დებულების პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად გაეგზავნება საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

გლეხთა ცენტრ. სახლი

(მ. გ. ინსპექციის გამოკვლევა)

მ. გ. ინსპექციის გამოკვლევით დადასტურდა, რომ გლეხთა სახლს აქვს დიდი მიღწევები. მაგრამ ამავე დროს აღმოჩენილ იქნა რამოდენიმე ნაკლულევანებაც, მაგ. საანგარიშო ნაწილი წესიერად ვერ არის დაყენებული, ამიტომ ვერ იქნა გამოკვლეული ცენტრალური სახლის ქონება. სარეგისტრაციო წიგნი ვერ იძლევა ნათელ სურათს სახლში მცხოვრებ გლეხების შესახებ. ამის გამო შეუძლებელი ხდება სახლის ექსპლოატაციიდან შემოსული თანხების სწორი აღრიცხვა. თავისი წესდების წინააღმდეგ გ. ც. სახლს უწარმოებია კომერციული ოპერაციები, რასაც მისთვის მიუყენებია 730 მან. ზარალი. ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა აგრეთვე სასადილო, რომელზედაც ც. გ. სახლს დაუხარჯავს 8.000 მან. სასადილოს საქმე ისე არეულ-დარეულია, რომ შეუძლებელი გახდა მისი შემოსავალ-გასავლის გამორკვევა.

გ. ც. სახლის მუშაკებს შორის ადგილი აქვს უნდობლობასა და კინკლაობას. მოსამსახურეთა შტატი ვერ არის სათანადოთ შერჩეული. ადგილი ქვს აგრეთვე სხვა არა ნორმალობასაც.

ზემოხსენებულ ნაკლულევანებათა გამოსასწორებლად მ. გ. ინსპექციის კოლეგიამ გამოიმუშავა შემდეგი ღონისძიებები: გ. ც. სახლის ანგარიშ-წარმოება გადაყვანილი უნდა იქნეს ორმაგ ამერიკულ სისტემაზე, აღრიცხული უნდა იქნეს გ. ც. სახლის მთელი ქონება. გ. ც. სახლის ადმინისტრაციას ეკრძალება კომერციული ოპერაციის წარმოება; სასადილო უნდა გადაეცეს საბჭოთა ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, გ. ც. სახლის ადმინისტრაციას ევალება აგრეთვე მიიღოს ზომები გ. ც. სახლის მუშაკთა შემადგენლობის გასაუმჯობესებლად.

საქონლის შემოზიდვა

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობით, გას. წლის დეკემბრის განმავლობაში საზღვარგარეთ შეკვეთილი ყოფილა 229.000 მანეთის საქონელი, მათ შორის, ნახევრად-ფაბრიკატები, მანქანები მრეწველობის მოსაწყობათ, სახალხო ჯანმრთელობის საჭიროებანი და სხ. საქონელი. დაკვეთა სწარმოებდა გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის სავაჭრო წარმომადგენლობის საშუალებით.

ა.-კ. სახელმწ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის მიერ დეკემბრის განმავლობაში დაკვეთილი ყოფილა 204.500 მანეთის საქონელი, დანარჩენ შემომზიდველ ორგანიზაციებს კი დაუკვეთიათ 24.500 მანეთის საქონელი.

დეკემბრის განმავლობაში საზღვარგარეთიდან შემოზიდულა 122.000 მანეთის საქონელი, მათ შორის ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობას შემოუზიდავს 76.000 მანეთის საქონელი.

აღწერა

თბილისის ზრდა

უკანასკნელი აღწერით გამოირკვა, რომ ქ. თბილისი ზრდის სიჩქარით და ტემპით ასწრებს სხვა დიდ ქალაქებს და უთანასწორდება მოსკოვისა და ნიუ-იორკის ზრდის სისწრაფეს. საზოგადოთ ყველა ქალაქებისათვის ზრდის საშუალო წლიური პროცენტი უდრის 3, ხოლო თბილისს ყოველწლიურად ემატება დაახლოებით 5 პროცენტამდე მცხოვრები.

თბილისის აღმასკომის სტატ. განყოფილების გამოანგარიშებით, თბილისში ყველაზე უფრო სწრაფად იზრდება მე-11 უბანი, შემდეგ—მეექვსე, პირველი, მეორე და სხვა. მე-11 უბანში მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდა უდრის 6,6 პროცენტს, მეექვსეში — 5,6 პროც.; 1-ლ უბანში—5,5 პროც., მეორეში—5,4 პროცენტი. მე-12 უბანში—5.5 პროც., მე-9 უბანში—5 პროც., მე-7 უბანში — 4,1 პროც., მეათეში— 4,1 პროც.; მე-3 უბანში — 3,9 პროც. და სხვ.

საშუალო წლიური ზრდა კი უდრის 4,7 პროცენტს. თუ თბილისის მოსახლეობის რიცხვს მივიღებთ 280.000 რაოდენობით (თბილ. აღწერის ბიუროს ვარაუდი) მაშინ თბილისის ყოველწლიური ზრდა იქნება 13.160 კაცით. თუ ზრდის სისწრაფემ არ დაიკლო და დარჩა ისეთი, როგორიცაა დღეს, მაშინ დაახლოვებით 15 წლის შემდეგ თბილისის მცხოვრებთა რიცხვი გადააჭარბებს ნახევარ მილიონს.

მასალების დამუშავება

ცენტრ. სტატ. სამმართველოში შესდგა თათბირი აღწერით შეგროვილი მასალების დამუშავების წესის შესამუშავებლათ.

მასალების დამუშავებისას, თანახმად შემუშავებულ წესისა, აღებული უნდა იქნეს ძირითად ტერიტორიალურ ერთეულათ სოფელი, შემდეგ —მაზრა და რესპუბლიკა. ცალკე ძირითად ტერიტორიალურ ერთეულებათ მიიღებიან აგრეთვე ქალაქები და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილები.

ეროვნებისა და ტომის მხრივ მცხოვრებთა დანაწილება უნდა მოხდეს შემდეგნაირათ: ყველა ისინი, ვინც ანკეტაში უჩვენა „ქართველი", ხოლო ტომით კი გურულია ან მეგრელი, სვანი და სხვ. ჩაიწერება ეროვნების ნიშნით ანუ ქართველათ და არ დაიწერება „მეგრელათ", „გურულათ" და სხვ.

რესპუბლიკის ძირითადი მცხოვრებნი შეადგენენ მხოლოთ სამ ერს — ქართველები, აფხაზები და ოსები.

აღწერის ქრონიკა

ქალაქების მოსახლეობა

უკვე გამოირკვა საქართველოს ქალაქების მოსახლეობის რაოდენობა. სულ რესპუბლიკის 26 ქალაქში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში სცხოვრობს 533.828 მცხოვრები.

აქედან ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში სცხოვრობს 34.056.

აზერბეიჯანის ქალაქების მოსახლეობა უდრის 635.293 კაცს, ხოლო სომხეთის — 157.761.

სვანეთში

სვანეთიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ მოსული თოვლის გამო, დაკეტილია ბარში გადმოსასვლელი ყველა გზები, რის გამოც ჯერ-ჯერობით დაგვიანდება აღწერის მასალების გადმოტანა.

მთა-თუშეთში

მთა - თუშეთიდან მოსული ცნობებით, იქ აღწერა ბრწყინვალეთ დასრულდა. დიდი თოვლისა და ქარბუქის გამო, ინსტრუქტორები ჯერ ვერ შესძლებენ გამომგზავრებას.

ბამბის ქარხნები

საქართველოს შრ. სახალხო კომისარიატმა ხელშეკრულება დასდო საქართველოს ბამბის კომიტეტთან ბამბის ქარხნებში სანიტარულ-ტეხნიკურ პირობების გასაუმჯობესებლად ხელშეკრულების ძალით, ყარაიაზის ბამბის სარჩევ ქარხანაში უნდა მოიკირწყლოს ქვაფენილით ქარხნის ეზო, მოეწყოს მუშებისათვის აბანო და მოეწყოს ბამბის გარჩევის მექანიზაცია. შულავერის ბამბის სარჩევ ქარხანასთან უნდა აიგოს მუშების საერთო საცხოვრებელი სახლი 100 კაცისათვის. იქვე მოეწყობა აბანო და ეზო მოიკირწყლება ქვა-ფენილით.

ქუთაისის ბამბის სარჩევ ქარხანაში კი —მოეწყობა ბამბის რჩევის მექანიზაცია.

გლეხკომები

ახალქალაქის მაზრა

ახალქალაქის მაზრაში დეკემბრიდან გაუქმებულია სათემო გლეხკომები. სამაგიეროდ მოწყობილია 58 სასოფლო გლეხკომი და ერთი სამაზრო. გლეხკომის ქონებას შეადგენენ 70 დესეტინა სახნავ-სათესი მიწა და ერთი წისქვილი, გლეხკომების მთელი წლის შემოსავალი უდრიდა 3.481 მან. გლეხკომები აერთიანებენ 7.000 წევრს. გლეხკომებმა ერთი წლის განმავლობაში დახმარება აღმოუჩინეს 75 კაცს. ერთდროული დახმარების სახით გაცემული იქნა 600 მანეთი, ხოლო სესხად — 1.000 მანეთი.

ახალციხის მაზრა

ახალციხის მაზრაში 1926 წლის დამლევისათვის მოწყობილ იყო სულ 12 სასოფლო და ერთი სამაზრო გლეხკომი, ახალციხის მაზრის გლეხკომების ქონებას შეადგენენ ერთი წისქვილი, ორი საყასბო და ერთი სახერხი ქარხანა. გლეხკომ. მთელი წლის შემოსავალი 9.000 მ. აღემატება. სამაზრო გლეხკომს აქვს ერთი საუკეთესო წარმოება მაზრაში—ორთქლით მომუშავე სახერხი ქარხანა, რომლის წლიური შემოსავალი უდრის 18.000 მანეთს. გლეხკომებს ჰყავთ 8.000 წევრი.

ამინდი

თბილისში

გუშინდელი მინიმალური ტემპერატურა— 3,50 უდრიდა. გუშინ დილით ტემპერატურა —11 გრად. აღწევდა. ღამით ადგილი ჰქონდა რთვილს, დღე მზიანი და ნათელი იყო.

სურამში

სურამში გუშინ ტემპერატურა—11 გრადუსს აღწევდა. მინიმალური ტემპერატურა უცვლელი რჩება. დღე მზიანი და ნათელია. ქრის მსუბუქი ქარი, რომლის ძალა 5—6 მეტრს უდრის. თოვლი ნელ-ნელა დნება.

ფოთში

4 იანვრიდან ფოთში თბილი ამინდები დაიჭირა. გუშინ ტემპერატურა +7 გრადუსს აღწევდა. ზღვაზე ნორმალური ქარი ქრის. რიონში წყალი ოდნავ ადიდდა.

სამტრედიაში

მინიმალური ტემპერატურა გუშინ +5 გრადუსს უდრიდა. თოვლი გადნა. ქარი არ ქრის.

ჭიათურაში

გუშინ მინიმალური ტემპერატურა 0° გრადუსს უდრიდა. თოვლი ნელ-ნელა დნება. წყალდიდობა არ არის მოსალოდნელი.

გორში

მინიმალური ტემპერატურა—7 გრადუსს უდრის. გუშინ დილით ტემპერატურა 10 გრადუსს უდრიდა. ნალექებს არ აქვთ ადგილი.

სოფ. ადაგლის დანგრევა

ზღვის უკანასკნელი მღელვარების გამო ტალღების მიმოქცევისაგან სრულიად წარეცხილია ზღვის ნაპირი ორი მეტრის სიგანით რვა ვერსის მანძილზე ჭოროხის შესართავთან, სადაც მდებარეობს ს. ადაგლია, ზღვის ტალღებისა და ნაპირების ნგრევა ამ რაიონში დაიწყო გასული წლის გაზაფხულიდან. ზღვის უკანასკნელი მღელვარების გამო ნაპირების ნგრევამ კატასტროფიული ხასიათი მიიღო. ზოგ ადგილას ზღვის პირი შენგრეულია იმდენად, რომ ზღვა მისულია სხვადასხვა მიჯნარულ კულტურით გაშენებულ მინდვრებამდე. ზღვის მიმოქცევით გამოწვეულ ნგრევის გამო მეტად სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა სოფელი ადაგლია, სადაც 40 მეკომური სცხოვრობს. აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭომ სასწრაფოდ განიხილა ეს საკითხი და დაადგინა გადაასახლოს ამ სოფლის მცხოვრებლები კახაბერის რაიონში.

საფინანსო კურსები

საფინანსო და ეკონომიურ მუშაკების სათანადო კადრის მომზადების მიზნით, თბილისში გახსნილია საფინანსო კურსები, რომელიც თავის პროგრამით საფინანსო-საეკონომიო ინსტიტუტს უახლოვდება; კურსების მიზანს შეადგენს მოკლე ვადაში მსმენელებს შეასწავლოს ის საგნები, რომლებიც საჭიროა სახალხო კომისარიატებში, აღმასკომებში, კოოპერატივებში და სხვადასხვა ტრესტებში სამუშაოდ.

ამ ინსტიტუტმა ყოველწლიურად რესპუბლიკას თეორეტიულად და პრაქტიკულად საკმაოდ მომზადებული მუშაკები უნდა მისცეს; ამისდა მიხედვით ინსტიტუტს აქვს სამი განხრა—ფინანსიური, ეკონომიური და საბუღალტერო.

კურსებზე დიდი ყურადღება აქვს მიქცეული პრაქტიკულ მეცადინეობას.

საბჭოთა აღმშენებლობა

გასულ წლის განმავლობაში შორაპნის სამაზრო აღმასკომის მიერ კომუნალურ მშენებლობის დარგში შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

საფუძვლიანად გადაკეთებულია ჭიათურის წყალსადენი, რომლისთვისაც მოწყობილ იქნა ორი 50 ათასი ვედრო წყლის დამტევი აუზი, გაყვანილია წყალი. ახალი მაგისტრალები და სასვენით განახლებულია კანალიზაციის მილები. საფუძვლიანად შეკეთებულია აგრეთვე ყველა საბჭოთა შენობები და აგებულია ახალი შენობა მუშათა კლუბისათვის. სრულიად ახლად არის გაშენებული აკ. წერეთლის ქუჩა, რომელზედაც აგებულია ახალი საბინაო შენობები და სავაჭრო დარბაზები. ამჟამად შენდება ხიდი მდ. ყვირილაზე.

ქალ. ზესტაფონში დამთავრდა ქალაქის ელექტროსადგურის მოწყობა. აქვე შეკეთებულია ყველა საბჭოთა დაწესებულების შენობები და საფუძვლიანად განახლებულია ხიდი მდ. ყვირილაზე.

დაბა საჩხერეში შენდება 75 ცხენის ძალიანი ჰიდროელსადგური. გაყვანილია ერთი ვერსის მანძილზე წყალსადენი, შეკეთებულია საავადმყოფოს შენობა და ამჟამად შენდება შენობა ბიბლიოთეკისათვის.

თამბაქო

აფხაზეთის თამბაქო

აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა აფხაზეთის საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი აფხაზეთის მეთამბაქოეობისათვის საწარმოო საკრედიტო გეგმა 1927 წლისათვის. ხსენებულ გეგმით 1927 წელს აფხაზეთის მეთამბაქოეობისათვის საჭირო იქნება კრედიტი 4.529.800 მანეთის რაოდენობით.

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმში

საუწყებათაშორისო კომისიები

ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილების პროექტი ცენტრალურ ორგანოებთან საუწყებათაშორისო კომისიების დაარსების შესახებ.

ბინების ქირავების შესახებ

ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილების პროექტი სისხლის სამართლის კოდექსის 139 მუხლის დამტკიცების შესახებ. დამატება გამოიხატება შემდეგში: მდგმურების მიერ სხვა პირზე ბინის, ან ოთახის გადაცემა ქირის გადახდევინების და ან რაიმე სასყიდლის გამორთმევის მიზნით აკრძალულია სახლის პატრონის ნებადაურთველად. ის მდგმური, რომელიც სხვა პირს გადასცემს ბინას და აიღებს განსაზღვრულ თანხას, აღნიშნულ დამატების ძალით, იხდის ჯარიმას გადაცემულ ბინაში აღებულ თანხის ხუთმაგი რაოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ დაპირებულ თანხის გამორკვევა შეუძლებელი გახდა, დამნაშავეს გადახდება ჯარიმა 500 მანეთამდე.

ფეიქრები

საქართველოს ფეიქართა კავშირს ყავს 1394 წევრი. აქედან საფეიქრო მრეწველობის მუშა—1.192. მოსამსახურე—202 კავშირის ცნობებით უმუშევარ ფეიქართა რიცხვი უდრის 284-ს. საფეიქრო მრეწველობის მუშის საშუალო თვიური ხელფასი უდრის 40 მან. 66 კაპ., მოსამსახურის—64 მან. 26 კაპ.

კავშირის ცენტრალური გამგეობის მიერ ფეიქართა შორის კულტმუშაობის საწარმოებლად გადადებულია 3.132 მ. 20 კაპ. ეს თანხა უნდა მოხმარდეს ფეიქართა პროფსკოლის შენახვას, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კურსებს, ჟურნალ-გაზეთების გამოწერას, საოჯახო საღამოების, ექსკურსიების მოწყობას, კავშირის დრამატიულ წრის შენახვას და სხვ.

სოციალური დაზღვევა

ამ რამოდენიმე დღის წინად შესდგა აფხაზეთის სოციალური დაზღვევის კომიტეტების პლენუმი, რომელმაც, სოც. დაზღვევის მიღწევების შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ, მოიწონა სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ შესრულებული მუშაობა აფხაზეთში. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ დამზღვევ კასების შემოსავალი გასული წლის განმავლობაში უდრის 600 ათას მანეთს, ე. ი. წინა წელთან შედარებით შემოსავალი გადიდებულა 47 პროცენტით. დაზღვეულ მუშა - მოსამსახურეთა და სოფლის მოჯამაგირეთა რაოდენობა აფხაზეთის ფარგლებში 16.000 აღემატება. გასულ წელს აფხაზეთის დამზღვევ ორგანოებს გაუდიდებიათ აგრეთვე ინვალიდების პენსია 40 პროცენტით. განსაკუთრებით დიდი მიღწევას აქვს ადგილი მოჯამაგირეთა დაზღვევის საქმეში. სულ აფხაზეთის მასშტაბით დაზღვეულია 6.000 მოჯამაგირე. საკუთარ დასასვენებელ სახლებში გაგზავნილი ყოფილა 620 კაცი., სანატორიუმში 170 კაცი.

კომუნალური მშენებლობა

სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა კომუნალური მეურნეობის განყოფილების მიერ დამუშავებული კომუნალური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა და საამისო ხარჯთ-აღრიცხვა. გეგმით გათვალისწინებულია საბინაო საცხოვრებელი სახლების აგება, გზატკეცილების და ქუჩების გაყვანა, რამოდენიმე საზოგადო აბანოს აგება, შენობების აგება აღმასკომების მოსათავსებლად, წყალსადენების და კანალიზაციის გაყვანა, ლიახვის ნაპირების გამაგრება და სხვა. ყველა ამ საამშენებლო მუშაობისათვის შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა უდრის 1026000 მანეთს.

საბინაო საამშენებლო კოოპერატივი იმდინარე წლიდან უკვე იწყებს ათ ორსართულიან სახლის აგებას.

ახალი ელექტრო-სადგური

ბათომში

„ნავთ-სინდიკატის" განყოფილება ბათომში უკვე შეუდგა მუშაობას 200 ცხენის ძალიანი პატარა ელექტრო-სადგურის ასაგებად. ამჟამად სწარმოებს ელსადგურის შენობისათვის საამშენებლო მასალის მომარაგება. შეძენილია და ადგილზე მოტანილია 400.000 ცალი აგური და საამშენებლო ქვის მასალა. ბაქოდან მიღებულია ახალი ძრავები და სხვა საჭირო მოწყობილობანი. სადგურის აგება დამთავრდება მიმდინარე წლის ზაფხულისათვის. სადგურის დანიშნულებაა—გემებში ნავთის გადასხმის ელექტროფიკაცია. სადგური ენერგიას მიაწვდის აგრეთვე „ნავთსინდიკატის" ყველა სახელოსნოებს. სადგურის აგება ჯდება 200.000 მანეთი.

ქრონიკა

ქვა-ნახშირის წარმოებისათვის

ტყიბულის მაღაროების ინსპექციას განზრახვა აქვს შეიძინოს მთელი რიგი ახალი გაუმჯობესებული იარაღ-მანქანებისა ქვა-ნახშირის ამოღების გასაადვილებლათ.

პირველ რიგში გადაწყვეტილია შეიძინონ სატრანსფორმატორო მოწყობილობანი ცუდი და კარგი ღირსების მადანის გადასარჩევათ.

წიგნებით სარგებლობა

ვინაიდან მუშათა კლუბების ბიბლიოთეკებიდან წაღებულ წიგნების დაუბრუნებლობა სისტემატიურ ხასიათს იღებს, ამიტომ პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ დაადგინა დაწესდეს ერთგვარი სასჯელი არა ფულადი ჯარიმის სახით, არამედ გამოქვეყნებული იქნეს პრესაში იმათი გვარი, ვინც წიგნებს წესიერად არ უბრუნებს ბიბლიოთეკებს.

ამას გარდა, წიგნების ბოროტად გამომყენებლებზე მოწყობილი იქნება საჩვენებელი გასამართლება, თანახმად სისხლის სამართლის კანონებისა, რომლებშიაც გათვალისწინებულია სასჯელი ასეთი ქონების მითვისებისათვის.

შტატების გადასინჯვა

საქ. მ. გ. ინსპექციის კოლეგიამ დაადგინა გადასინჯოს ყველა სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებათა შტატები. შტატების გადასინჯვა დაკისრებული აქვს მ. გ. ინსპექციასთან არსებულ სპეციალურ საშტატო კომისიას წინასწარ გამომუშავებულ გეგმის მიხედვით.

წყალთა კონვენცია ოსმალეთთან

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარიატის რწმუნებულმა ამ.-კავკასიაში, წყალთა კონვენციის შესახებ ოსმალეთის წარმომადგენელთან წარმოებულ მოლაპარაკების გამო ყარსიდან ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მ. ორახელაშვილს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა:

დღევანდელ სხდომაზე შევთანხმდით ყველა საკითხებში და დავადგინეთ ხელი მოვაწეროთ. კონვენციისა და ოქმს სადარაბადის საგუბრის შესახებ. 8 იანვარი.

მრეწველობის იურ. ბიურო

სახელმწიფო მრეწველობის იურისტკონსულტთა ბიურომ აირჩია მუდმივი პრეზიდიუმი პროფ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილის, ს. ჩხეიძის და ა. კუსიკოვის შემადგენლობით.

პრეზიდიუმი წინასწარ დაამუშავებს სახ. მრეწველობის შესახებ ისეთ იურიდიულ საკითხებს, რომელიც არ იქნება გათვალისწინებული არსებულ კანონმდებლობაში.

თბილისის აღმასკომში

◆ **მუხრანის ხიდის გამოცდა.** დღეს შეუდგებიან მუხრანის ხიდის გამძლეობის შემოწმებას.

◆ **სესხი.** მელითონეთა საბინაო-საამშენებლო ამხ-ბას სესხად მიეცა 2 ათასი მანეთი.

◆ **კეთილმოწყობის** განყოფილებამ შეიმუშავა მუშათა უბნების კეთილმოწყობის ახალი გეგმა.

◆ **ტრამვაის ახალი ხაზი.** თავისუფლების მოედნიდან თათრის მოედნამდე ტრამვაის ახალი ხაზის გაყვანა დამთავრდება 25 თებერვლამდე, ამ დღეს მოხდება ხაზის გახსნაც.

◆ **გადასახადი.** 1 იანვრისათვის თბ. მაზრაში აიკრიფა გაწერილი სას.-სამ. გადასახადის 63 პროცენტი.

მიწათ - მოქ. სახ. კომისარიატში

◆ **სანერგეები.** მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით, საქართველოში, ავტონომიურ ერთეულებიანათ, არის 24 ამერიკული ვაზის სანერგე და 7 სათბური. ამერიკულ ვაზის სადედეების საერთო არე 242 დესეტინას უდრის. საქართველოს გასაბჭოების დროს, მთელს რესპუბლიკაში იყო სულ 14 დესეტინა ამერიკული ვაზის სადედეებისა.

◆ **საგრილებელი პუნქტი.** ბაშკიჩეთში (ბორჩალოს მაზრა) ეწყობა ახალი საგრილებელი პუნქტი. პუნქტის ორგანიზაციის ხელმძღვანელობად ადგილობრივ გაიგზავნება მიწ. მოქმ. სახ. კომისარიატის ცხენთსაშენის განყოფილების წარმომადგენელი.

სოციალური უზრუნველყოფა

◆ **ინვალიდების შრომის გამოყენება.** ინვალიდების შრომის გამოყენების მიზნით სოციალურ უზრუნველყოფის [illegible] „გამარჯვება". ნაცს აქვს გადაცემულ ქალაქის ქუჩებში და კუთხეებში პაპიროსების, თამბაქოს და ასანთის გასაყიდათ ორასი ადგილი. ნაცში ამჟამად მუშაობს და თავის შრომით ცოლშვილს არჩენს ორასი ომის და შრომის ინვალიდი.

◆ **პენსიები და დახმარებები.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით, საქართველოში 1926 წელში სამაზრო აღმასკომებთან არსებულ სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებებს ინვალიდებისათვის მიუციათ პენსიების სახით 64.648 მანეთი, ამავე განყოფილებებს გასულ წელში ინვალიდებისათვის და გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებისათვის მიუციათ ერთდროული დახმარების სახით — 17.650 მანეთი.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **მალარია.** გასულ წელს მთელ რესპუბლიკაში აღრიცხული იქნა 216.937 ციებ-ცხელებიანი.

◆ **თავშესაფარი.** ცოფიან ცხოველების მიერ დაკბენილებისათვის თბილისში მოეწყო საცხოვრებელი სახლი.

◆ **აბანოები.** ჯანსახკომის ხელმძღვანელობით ცხინვალში, დუშეთში და ფოთში მოეწყო აბანოები.

◆ **ვენერიული სნეულებებით დაავადებულნი.** ამჟამად საქართველოში აღრიცხვაზე აყვანილია 21.000-ზე მეტი ვენერიული სენით დაავადებულნი.

◆ **სამალიარიო სადგურების** შესანახად და ქინაქინის უფასოდ გასაცემად, გასულ წელს ჯანსახკომმა დახარჯა 45.000 მანეთი.

◆ **კბილის ექიმობა.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა გაადიდოს კბილის საექიმო მოძრავი კაბინეტების რიცხვი.

სას.-სამ. ბანკში

◆ **გამოკვლევა.** საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი შეუდგა გურიის საკრედიტო ამხანაგობების საქმიანობის გამოკვლევას.

◆ **სპირტის დამზადება.** სას.-სამ. ბანკის ცნობით, ველისციხის საკრედიტო ამხ-ბა წელს დაამზადებს 300.000 გრადუსს სპირტს.

სამეურნეო დაწესებულებაში

◆ **სახელმწიფო სპირტის სამმართველომ** მუკუზანში შეიძინა კონიაკის ქარხანა, რომელიც გადმოაქვს თბილისში.

◆ **ღვინო.** სახ. ღვინის ვაჭრობის სამმართველო შეუდგა დასავლეთ საქართველოში ღვინის დამზადებას რუსეთში გასატანად.

სხვადასხვა

◆ **ფიზიკური კაბინეტი.** პროფგანათლების მთავარ მმართველობამ გადასწყვიტა ქუთაისის სას.-სამ. ტეხნიკუმებისათვის შეიძინოს ფიზიკური კაბინეტი.

◆ **ქართული ენის და საქმის წარმოების კურსებზე** (რუსთ. პრ., № 34), არსდება ახალი ჯგუფები.

◆ **ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოების** წლიური საჯარო სხდომა გაიმართება 11 იანვარს, სამშაბათს, 7½ საათზე საქართველოს მუზეუმის სააუდიტორიო დარბაზში. წესრიგი: 1) საზოგადოების საბჭოს საანგარიშო მოხსენება; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნები; 4) პროფ. აკ. შანიძის მოხსენება: „ჰუგო შუხარდტის ღვაწლი კავკასიურ ენათმეცნიერებაში"; 5) დამსახ. პროფ. პ. მელიქიშვილის პირადი მოგონებანი ჰ. შუხარდტის შესახებ".

შემთხვევები

მკვლელობა

პრავობერეჟნის ოლქში (სოფ. ზისლანი) დაპატიმრებული იყო სოფ. კარჯინის მოქალაქე რამაზან მირზაევი, რომელიც პასუხისგებაში იყო მიცემულ სისხლის სამართლის კოდექსის 149 მუხლის მიხედვით (მოკვლის განზრახვა). დღის 4 საათზე ის გამოშვებული იქნა სასეირნოთ ეზოში.

გაუგებარია, თუ რა გზით, მირზაევმა მილიციონერების საერთო ბინიდან გამოიტანა გატენილი თოფი. შევარდა რა ადმინისტრატიული განყოფილების საერთო ოთახში, მირზაევმა ესროლა იქ მყოფ გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს რწმუნებულს პრავობერეჟნის ოლქში ამხ. მაგომეტ ხადიკოვს, რომელიც ამ დროს ჩვენებას ართმევდა მოქ. მიტროფანე კავჟარაძეს.

თოფიდან გასროლილი ტყვიით მირზაევმა იქვე მოკლა მოქ. ქავჟარაძე.

◆ **დაჯახება.** მადათოვის კუნძულზე დიანოზ შინგორაძის ფურგუნი დაეჯახა სიმონ ბიბილაურს და დააშავა. შინგორაძე დააპატიმრეს.

◆ **არაყის მსხვერპლი.** სოფ. თოხლიაურში არაყის უზომო სმის შემდეგ უეცრათ გარდაიცვალა არტემ ილიასძე მდივანოვი.

◆ **წისქვილის გაქურდვა.** საგარეჯოდან 6 ვერსით დაშორებით მდ. იორზე გაქურდეს საგარეჯოს გლეხკომის წისქვილი. მიღებული ზომებით, შეიპყრეს შახალი ასან-ოღლი და სოინ იბრაგიმ-ოღლი.

◆ **კლუბის გაქურდვა.** 7 იანვარს გაქურდეს ავჭალის კლუბი.

◆ **შეპყრობა.** 7 იანვარს დააპატიმრეს ქურდობისათვის პაველ დიმიტრესძე სიროვი ნაქურდალი ნივთებით.

◆ **ჯიბგირობა.** 7 იანვ. სომხის ბაზარზე მორდოსა ალელაშვილს მისმა ძმამ მიხეილ ალელაშვილმა ამოაცალა ფული. ჯიბგირი ძმა იქვე დააპატიმრეს.

◆ **კარების გატეხვის საშუალებით,** 7 იანვარს საბურთალოზე გაქურდეს შაქრო ულუგაშვილის სავაჭრო.

◆ **ამავე დღეს** კურსანტების შესახ., № 9, გაქურდეს ტატიანა ზამოჩოვსკაიას ბინა.

◆ **კარების შენგრევის საშუალებით** 7 იანვარს ელისაბედის ქ., № 26, გაქურდეს კირილე ბესელიას ბინა.

მუშათა მწერლობა

თბილისი

მხიბლავს, მატყვევებს სანახაობა,
კოჯრის ნიავიც მეალერსება:
ტურფა თბილისის სიმშვენიერეს
უმზერ და ტრფობით გული ივსება!
მიიკლაკნება შუაზე მტკვარი,
უხსოვარ დროის მოამბე ძველი,
ჩვენის ქვეყნისა, თავი მოზარე,
ბევრის მნახველი, ბევრის განმცდელი.
იქ „ორთაჭალას" ფულის გარშემო;
თვისგანვე ნაშენს წალკოტად ქმნილსა,
მიდის, მისცურავს, დაუზარებლად
სიცოცხლესა ჰფენს, ტოტებსა შლისა.
ლხენით ჩაუმღერს „დირსი-ქალასა",
ეალერსება, ვარდის ქალასა,
დაქანებული „ნავთის-ქალისკენ"
სულ ყველას ამცნობს თავის ძალასა!
„ნარიყალა" კი, ის ძველის-ძველი,
გაიყურება ყველა მხარეზე,
ბევრი რამ ახსოვს ბევრის განმცდელსა,
გაშტერებული ჰკვირობს ზაჰესზე!
განცვიფრებულან ძველი კედლები,
ცხოვრების ასე განახლებითა!
და ისიც უკვირს, რომ დღეს მშვიდად სდგას,
შემორკალული ძველად მტრებითა!..
დღე ღამე ახალ-ახალ ფერებით,
თბილისო, გხედავთ შეხამებულსა,
ამერ-კავკასის გულო და თვალო,
სულ წინ წინ მავალს გამალებულსა!..
ძველი ინგრევა და მის ადგილას
ახალ-შენს ვხედავთ მშვენებით სრულსა,
რომელიც იმედს გვიათასკეცებს,
ხიბლავს ჩვენს გულსა და სულსა.
ჩემ ბედს უმაღლო ჭადარ შერთული,
ნგრევა, შენების მოწამე ვხდები.
შორს-შორს გაიგი, ტურფავ ფეხვები,
დაუზარელად გაშალე ფრთები.
სატრფიალო ხარ, იყავ, იქნები,
ჭადარავ, ნაირჩობ და კეკლუცდები.
დედავ გულ-ღიავ, სახელ განთქმულო,
იზარდე შენს ზრდას ვენაცვალები!
დილა-ბინდზე რომ ქარხნის საყვირნი,
მოუწოდებენ მშრომელსა ხალხსა,
და ქარხნები ნაირ ნაირი
ელოდებიან მომქმედ ძალასა,
იმ დროს შენ ქუჩებს, შრომისა შვილნი,
ყველა კუთხიდან ეფინებიან,
მიისწრაფვიან სადაც დაზგები
ნარაჟიანი ელოდებიან.
რა შევლენ—მრეში ქარხნის კედლები
მიეცემიან უზომო ლხენას,
უსულო საგნებს სული ჩაედგმის,
სულ ყველა ერთხმად აიდგამს ენას.
ქარხნის ქანგებზე ამღერდებიან,
ოფლით ნაბანი გაისმის ხმები,
განზე გასწიე შენი კედლები,
იზარდე, ფართედ გაშალე ფრთები.
აღორძინების მხარეს მიილტვი
და წარმოებაც აგიყვავდება,
მეგობრებისთვის გულის სამოდ
მტერი დუშმანი დაგიბრმავდება!

შაქრო ნათლუღელი.

ზანგი და თეთრი

(სურათი ამერიკის ცხოვრებიდან)

I. თომა ბრაუნი

ზანგი თომა ბრაუნი დაბრუნდა მუშაობიდან სახლში. ჩვეულებრივად მიესალმა ცოლსა და ორ პატარა შვილს, რომელთაც მამის დანახვაზე სიხარულის ჟრიამული ასტეხეს. ჩამოჯდა სკამზე, რადგან ძლიერ დაღლილობას გრძნობდა და იკითხა:

— სადილი მზად არის?

— სადილი კი მზად არის, მაგრამ პური არა გვაქვს,—მიუგო ცოლმა და გვერდზე მოუჯდა.

ბრაუნმა სიყვარულით გადახედა თავის ჟანეტას, ალერსიანად თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— ახლავ მოვიტან, საყვარელო ჟანეტა...

ამ სიტყვებთან ერთად მარდად წამოდგა ფეხზე და დაუზარელად გაეშურა პურის სასყიდლად.

— მამა, მალე მოიტანე პური, მშიან! მისძახა უფროსმა ბავშვმა.

— მალე მოვალ, მალე! უპასუხა მამამ და თვალიდან მოეფარა.

II. ლინჩის სამართალი

ნაყიდი პურით სახლისკენ მოეშურება ბრაუნი.

შორიახლო უკანასკნელ მოდაზე გამოწყობილი სამი მთვრალი ახალგაზრდა მოდის სიცილ ხარხარით და ხმაურობით. სამივეს ვერცხლის თავიანი ლამაზი ჯოხები უჭირავთ ხელში.

— ერთი ამას შეხედეთ, რას ჰგავს! — მიმართა ერთმა მათგანმა ამხანაგებს და ბრაუნს წინ გადუდგა დამცინავი ღიმილით.

— დაწყევლილი ზანგი! — წამოიძახა მეორემ და ჯოხი სახეში წაატაკა.

— რას მერჩით, მე ხომ თქვენ არაფერს გიშავებთ? — ჰკითხა ბრაუნმა და ჯოხის ტაკებით გახეთქილ ტუჩიდან თეთრი ხელსახოცით სისხლი შეიწმინდა.

— ერთი შეხედეთ! ამ შავ ძაღლს, წითელი სისხლი ჰქონია! — წამოიძახა მესამემ და გულიანად გადიხარხარა. მეორეებიც მოჰყვნენ ხარხარს, შემოეხვივნენ შეურაცხყოფილ ბრაუნს და, ვინ იცის, რაებს არ ეუბნებოდნენ.

— დამანებეთ თავი, გამიშვით გავიარო, რა გინდათ ჩემგან, თქვენ თქვენთვის, მე ჩემთვის, —მუდარით უთხრა ბრაუნმა და დააპირა წასვლა.

— რაო?! თავი დაგანებოთ, გაიარო? აქ ხომ ზანგების რესპუბლიკა არ არის?! — დაუღრიალა ერთმა მათგანმა, ჯოხის მოკაუჭებული თავი კისერში გამოსდო და წინ წასწია.

ეს კი ველარ მოითმინა ბრაუნმა, გამოსტაცა ჯოხი ხელიდან და გააფთრებული დაუშინა თავის შეურაცხმყოფელებს.

— არიქა, ზანგი თეთრსა სცემს! — დაიძახა ვიღაცამ.

ერთ წამში მოჩხუბრებთან აყურებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ყველა ესენი მიესივნენ ზანგ ბრაუნს, რომელიც გააფთრებული იბრძოდა, და დაუწყეს უწყალოდ ცემა.

ასი კაცი ერთ ზანგს სცემდა.

ცემაში რამოდენიმე კოპწიად გამოწყობილმა მანდილოსანმაც მიიღო მონაწილეობა.

III. ვაშინგტონის ქუჩაზე

ჟორჟ ვაშინგტონის ქუჩაზე აყურებელ ხალხს მოუყრია თავი. რვა სართულიან სახლის წინ ტროტუარის ნაპირას უძრავად გდია თომა ბრაუნი. დამტვრეულ თავპირიდან სისხლი მდინარესავით ჩამოსდის. ის ოდნავ ჰფეთქავს. იქვე გდია პურის დიდი ნაჭერი.

— მაინც საიქიოს მიდიხარ და ეს პურიც თან წაიღე! — დასძახა ერთმა სეირის მაყურებელთაგანმა და პური გულზე დაადო.

ბრბომ გულიანად გადაიხარხარა.

ბრაუნმა ოდნავ გაახილა ჩასისხლიანებული თვალები, გადახედა მის გარშემო თავმოყრილ ბრბოს და ისევ დახუჭა. მთელი ტანი საშინლად უთრთოდა.

— პასტორს დავუძახოთ, აზიაროს!

— ძაღლს რა ზიარება უნდა?

— მოქალაქენო, პირში მიაჩერდით, კვდება, ვნახოთ, რა ფერის სული ამოუვა... ამბობენ— ზანგს, როგორც თვითონ არის შავი, სულიც ისეთი შავი აქვს!..

ასე დასცინოდნენ მომაკვდავს. ბრაუნმა კვლავ გაახილა თვალები.

— ჟანეტა! ჟანეტა! — წაიჩურჩულა მან, ძალზე გაამზმორა და სამუდამოდ დახუჭა თვალები.

— საიქიოს ერთი შავი ძაღლი აკლდა და აწი შესრულდება! — წამოიძახა ბრბოდან ვიღაცამ.

ცხედართან გაჩნდა ტანისამოს - შემოცვეთილი მურიანი კაცი. მან დამცინავი ღიმილით გადახედა ბრბოს და შესძახა:

— თავისუფალ ამერიკის თავისუფალო მოქალაქენო! თეთრებო! მოგილოცავთ შავ კაცზე გამარჯვებას!.. დიახ, დიდი გამარჯვებაა, ასმა ერთ კაცს სცემეთ, მოჰკალით და დასცინით კიდეც!.. რად მოჰკალით?.. იმიტომ რომ შავია?.. განა შავი რომ არის, ჩვენსავით სული არ უდგა? ჩვენსავით ადამიანი არ არის?..

ვინ იცის, სახლში მშიერი ბავშვები ელიან და თქვენ კი მოჰკალით, სიცოცხლეს გამოასალმეთ, არ გაუშვით პური სახლამდე მიეტანა, მშიერი ბავშვები გაეძღო, და დასცინით კიდეც!..

დაათავა მურიანმა კაცმა სიტყვა, ქუდი მოიხადა, ცალი მუხლით ჩაიჩოქა და ბრაუნის უსიცოცხლო თვალებს დააცქერდა.

ბრბო სდუმდა.

IV. ზანგი ყოფილა

— ჩამოდექით! ჩამოდექით! პოლისმენი მოდის! — დაიძახა ვიღაცამ.

ბრბო შეიძრა, გზა დაუგდო მომავალ პოლისმენებს.

— ზანგი ყოფილა! — ერთხმად წარმოსთქვეს პოლისმენებმა, ცხედარი ეტლს დაუდეს და საავათმყოფოსკენ გააქანეს.

ხალხი დაიშალა, წავიდ - წამოვიდა, ხოლო მურიანი მუშა კი ისევ იქ იდგა და გაჰყურებდა მიმავალ დახურულ ეტლს, რომელშიაც ესვენა ზანგი თომა ბრაუნი.

მურიანმა მუშამ მძიმედ ამოიოხრა.

— ზანგი ყოფილა! — წარმოსთქვა მან და ნელი ნაბიჯით გაუდგა გზას.

ნიკო ასლამაზიშვილი.

ზღვაში

(სურათი-სინამდვილე)

ენკენისთვის ერთ წვიმიან ღამეს დილაც ასეთივე მოჰყვა. აფხაზეთის მაღალი მთები კიდევაც ჩამოხთოვა და ბარშიც საკმაოდ აცივდა.

დილა ადრიან, ჯერ კიდევ ბნელოდა, რომ ორმოცამდე მგზავრი სოხუმის ნავთსადგურს მოადგა.

საბჭ. საქართველოს პატარა გემი—„წითელი ოქტომბერი"—ნაპირიდან შორი ახლოსა სდგას. ის სამი დღეა, რაც მგზავრებს უცდის, ელოდება. ამჟამათ-კი ტალღები ნებას არ აძლევს გემს, ნაპირს მიუახლოვდეს და მგზავრები მიიღოს.

ამოუშავდა პატარა ნავები და მგზავრები ნახევარ საათში გემზედ გადავიდნენ.

ეს მგზავრები გერმანიის მუშათა მეორე დელეგაციის წევრებია. კოხტა და ლამაზი აფხაზეთის დათვალიერების შემდეგ ისინი ბათომისაკენ ბრუნდებიან.

ნაპირზე ადგილობრივ ამხანაგებს გამოემშვიდობენ და „წითელი ოქტომბრის" ოთახებში მოთავსდნენ.

—მზათაა! ყველანი დასხდნენ! ლუზა (იაკორი) ამოიღეთ. მანქანები დაამზადეთ—გადასძახა ახალგაზრდა კაპიტანმა მეზღვაურებს და მიუბრუნდა იქვე მდგომ მესაჭეს:

— შენ-კი გემს ბათომისაკენ მიეცი მიმართულება!.. ვინძლო უცხო სტუმრებთან არ შევრცხვეთ. წინდახედულათ და ყოჩაღათ იყავით. ეტყობა ზღვა კიდევ უფრო გაფუვდება...

აქ კაპიტანმა ჩასძახა ძირს მომუშავე უფროსს მემანქანეს, რომ შეიძლება მანქანების ამუშავება.

დატრიალდენ გემის ბორბლები. აშიშინდა ორთქლი. ახმაურდა ზღვა. დაიძრა გემი ნაპირიდან. ის ნელ-ნელა შორდება ნაპირს, ნავთსადგურს. ემშვიდობება აფხაზეთის არე-მარეს და მიიზლაზნება ბათომისაკენ.

ისედაც საშიშარსა და გულჩახვეულს, მრავალი საიდუმლოების შემნახველს, შავ ზღვას, ამ ქარ-წვიმიან ღამეში, კიდევ მეტი საშიშარი შეხედულება ეძლევა.

უკვე თენდება. წვიმა, ქარი და ზღვის ღელვა მატულობს.

გემმაც ქანაობას უმატა: ზვირთებმა ისე აათამაშა „წითელი ოქტომბერი", როგორც ბურთი. პირდაპირი ქარი და მთა-ზვირთები გემს ძალზე უშლის სვლას.

ხუთი საათის მუშაობაში ერთი საათის სავალი ძლივს გაიარა. გემი ხან ცხვირს ჩაკრამს აზვირთებულ ზღვაში, ხანაც გვერდებს. ტალღა ტალღას მოსდევს და ყუმბარასავით დაჰკრამს გემის გვერდებს.

ერთი ასეთი მაგარი ტალღის დაკვრის შემდეგ უცბათ გემი დამძიმდა, მან დაბლა, დაბლა, წყალში ჩაძირვა დაიწყო.

უცბათ გემი მობრუნდა. მან ბათომის მაგიერ საჭე ისევ სოხუმისაკენ მოაბრუნა.

— რა ამბავია, ამხანაგო კაპიტანო?

— რათ მოაბრუნეთ გემი?

— არაფერი, არაფერი! ტალღამ ორი ოთახის ფანჯარა შემოტვრია. ეხლავე შევაკეთებთ.

გემი იმიტომ მოვაბრუნე, რომ გატეხილ ფანჯარას ავაცდინო ზღვის ტალღები. შეიქნა გემზე ერთი ალიაქოთი, სირბილი, უწესობა. მეზღვაურნი ზოგი დაბლა ჩადის და საჭირო იარაღი მასალა მოაქვს. ზოგი საცურავ სარტყელებს ამზადებს. ყველას სახეზე აღელვება ეტყობა, მაგრამ ცდილობს სახე ისე გაჩვენოს, ვითომც აქ არაფერი ამბავია.

კაპიტანი კარგა ხანს აღარა სჩანს თავის ალაგას—საჭესთან. ის დაბლაა. გატეხილ ფანჯარას აკეთებს. გემი თითქმის სდგას. როგორც იქნა მუშის მაგიერ რკინა დაამაგრეს. გემში ჩასულ წყალს ამოქაჩვა დაუწყეს. გემმა ნელა, ნელა ცხვირი ისევ ბათომისაკენ მოაბრუნა, ისევ ტალღებს შეებრძოლა.

— გადავრჩით მგონია! გადაულაპარაკეს სტუმრებმა ერთმანეთს.

— გადარჩენა მაშინ სთქვი, როცა ბათომის ნაპირზე გავალთ. ჩაილაპარაკა ყველაზე ზორბა—დელეგაციის თავმჯდომარემ.

—ამხანაგო კერბერ! შენ ყველაზე მძიმე ხარ. სადაც დაჯდები გემიც იქით იზნიქება. ჩადი ისევ ძირს ოთახში—ოხუნჯობს ერთი დელეგატი. მაგრამ ეს ოხუნჯობა კინაღამ უკანასკნელი გამოდგა.

გვერდის ტალღამ ისე მაგრად დაჰკრა გემს, რომ იქიდან ამოსროლილმა ზღვის წყალმა მთელ გემზე გადმოასხა.

— მივაღწევთ-კი დღეს ბათომს? კითხულობს ერთი.

— უკვე ნახევარზე მეტი გზა თითქმის გავლილი უნდა გვქონდეს და ჯერ კიდევ სოხუმი მოსჩანს. ჩვენი გემი ერთ ადგილზე დგას მგონია. ხოლო ჩვენ გვაქანებს მაგრად აქეთ-იქით...

— აბა ერთი კაპიტანს დავეკითხოთ როდის ჩაგვიყვანს ბათომს?

— ეს ჩემზე აღარაა დამოკიდებული—ამბობს კაპიტანი.

— ეს დამოკიდებულია ზღვაზე. ერთხელ სოხუმიდან სამი დღე და ღამე ვიარე, ასეთი ღელვის გამო, ბათომამდი. მგზავრებს სახეზე დაღონება დაეტყო. ესენი დღესვე უნდა გავიდნენ საღამოს ბათომიდან, რათა ხვალ დილით თბილისში ამოყონ თავი და გასწიონ სამხედრო გზით რუსეთისაკენ.

შეიქნა რჩევა, თათბირი. ზოგს დაგვიანება აწუხებს. ზოგი კიდევ ზღვის ავადმყოფობას ებრძვის... დიდხანს გემზე ყოფნა უძნელდება.

— ამხანაგო კაპიტანო! არ შეიძლება მივაბრუნოთ გემი რომელიმე ქალაქისაკენ და ადრე მივაღწიოთ ნაპირს? კითხულობს ერთი ძალზე ზღვის ავადმყოფობით დასუსტებული დელეგატი.

— შესაძლებელია მივაბრუნოთ ფოთისაკენ. კიდევ სამ საათში ამ ქალაქს მივაღწევთ. ბათომში-კი არ ვიცი როდის მივალთ. ძნელია იმისი თქმა თუ ზღვა კიდევ როგორ სახეს მიიღებს. —მოგვიგო კაპიტანმა.

— ყოველ შემთხვევაში საშიში არაფერია. გული არ გაიტეხოთ. ბათომში უვნებლათ ჩაგიყვანთ—წარმოსთქვა მანვე მხიარულათ და თამამად.

გემი ფოთისაკენ მობრუნდა. მგზავრებს ცოტა არ იყოს გულს მოეშვა.

— სამი საათის განმავლობაში ფოთში ჩავალთ. ნაპირს ვნახავთ. აღარ გავხდებით აი გემს რომ ზღვის ლორები მოსდევენ იმათ შესაჭმელად—ოხუნჯობს ერთი.

— ზღვის ლორები ადამიანს როდი ერჩიან— გვიხსნის ერთი მეზღვაური, მაგრამ ეს ნუგეში ვერ გვაკმაყოფილებს.

— თუ ზღვაში ჩავარდი სულ ერთია რაც შეგჭამს—იძახის ვიღაცა.

ფოთისაკენ მობრუნებით გამოწვეული სიხარული—იმედი, ვერ გაგრძელდა დიდ ხანს.

თუ ბათომისკენ მსვლელობის დროს გემი ებრძოდა ტალღებს წინა ნაწილით და ახლა ტალღას ხელათ ზევით მოექცეოდა ხოლმე, ახლა მდგომარეობა შეიცვალა.

გემს მოუხდა ცურვა ტალღასა და ტალღას შუა.

გემმა ეხლა იწყო გვერდზე გადაზნექა-ქანაობა. ეს მოვლენა—კი უარესი გამოდგა. ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე—ასე მოგვივიდა. ასე გვგონია, რომ ცოტა კიდევ და ჩანგთქავს ეს გაუმაძღარი ზღვა—თავზე გადაგვახტება აი აგერ რომ მოგორავს ის მთა-ტალღა.

გემზე ფეხზე დგომა შეუძლებელია. ძირს ოთახში კიდევ უარესია. ცუდი ყოფილა ტალღის დროს პატარა გემით მოგზაურობა. სიკვდილი თვალწინ გიდგას. შენს თავს აღარ დაგიძებ—სტუმრებს ჩივი. შედეგს ითვალისწინებ.

ქება-დიდება მეზღვაურებს. გვამხნევებენ. გვაიმედებენ.

— ეს რა უნდა იყოს—ამბობს ერთი მეზღვაური.

— ღელვა იმ დღეს უნდა გენახათ. ტალღამ სულ მოგვტაცა რაც ნივთები მაღლა ელაგა. გამხნევდით. საცაა ფოთი გამოჩნდება...

მართლაც და ჩქარა გამოჩნდა ფოთის ნავთსადგური. გამოჩნდა „აღთქმის ქვეყანა".

„გულს იმედი ჩაგვესახა", მაგრამ რაც უახლოვდებით ნაპირს, მით ღელვა მატულობს და მასთან ბრძოლა გემს უძნელდება. ვხედავთ ნაპირს, ქვის კედლებზე ტალღის მოხეთქების დროს, წყალის უზარმაზარ ბოძებს.

— იქ იმ „ბოძებში" უნდა გავიაროთ? კითხულობს ერთი მგზავრი.

— ფიქრი ნუ გაქვთ! ამშვიდებს მას მეზღვაური. ჩვენ ცოტა ზევით მოვუვლით და შემდეგ ტალღებს გავყვებით!..

ასეთ გამოურკვეველ მდგომარეობაში დავყავით კიდევ რამდენიმე ხანს. დაბოლოს ჩვენი გემი შესრიალდა ფოთის ნავთსადგურში.

აქაურ მუშათა კლუბის შენობაში ვიპოვეთ ამხანაგური შეხვედრა. გავთბით, გავშრით, დავმშვიდდით.

იმავე საღამოს მატარებელი მოგვაქროლებდა თბილისისაკენ. ხოლო მეორე დღეს ავტომობილი კახეთისაკენ...

ხ. დოლიძე.

ხელოვნება

„ვილჰელმ ტელ".

დრ. ფ. შილერის, თარგ. ხ. შანშიაშვილის.
დადგმა დ. ანთაძის, მხ. ირ. გამრეკელი.

„ვილჰელმ ტელი" ერთი უპოპულიარესი დრამათაგანია გერმანულ კლასიკურ საგმირო რეპერტუარში. ის საერთო აღტაცება, რომელიც 1804 წელს გამოიწვია ამ დრამის პირველად წარმოდგენამ ვეიმარის სცენაზე, თითქოს დღემდისაც არ გამქრალა. ამ საერთო აღტაცების წყარო იყო მძლავრი პატრიოტული პათოსი, ის გაბედული ჰიმნი თავისუფლებისა, რომელიც პროლოგიდის ლირიულ სურათებშიც ეღერის და რომელიც მიმართული იყო ნაპოლეონის ბატონობის წინააღმდეგ. „თავისუფლების [illegible]"—„ვილჰელმ ტელ"-ში თავის ხალხს გზა უჩვენა უცხოეთის მონობისაგან განსათავისუფლებლად, პიესა თავისი მიზნებით თავის დროზე უაღრესად საგიტაციო იყო, გესლერი და ტელი შეიქმნა ცოცხალი სიმბოლოები მონობისა და თავისუფლებისა. ცენზურულ მოსაზრებებით დრამატურგმა მოქმედება გადაიტანა სხვა ქვეყანაში და სხვა ისტორიულ პირობებში. თავის დრამის სიუჟეტად მან გამოიყენა „თქმულება ტელზე" პირველად მოყვანილი შვეიცარულ ქრონიკებში, და რომლის ისტორიული სიმართლე უარყო შემდეგმა ისტორიულმა გამოკვლევებმა.

შილერმა მოინდომა დრამატიულ კომპოზიციისათვის დაექვემდებარებია სიუჟეტი, თავისი ბუნებით ეპიური.

დრამის კონფლიქტი გამომდინარეობს არა მოქმედ პირთა ხასიათისაგან, არამედ გარედან ეხვევა მათ თავზე; დახასიათების სიმარტივე და მკაფიოდ მოხაზულ ინდივიდუალურ სახეების უქონლობა გამოწვეული იყო თვით სიუჟეტით და იმ იდილიურ - პატრიარქალურ გარემოთი. რომელშიაც იშლებოდა მოქმედება. დრამას საკუთრივ არა ჰყავს მთავარი გმირი, მოქმედება გაორებულია, ერთის მხრივ შეთქმულება რიუტლზე, მეორეს მხრივ ტელის ბრძოლა ტირანის წინააღმდეგ; ეს ორი მოქმედება ერთმანეთთან უფრო გარეგნულადაა შეკავშირებული, ვიდრე შინაგანი სტიმულებით. ამიტომაა, რომ ეს დრამა ხშირად კითხვისას უფრო მეტ შთაბეჭდილებას სტოვებს, ვიდრე წარმოდგენისას. ეს გრძელი, საპროტესტო ტირადები, ხშირად მოყოლილი დრამა და ტრაგედია (განსაკუთრებით პირველ მოქმედებაში) არ აძლევს მსახიობს სამოქმედო მასალას. ის ხშირად იძულებულია ტექსტის მხატვრული ინტერპრეტაციით დაკმაყოფილდეს.

რეჟისორს და მხატვარს დიდი შრომა დაუხარჯავთ დრამის ადგილობრივ და ისტორიულ კოლორიტის გადმოსაცემად. პიესის გარეგნულ სცენიური გაფორმება არ თუ ეფექტიურია, არამედ ზოგიერთ მოქმედებებში, როგორც მაგალითად შეთქმულების სცენაში, დასრულებულ სცენიურ მხატვრობას აღწევს. მაგრამ მაინც მაყურებელს კითხვა ებადება: ნუ თუ ეს აწეულ ტემპის და გაწყობილების მხატვრული ჩარჩოები, ეს დაუდეგარი გაქანება ხაზების, ეს შენაზუქება ფერების, ეს გაბედული სცენიური შტრიხები შეეფერება შესრულების „ევიურ" სტილსა და ტემპს.

ჩვენ გვგონია, რომ მოქმედება, შესრულებაც ასეთსავე აწეულ ტონში მსხვილ შტრიხებში უნდა ყოფილიყო მოცემული, აქაც მეტი გაქანება, დინამიკის შეტანა იყო საჭირო პიესაში. ამისთვის კი საჭირო იქნებოდა საფუძვლიანი მონტაჟი პიესის მოქმედების კონდენსაციის მიმართულებით, შეცვლა მიზანსცენების, შეკვეცა გამოშვება მონოლოგების და სხვ.

ასეთი ოპერაციის მოხდენა კი ისეთი დიდი შემოქმედის ნაწარმოებზე, როგორიცაა შილერია ახალგაზრდა რეჟისორისათვის ძნელი საქმეა. თავის ძალებზე არ დანდობა და რიდი ასეთი ბუმბერაზის წინაშე მას საშუალებას ართმევს სცენიურად გააკრიტიკოს ის.

მაინც სპექტაკლი რეჟისორის საკმაო სცენიური კულტურის კვალს ატარებს; განსაკუთრებით გამოიყოფა მეორე მოქმედება და შეთქმულების სცენა, კარგია საქორწილო კარნავალიც.

შემსრულებლებში ყველაზე უფრო დასრულებულ (თუმც არა ორიგინალურ კონრად ვეიდტის ყაიდაზე) სცენიური სახეს ქმნის მს. აკ. ვასაძე (გესლერი). შ. დამბაშიძის მონუმენტალური ფიგურა თითქოს იძლევა იმ ვაჟკაცურ ტემპარამენტის განცდას, რომლის წყაროა თავისი ფიზიკურ ძალის შეგნება და არა კეთილშობილური თავდადება და გმირობა. როლი უსათუოდ მოითხოვს მეტ პლასტიურ დამუშავებას. მსახიობს ახასიათებს მარტო გარეგნული ექსპანსია დიდ სულიერ მღელვარების გადმოცემისას. აქ არ არის განცდა „შინაგანობით".

მს. კორიშელს ძალიან ეხერხება დამახასიათებელ როლების შესრულება. კარგია მის მიერ შექმნილი ვალტერ - ფიურსტის სახე. ასევე კარგია მს. ხორავა იტელ - რედინგის როლში. მშვენივრად ჩაატარა თავზარდაცემულ შემორზენის სცენა 1 მოქმედებაში მს. ლაღიძემ (ბაუმგარტენი). გოძიაშვილს ეტყობა „უტრიროვკა" მის მიერ ერთხელ შექმნილ სცენიურ სახეების. დამახასიათებელია იტელ რედინგი (ბ. წულაძე) და რუოდი (სარაული). კარგია ვალტერ - ტელი (ა. მესხიშვილი). თ. ღვინიაშვილი ძალზე სუსტია ჰედვიგას როლისათვის. კარგია შტიუსი (ქანთარია).

შხეფი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ვერა დუხოვსკაიას და ბიხტერის** უკანასკნელი კონცერტი გაიმართება 10 იანვარს კონსერვატორიის დარბაზში.

◆ **„მაზეპა".** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „მაზეპა".

◆ **„იღრიალე ჩინეთო".** დღეს მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება: „იღრიალე ჩინეთო".

◆ **ცირკში** დღეს—ფრედ მარიონის გასტროლი.

◆ **„ანუშ".** სომხეთის კინო-მრეწველობა შეუდგა ო. თუმანიანის „ანუშ"-ის ეკრანზე გადაღებას.

◆ **სახალხო სიმღერების ჩასაწერად** სომხეთის დელეგაციამ უცხოეთიდან ჩამოიტანა პატეფონი.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს, საღამოს 8 საათზე გაიმართება კინო-სურათების ჩვენება.

◆ **ეგონ პეტრის კონცერტები.** ცნობილი პიანისტი ეგონ პეტრი, რომელიც კონცერტებს მართავდა საბჭოთა კავშირების მთავარ ქალაქებში, ამ დღეებში ჩამოვა თბილისში და გამართავს რამოდენიმე კონცერტს.

◆ **„წითელი არმია".** საკავშირო სამხედრო კინო-მრეწველობამ თბილისში დაამთავრა ახალი სურათის „წითელი არმიის" ადგილების გადაღება.

◆ **კომკავშირელ მწერალთა წრეში.** ხვალ, ორშაბათს 10 იანვ. საღ. 5 ს. „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციაში (კურსანტების ქ., № 1), შესდგება მორიგი (მეხუთე) მეცადინეობა კომკავშირელ მწერალთა წრის. დღის წესრიგი: 1) ამხ. შალვა რადიანის მოხსენება „ლიტერატურული წელი", 2) „ახ. კომუნისტის" მომავალ ლიტერატურული ფურცელ „კომკავშირული მწერალი"-ს მასალების განხილვა.

◆ **მხატვარ ლანსერეს სურათების** გამოფენა ერევნიდან თბილისში გადმოტანილი იქნება თებერვალში.

◆ **სომეხ ხელოვანთა სახლი „ჰაიარტუნი",** თებერვლიდან გამოსცემს თავის ჟურნალს.

◆ **რუსთაველის თეატრში** ოთხშაბათობით თურქული წარმოდგენების ნაცვლად გაიმართება სომხური, ხოლო პარასკეობით სომხური წარმოდგენების მაგიერ თურქული.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში რეცენზიაში „ქართველ მხატვართა გამოფენის შესახებ", სტრიქონების გადაცვლის გამო გაიპარა შემდეგი შეცდომა—სწერია: „ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიყოფა მხ. ქალის ქეთო მაღალაშვილის ნამუშევრები. აღსანიშნავია აგრეთვე ბებუთოვის ქალის, დამბაშიძის, ორბელიანის, კაკაბაძის პორტრეტები".

უნდა იყოს... „ამ მხრივ გამოიყოფა მხატვარ ქალის ქეთო მაღალაშვილის ნამუშევრები— განსაკუთრებით „დამბაშიძის", „ორბელიანის" და „კაკაბაძის" პორტრეტები. აღსანიშნავია აგრეთვე ბებუთაშვილი-გაბუნიას ქალის ნამუშევრები".

რკინისგზებზე

მატარებლის დაჯახება

7 იანვარს, სად. 10 საათ. 5 წუთზე, სად. მოლითში მეორე ლიანდაგზე იქნა მიღებული მატარებელი № 197, რომელიც შესდგებოდა 42 ვაგონისა, 13 ცისტერნის და მიმწოლი ორთქლმავლისაგან. ამავე დროს სად. მარელისიდან გამოვიდა მატარებელი № 21, რომელიც შესდგებოდა 10 სავსე ვაგონისა და 2 ცისტერნისაგან. პირველი ლიანდაგი სად. მოლითში უნდა დაეჭირა სად. წიფიდან მოსულ მატარებელს № 353. უკანასკნელის მოსვლის დროს სადგურის მორიგე, სად. მოლითის უფროსის თანაშემწე ცხადაძე გამოვიდა გარედ, რომ გამოერკვია საით აქვს გასასვლელი მატარებელს. ამის გამო, მას დაუკეტელი დარჩა სემაფორი. სადგურში შემოსული მატ. № 21 დაეჯახა მატ. № 197. დაჯახების გამო დაზიანებულია 4 ვაგონი და მიმწოლი ორთქლმავალი. მოძრაობა დახურული იყო 5 საათ. და 30 წუთის განმავლობაში. გუშინ ლიანდაგი გაიწმინდა. ცხადაძე მოხსნილია სამსახურიდან და მიცემულია პასუხისგებაში.

ორთქლმავლის დაზიანება

7 იანვარს, დილის 11 საათზე ალიათ-დუვანის გადასარბენზე დაზიანდა აჩქარებულ მატრებლის № 5 ორთქლმავალი, რის გამო მოძრაობა დაიკეტა 2 საათის განმავლობაში.

საერთო შტატი

ა.-კ. რკინის გზის სამმართველოს ცნობით, ამჟამად რკ. გზის მუშა-მოსამსახურეთა შტატი შეიცავს 30.751 კაცს. მათ შორის 842 მოსწავლეა.

შტატის საერთო ხელფასის ფონდი 1926—27 საოპერაციო წლისათვის გამოიხატება 31.301.289 მანეთში.

ფონდის გადიდება

ამჟამად ამიერ - კავკ. რკ. გზებზე უმუშევართა რაოდენობა 2.000 კაცს აღწევს. უმუშევართა ყოველთვიური დამხმარე ფონდი კი 5000 მანეთს უდრის

ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა შუამდგომლობა აღძრა რკინისგზელთა ც. კ-ის წინაშე, რათა გადიდდეს ეს ფონდი 100 პროცენტით.

სასამართლო

თბილი კამპანია

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. სიჭინავას თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: ჯანაშიას და ინაშვილის და პროკურორ გ. აბაკელიას მონაწილეობით დაიწყო მშრომელთა არტელ „ლევ“-ის თანამშრომელთა საქმის გარჩევა, რომლის შინაარსი მოთავსებული გვქონდა გუშინდელ ნომერში.

ბრალდებულ ლევან ბალიაშვილს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი ლევამიჩავა, ბრალდებულ ტერ-იონესიანცს იცავს ამირალოვი, იაშვილს—ანდრო ტატიშვილი, ხოლო გრიგოლ ფარნიევს კ. ნინიძე.

საბრალმდებლო დასკვნის წაკითხვის შემდეგ სასამართლო შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას.

პირველად დაკითხულ იქნა ბრალდებული ლევან ბალიაშვილი.

ბრალდებული ვრცელ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ თუ წარმოებამ ზარალი ნახა—ამაში ბრალი კი არ მიუძღვის მას (გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე), არამედ იმას, რომ საქმეები არეულ-დარეული იყო. ბრალდებული ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ის ხელობით არის მეჩექმე და კარგად არ ესმოდა საქმეების წარმოება. ბუჰჰალტერიაში დიდი ქაოსი არსებობდა.

საერთოდ ბრალდებული თავს არ სცნობს დამნაშავედ 2.137 მანეთის მითვისებაში. იგი აღნიშნავს, რომ ეს თანხა მან მოიხმარა „წარმოების გაფართოების“ მიზნით, როგორც, მაგალითად, სხვადასხვა პირებთან ქეიფობაში „კრედიტუნარიანობის“ და „ნდობას“ მოსაპოვებლად.

ბალიაშვილი აღნიშნავს აგრეთვე, რომ იყო შემთხვევები, როცა ის გამგეობის წევრებს ფულს აძლევდა და ხელწერილებს არ ართმევდა.

ბრალდებული არ უარყოფს იმას, რომ ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდა.

ბრალდებულთა დაკითხვა გრძელდება.

გამოწვეულია მოწმეები და ექსპერტები.

სასამართლოს პროცესი გაგრძელდება რამოდენიმე დღეს.

შემდეგი სხდომა შესდგება დღეს დილის 10 საათზე.

განაჩენი შუბითიძისა და კიკნაძის საქმეზე

გუშინ, ნაშუადღევის 4 ნახევარ საათზე სასამართლომ გამოიტანა განაჩენი თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის მთავარი კანტორის თანამშრომელთა საქმეზე.

ბრალდებული გიორგი კიკნაძე და ვასილ შუბუთიძე დამნაშავედ იქნენ ცნობილი იმაში, რომ ორთავემ წინასწარი შეთანხმებით მოიპარეს ფოსტიდან ტყავეულობა, რისთვისაც მიესაჯა 1 ნახ. წლით თავისუფლების აღკვეთა თითოეულს.

ფეხბურთი

„პროგრესი“ — „დინამო“

დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება შეჯიბრი ბაქოს და თბილისის საუკეთესო გუნდებს—„პროგრესსა“ და „დინამო“-ს შორის.

„პროგრესი“ უძლიერესი გუნდია ბაქოში; მან ამიერ - კავკასიის 1926 წლის პირველობა აიღო ფეხბურთში გასული წლის დეკემბერში. მაშინდელი შეჯიბრი „პროგრესსა“ და საქართველოს ნაკრებ გუნდს შორის დამთავრდა 4:3 „პროგრესი“-ს სასარგებლოდ.

დღევანდელ შეჯიბრში გუნდები გამოდიან შემდეგი შემადგენლობით:

„პროგრესი“: აგაპოვი, კოსენკოვი, მარახტანოვი, პანცევი; ივანოვი, ფროლოვი, კომაროვი; მაკაგონოვი; კუზნეცოვი; ელისეევი და გნეზდოვი.

„დინამო“: დ. ცომაია, ფოჩხუა, ბლანკმანი, ფეოდოროვი; ჟორდანია; ანიკინი, ქოიავა, ფაჩულია, გალპერინი; იაკიმიდი და ვლ. ცომაია.

მეორე მატჩი „პროგრესთან“ გაიმართება სამშაბათს, 11 იანვარს, დილის 3 ნახ. საათზე. ამ შეჯიბრში სტუმრების წინააღმდეგ სათამაშოდ გამოდის თბილისის ნაკრები გუნდი შემდეგი შემადგენლობით:

პაპკოვი, ფოჩხუა, ბლანკმანი, ფრუიძე; ჟორდანია; ანიკინი; ქოიავა; ფაჩულია; გალპერინი, ვაჩნაძე და ქებაძე.

შემთხვევები

ჭადრაკი

ამიერ - კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატში თავდება ჭადრაკის ტურნირი კომისარიატის თანამშრომლებს — ჭადრაკის წრის წევრებს შორის. ტურნირში მონაწილეობას იღებს 30 კაცი. გამარჯვებული ტურნირში მიიღებს ამიერ - კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ჩემპიონის სახელწოდებას.

7 კაცს, რომლებიც პირველ ადგილს დაიკავებენ ტურნირში, მიეცემათ ჯილდოები ტაიცის სისტემის მიხედვით — პროპორციონალურად შეგროვილ ერთეულებთან.

ტურნირის გათავების შემდეგ გამოყოფილი იქნება მოჭადრაკეთა ერთი ჯგუფი მატჩების გასამართავად ჭადრაკის სხვა წრეებთან.

ფიზკულტურა ჭიათურაში

საქართველოს ფიზკულტურის საბჭომ საქ. პროფსაბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქნეს ჭიათურის სამთამადნო მუშებისთვის ფიზკულტურა. სამისო მუშაობა განზრახულია დაიწყოს მიმდინარე წლის გაზაფხულიდან. ჭიათურის მთამადნის მუშათა ფიზკულტურის საჭიროების დასაკმაყოფილებლად უკვე შეძენილია 500 მანეთის სასპორტო ხელსაწყოები.

საკავშირო სპარტაკიადა

1928 წელს მოსკოვში გაიმართება სრულიად საკავშირო მუშათა სპარტაკიადა, რომელზედაც მოწვეულნი იქნებიან აგრეთვე მთელი ქვეყნის სახელმწიფოების პროლეტარული სასპორტო ორგანიზაციები. სპარტაკიადისათვის მზადება სწარმოებს ამიერ-კავკასიაშიც. საქართველოს ფიზკულტურის საბჭომ თხოვნით მიმართა ა. კ. ფ. კ. საბჭოს გამოარკვიოს ამ. კავკასია სპარტაკიადაში მონაწილეობას მიიღებს, როგორც სპარტინტერნის ცალკე სექცია, თუ როგორც რუსეთის სექციის ნაწილი. საქართველოს ფ. კ. საბჭომ დაადგინა დაიწყოს ექსპონატების, ფოტოგრაფიული სურათების და სპორტ-ლიტერატურის შეგროვება საქართველოს ყველა მაზრებში იმ მიზნით, რომ სპარტაკიადის დროს მოეწყოს გამოფენა, რომელმაც უნდა ნათელ ჰყოს სპორტის განვითარება საქართველოში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთდასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ 10 იანვარს დილის 10 საათზე ამხ. ჩარკვიანთან.

1) მოვსესი სედრაკის ძე მოვსესიანი, 2) გეორგ იოსების ძე სურახანიანი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ კვირას, 9 იანვარს დღის 11-დან 2 საათამდე რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებაში ქალაქის რაიონის დელეგატებს თბილისის საქალაქო კონფერენციაზე დასასწრებად დაურიგდებათ მანდატები.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-8-ე რაიკომი იტყობინება, რომ მე-8-ე რაიონის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების და ადგილკომების წარმომადგენლების და ტეხნიკურ მდივნების თათბირი, რომელიც ა. წ. 8 იანვარს უნდა შემდგარიყო, შესდგება, კვირას, 9 იანვარს, დილის 10 საათზე რაიკომის შენობაში.

— ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა შესდგება ორშაბათს, 10 იანვარს, საღამოს 5 საათზე—თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.

ღრმად და წუხრებულნი ძმა მელიტონი, რძალი ნინო, ძმისწულები ვალერიანე, მიხეილი და მარუსა ქავჟარაძეები, და კატო ვოლკოვისა, სიძე იოსებ ვოლკოვი, ულრმეს მადლობას უცხადებენ ხარფუხის მცხოვრებლებს და იმ პირთ, რომლებმაც პატივი სცეს დეკანოზ

იოანე ქავჟარაძეს

რომელიც უეცრად გარდაიცვალა 25 დეკემბერს და დაკრძალულ იქნა კუკიის სასაფლაოზე 28 დეკემბერს. 1199

ღრმად დამწუხრებული პავლე ეგნატეს-ძე ქავჟარაძე აუწყებს მეგობრებს და ნაცნობებს თავისი ძმის

მიტროფანე ეგნატეს-ძე ქავჟარაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო გადახდილი იქნება სამშაბათს, 11 იანვარს, დღის 1 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში. დ.

ღრმად დამწუხრებულნი: იონა და ზინა, ბიძა თომა, ბაბუები [illegible] და მიხეილი, ბებიები მატრონა და ძობუ, ბიძა ეფრემ და მამიდა თეოდორა ხუნწარიები შვილებითურთ აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ

ამირანი (ბუდუკი) იო[illegible] ჯაკობი[illegible]

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვის დღეთ დანიშნულია 9 იანვარი დღით 4 საათზე ქ. ფოთში—ნაბადა სახლი № 17. ნ. 457

ღრმა მწუხარებაში მყოფი მეუღლე სეფორე ქუთათელაძის, ცოლის დები: მაშიკო და დარიკო სანაძეები, ცოლის ძმები: გერასიმე და ყარამანი სანაძეები; რძლები: პელაგო, სარა და კლეო; ცოლის ძმისშვილები: ქსენია, თამარა, ცუცა და ტიტიკო სანაძეები; სიძეები: აკაკი ქამუშაძე და გიგი ბახტაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, მათი ძვირფასი ქმრის, სიძის და ბიძის

სარდიონ ლევანის-ძე ქუთათელაძის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ხონში სამშაბათს, 11 იანვარს, სად. 4 საათზე, 1203

კატო სოლომონის ასული და ანდრია ლევანის-ძე ქავთარაძეები შვილებით, მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ

**ელისაბედ სტეფანეს ასულის
ჯოჯუას**

გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან (რუსთაველის პრ. № 30) კვირას 9 იანვარს, დილის 10 საათზე ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში. 1194

„სეკარის სითხე“

დამზადებული პროფესორ დოქტორ ბიუხნერის წესის მიხედვით. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ნებართვით № 8362 კოოპერატივ „გალენ მოსკვა“-ს ლაბორატორიის ორგანიულ ტერაპევტიულ განყოფილების მიერ გამოშვებულია

ნ. 429 10—1

„სეკარის სითხე“

მზადდება ცხოველების სათესლე ჯირკვლებისაგან სპეციალისტ ქიმიკოსების, ფარმაცევტების და ექიმების ხელმძღვანელობით. სეკარის სითხე იყიდება საბჭოთა კავშირის ყველა აფთიაქებში და სანიტარიის და ჰიგიენის მაღაზიებში.

ექიმებს საცდელად მოთხოვნილებისამებრ ეგზავნებათ gratis.

მთავარი საწყობი საბჭოთა კავშირისათვის

კოოპერატივი „გალენ მოსკვა“-ს ორგანიულ კოოპერატიული განყოფილება მოსკოვი პერცენის ქ. № 5 განყ. 66.

მთავარ საწყობიდან ფოსტით იგზავნება არა ნაკლებ 4 ფლაკონისა 25 პროც. რაოდენობით ბეს გადახდის შემდეგ. შეხვევა და გადაგზავნა ჩვენს ხარჯზე.

ფლაკონი ღირს 2 მან. 50 კაპ.

სახელმწიფო დრამა

კვირას, 9 იანვარს

ან. გლებოვის

ზაგმუკ

დადგმა ალ. ახმეტელის.

დეკორაციები და კოსტ. მხ. ირ. გამრეკელის

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

2—1 ნ. 454

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 9 იანვარს,

მაზეპა

მონაწილეობ.: სპრიშევსკაია, სკიბიცკაია, კანსბურგი, გორელოვი, მესნიაევი.

დირიჟორობს დამს. არტისტი სტოლერმანი.

12 იანვარს მეორე აბონემენტის მე-6-ე წარმოდგენა

მეფის საცოლე

ნ. 458

**აპოლლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი**

განსაკუთრებული შედევრი

უკანასკნელი განსაცდელი

მილტონ სილსის მონაწილეობით

დადგმის უკანასკნელი დღე საუკეთესო მხატვრ. სურათი

სიკვდილის ადგილი

ორშაბათიდან „დიდი ჰერცოგის ფინანსები“

სენსაციური სურათი

მისს-მენდ მე-7-ე სერია ორშაბათიდან 3 სერია

უკანასკნელი 5 და 6 სერია ერთად

სტენლეი აფრიკის ტყეებში

ანონსი: ორშაბათიდან „დინა ძაძუ“

ამ დღეებში—„აბრეკ-ზაური“

0—6 ნ. 419

**კინო
არფასტო**

ხვალ ორშაბათიდან

10 იანვრიდან

მხატვრული ფილმი

დიდი ჰერცოგის ფინანსები

ჰარრი ლიდტკეს მონაწილეობით

ნ. 461

**გაზ. „კომუნისტი“-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ**

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს, ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებებ[ი]ს შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი). რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 უფ. მთავარი კანტორა

**თბილისის
წიგნის მთავარ მაღაზიებში**

იყიდება

პოპულიარულად დამუშავებული შემდეგი წიგნები:

1. წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი, 1926 წლის გამოცემა	50 კ.
2. არითმეტიკა—ჩვეულებრივ და ათწილად ნაწევართა თეორია	50 კ.
3. ფუნქციონალური დამოკიდებულება და მისი ასახვის მათემატიკური საშუალებანი, 1926 წ. გამოცემა	50 კ.
4. ტრიგონომეტრია, მეთოდიური ცდა, მასწავლებელთათვის, 1926 წლის გამოცემა	1 მ.
5. აზიისა და კავკასიის სახელწოდებათა წარმოშობის საკითხისათვის	30 კ.
6. ძველი აღმოსავლეთის წარსული და ვეფხისტყაოსანი.	40 კ.

წიგნების გამოწერა და შეძენა შეიძლება ავტორისაგანაც, სოფლის მასწავლებელთათვის 50 % [illegible] დაკლებით: თბილისი, ველაბრის ფოსტის განყოფილება.

15—11 ქვ. 10 ი. ჯიშკარიანი

მუშკოოპი

ა. წ. 15 იანვრისთვის აცხადებს დახურულ

**საჯარო ვაჭრობას
40.000 ფ. ყინულის
მიწოდებაზე.**

იმ პირებს, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა დახურულ საჯარო ვაჭრობაში, შეუძლიათ შემოიტანონ განცხადებები დახურულ კონვერტებში და ერთდროულათ შეიტანონ მუშკოოპის სალაროში საწინდარი ჯამით 250 მ. დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება მუშკოოპის სარძეო-გასტრონ. განყოფილებაში, ჟორესის ქუჩა № 7 2—3 საათამდის ყოველდღე.

ნის. 463

ყველასათვის ხელ მისაწვდომი
**სამშობიარო თავშესაფარი
ს. ივ. არარატოვისა**

დიდი ვანქის ქ. № 6.

სამშობიარო მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ კვება 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 25—

ექიმი ა. დ. შახბაზიან

ქალთა, სამეანო და ქალთა საშარდო სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ საღამოს 5-დან 7 საათამდე; დუმბაძის ქ. 30 (ყოფილი ვილიამინოვის ქ.) 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭით და ნაწლავებით ავადმყოფთა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყ. ღებულობს 5—6 ს. ქუჩა სანაპირო (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფ. № 15—02

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ. ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან

**ცირკი
ძმ. ტანტების**

ნ. 451

ს.ს.ს. რესპ.დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.

კვირას, 9 იანვარს

ატრაქციონების სანახაობანი

3 საერთო განყოფ. 14 ნომრით! დღეს გასტროლი აქვს განსაცვიფრებელ ადამიან—ორკესტრს

ფრედ მარიონს 1-ლი საზღვარგარ. ატრაქციონი დაწვრ. აფიშებში—წაიკითხეთ!

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

კვირას 9 იანვარს მე-3 ყველასათვის მისაწვდომი დილის სანახაობანი დარიგდება უფასო სიურპრიზები. დასაწყისი შუადღის 1 საათზე

ადმინ. ხელმძღ. მ. ი. ტ ა დ ე.

[illegible] [illegible]

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34

ექიმი
მებრაბიანცი

ფილტვების. ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მზე. იონნო-თერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და სად. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

**ალმასკომის პირველი საბჭოთა სახლი
„ოტელ პალას“**

(ყოფილი სასახლის სასტუმრო) შენობაში იძლევა იჯარით დარბაზის ნაწილი „შიქა ჩაის“ გასამართავად

საჯარო ვაჭრობა

ამის შესახებ მოხდება ამავე შენობაში სამშაბათს, მიმდინარე იანვრის 11-ს, დღის 12 საათზე.

პირობებზე ცნობების მიღება შეიძლება მოხსენებულ სასტუმროს კანტორაში.

პუშკინის ქ. № 4 ელსმენის № № 9—13 და 5—12

ნ. 460

სახ. გან. კომ. სახელმწიფო
საბუღალტრო კურსები
ი. ავალიშვილის ხელმძღვანელობით
აცხადებს, რომ 10 იანვრიდან
იხსნება ახალი ჯგუფი

დავიდოვის ქ. № 25. საღამოს 5 საათ. 1188 3—1

პირველ სახელმწიფო
საბუღალტრო კურსებზე

15 იანვრიდან გაიხსნება ახალი ჯგუფი საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე საღამოს 6—7 საათამდე. 1 სამრეწველო ეკონომ. ტეხნიკუმის ბინა კეცხოველის ქუჩაზე (ყოფ. ლორისმელიქოვისა) № 12

კურსების გამგე მ. თაქთაქიშვილი

3—1 1162

თბილისის რაიონული საბაჟო

აცხადებს, რომ ორშაბათს 17 იანვარს და შემდეგ დღეებში, დილის 8 საათიდან, საბაჟოს ეზოში

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

რომლითაც გაიყიდება ჩამორთმეული კონტრაბანდი საქონელი: შევიოტი, ინდიგო, კოვერკოტი, აბრეშუმის ქსოვილები, ლიონის შარფები, ძაფები „დმს“, ჩულქები. წინდები, ტყავეულობა: ლაკი, შევრო, ფოლაქები, ფეხსაცმლების „შნუროკები“, ვადა გასული საქონელი და აგრეთვე გამოსადეგი სახაზინო ქონება.

ნ. 462 თბილისის რაიონული საბაჟო

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ „ქალ. თბილისის ურთიერთ დამხმარე სატრაქტირო მწარმოებელთა საზოგადოების ბიურო“ გატარებულია რეგისტრაციაში 1926 წელს დეკემბრის 22-ს და შეტანილია რეესტრში № 50.

საქმეთა მმართველი აბესაძე.

სავაჭრო რეგისტრაციის

1195 განყოფილების გამგე ნადირაშვილი.

**ქ. თბ. მე-4 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი
პოტემკოვსკი**

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 13 იანვარს დილის 11 საათზე ივანე გძელიშვილის სასადილოში რეუტოვის ქ. № 20, ის პირველი **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გძელიშვილის შემდეგ ქონებას, რომელიც გასასყიდათ შეფასებულია 215 მანეთად: 14 მაგიდა, 20 სკამი, 13 ტაბურეტი, დაზგა, 7 თუჯის ქვაბი, სხვადასხვა ტკბილი სასმელები და 83 კვარტი ზაზუროს ფირმის თეთრი ღვინო. 1193

**ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია**

ამით აცხადებს, რომ ის 12 იანვარს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 4, ბაჩანის ჩიხში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის არტაშეს მიქელოვის მოძრავ ქონებას: საპირფარეშოს, კედლის სარკეებს, მეხის სარჩულიან მამაკაცის პალტოს და სხვ. საოჯახო ნივთებს შეფასებულს 428 მანეთად, ნიკოლოზ მურალაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 22 ნოემბერს 1926 წ. თარიღით, № 5146 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა. 760

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
**ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი**

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექ. ი. დ. თოფურიძე

კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დაავადებით).

დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს. 25—1

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო - სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.

მიღება 6—7 საათ. სად. ლენინის ქ. № 49. ტელეფ. № 4—82. 25—1

ქვ. 788

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 —საათამდე საღამოს 5—8 სათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—5

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბო-მონდი“).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადამყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი

ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ექიმი **შუხმანი**

სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.

მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავად.

ნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი
ნ. ხეჩინოვი

დაბრუნდა რუსეთიდან ქუთაისში და განაახლა ავადმყოფების მიღება.

ექიმი
გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

დავკარგე პირადი მოწმობა, სამხედრო აღრიცხვის ნუსხა, კავშირის წიგნაკი, საკანდიდატო ბარათი კ. პ. ბ. ისაკი პავლესძე კილიავას სახელზე, ჩ. გ. 1200

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 16264 ნიკოლოზ საყვარელიძის სახელზე, ჩ. გ. 1198

დავკარგე პირადობის მოწმობა № 271 მიხეილ ხუდუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1891

დავკარგე პარტიული ბილეთი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოცემული № 725174 სერგო ლევანისძე გაგნიძის სახელზე, ჩ. გ. 1192

დავკარგე პროფკავშირის და „ზაკტპოს“ საწევრო წიგნაკი ნინო იოსების-ას. მეშველდაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1196

დავკარგე პირადობის მოწმობა და აღრიცხვის ბარათი მიხეილ ანდრიასძე ჭელიძეს სახელზე, ჩ. გ. 1197

დავკარგე პირადობის მოწმობა ეპრასია ბეგლარის ასული ლომაიას სახელზე, ჩ. გ. 1191

დავკარგე უვადო პასპორტი და კავშირის წიგნაკი ქიშვარდი დუმბაძის სახელზე, ჩ. გ. 1190

დავკარგე პირადობის და სილარიბის მოწმობა მიხა ჩიკვილაძის სახელზე, ჩ. გ. 1201

დავკარგე ინვალიდობის წიგნაკი, დამზღვევი კასის წიგნაკი, საწვრიმალოთი ვაჭრობის პატენტი ზაზარაშვილის სახელზე სოფ. კარალეთიდან ჩ. გ. 1202

დავკარგე კომუნალური ბანკის აქციები სამი 50 მანეთიანი გიორგი ნიკოლოზის-ძე ტაბახმელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1204

თბილისის ქალაქის ლომბარდი
ბალანსი

აქტივი. 1 ოქტომბრისათვის 1926 წლისა და 1 იანვრისათვის 1927 წლისა. პასივი.

ანგარიშების დასახელება	1 ოქტომბრისათვის 1926 წლისა	1 იანვრისათვის 1927 წლისა
1. კასა	7532—56	2290—98
2. ფასიანი ქაღალდები	77—	70—
3. გირაო ლომბარდის საკუთრებათ დარჩენილი	1444—58	1721—83
4. მოძრავი ქონება და მოწყობილობანი	12955—96	13261—64
5. სესხი გირაოთა ქვეშ	464464—	501823—
6. დებიტორები	2225—27	12726—96
7. სარგებელი გასული წლისა დამგირავებლებზე	35640—09	2952—06
8. მიმდინარე ხარჯები	—	29075—94
9. ხარჯები სააუქციონო კამერისა	—	3004—72
10. სხვა აქტივები	21981—91	2524—22
	546321—37	569451—35

ლომბარდის გამგე ვ. მ. თენიეშვილი.
გამგის მოადგილე კ. ი. თულაშვილი.

ანგარიშების დასახელება	1 ოქტომბრისათვის 1926 წლისა	1 იანვრისათვის 1927 წლისა
1. ძირითადი თანხა	147388—04	147387—04
2. მოძრავი ქონებათა და მოწყობილობათა დაფარვა	1921—01	1864—01
3. გრძელ ვადიანი მიზნობრივი სესხი	84049—89	98049—89
4. სესხი აღმასკომიდან	202388—03	197388—03
5. კრედიტორები	10039—81	5618—25
6. სააუქციონო ნაშთები	1553—22	2901—01
7. სარგებელი სესხზე და შენახვა დაზღვევის გადასახადი	—	20461—94
8. შემოსავალი სააუქციონო კამერისა	—	4950—38
9. სხვა და სხვა შემოსავალი	—	1129—98
10. სხვა პასივები	4530—67	4694—19
11. მოგება 1925/26 საოპ. წლისა (გაუნაწილებელი)	94450—70	85005—63
	546321—37	569451—35

მთავარი ბუხჰალტერი გ. ნ. ელენტი.

ნ. 459

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.